კოალიცია თანასწორობისთვის საქმიანობის ანგარიში

2019

კოალიცია თანასწორობისთვის საქმიანობის ანგარიში

2019

თბილისი
2020

„კოალიცია თანასწორობისთვის” არაფორმალური გაერთიანებაა, რომელიც 2014 წელს საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის ხელშეწყობით შეიქმნა და თერთმეტ არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს. კოალიციის წევრები არიან: საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი, ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), უფლებები საქართველო (ყოფილი კონსტიტუციის 42-ე მუხლი), კავშირი „საფარი“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC) და თანასწორობის მოძრაობა. კოალიციის მიზანი ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების მანდატის გაძლიერება და დისკრიმინაციასთან ეფექტიანი ბრძოლის ხელშეწყობაა. 2015 წელს, ახლადდაფუძნებულმა „კოალიციამ თანასწორობისთვის” და საქართველოს სახალხო დამცველმა ხელი მოაწერეს დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

გამოცემულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

სარჩევი

ანგარიშის მოკლე მიმოხილვა 5

Summary 8

შესავალი 11

სტატისტიკა 13

თავი I.
საანგარიშო პერიოდში წარმოებული საქმეები 17

1. რასის, მოქალაქეობის, ეროვნული და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია 17
1.1. ფ. ს. სსიპ "სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წინააღმდეგ. 17
1.2. ვ. ა. ა. ე. ქირურგიის ეროვნული ცენტრის წინააღმდეგ. 18
1.3. ვ. დ. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინაღმდეგ 19
1.4. მირტაგ ასადოვი ემზარ კვიციანისა და სოფიო კილაძის წინააღმდეგ 20

2. გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების გამო დისკრიმინაცია 22
2.1. ხათუნა ბერიძე, საქართველოს XI მოწვევის პარლამენტის წევრის ანზორ ბოლქვაძის და შპს "ფონი +"-ის წინააღმდეგ 22
2.2. ნ. ნ. და მ. კ. მესტიის მუნიციპალიტეტის მერის წინააღმდეგ 23
2.3. დავით სორდია "საქართველოს ფოსტის" წინააღმდეგ 24
2.4. ნ. მ. სამაუწყებლო კომპანიის წინააღმდეგ. 25
2.5. ვ. მ. (გამოგონილია) სპეციალური პენიტენციური სამსახურის, იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის №8 დაწესებულების (პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება) წინააღმდეგ 26
2.6. ბ. მ. (გამოგონილია) სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს წინააღმდეგ 26
2.7. კ. ო. ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ის წინააღმდეგ . . . 28
2.8. კახა სიმონიძე სს „თელასის" წინააღმდეგ 28
2.9. ია მახარაძე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" რადიოს წინააღმდეგ" 29
2.10. გ. ფ. კ. ფ-ს. ვ. ფ-ს და ნ. კ-ს წინააღმდეგ 29
2.11. თ. ა. და რ. რ. შპს „ბლექსი გრუპის" წინააღმდეგ 30

3. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია 32
3.1. „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო" მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ 32
3.2. ორგანიზაცია ა. მ. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის წინააღმდეგ 33
3.3. ააიპ „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდი" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ 33
3.4. რ. ნ. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის წინააღმდეგ 35

4. სქესის ნიშნით დისკრიმინაცია და შევიწროება 36
4.1. მაკა გოგიჩაიშვილი, გიორგი მენთეშაშვილის და შპს „იურისტების" წინააღმდეგ (მსხვერპლის იდენტიფიცირების თავიდან აცილების მიზნით, სახელები, გვარები და იურიდიული პირის დასახელება გამოგონილია) 36
4.2. ა. მ. ფარმაცევტული საქონლის იმპორტიორი კომპანიის წინააღმდეგ 37
4.3. ს. პ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ 38
4.4. ნ. კ. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს წინააღმდეგ 38

4.5. ნ. კ. დ. ი.-ისა და შპს “მაგმუვ ჯორჯიას” წინააღმდეგ 39
4.6. ნ. შ. შპს “აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიას” წინააღმდეგ 40
4.7. ნ. შ. და შ. ლ. საქართველოს ბანკის წინააღმდეგ 41
4.8. თათია ლორთქიფანიძე საქართველოს ძალოსანთა ეროვნული ფედერაციისა და თემურ ჯანჯღავას წინააღმდეგ 41
4.9. ნარინე გინოსიანი ენზელ მკოიანის წინაარმდეგ 42

5. დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით 44
5.1. რუსუდან ჩხეიძე სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს წინააღმდეგ . . 44
5.2. ზ. გ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ 45
5.3. ზ. კ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ 45

6. დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით 47
6.1. დ. გ. შპს „პსპ ფარმას“ წინააღმდეგ 47
6.2. ა(ა)იპ „თანასწორობის მოძრაობა“ შპს “ალმას” წინააღმდეგ 48
6.3. ა(ა)იპ “თანასწორობის მოძრაობა” და “ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი” (WISG) თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წინააღმდეგ . . . 49
6.4. თორნიკე კუსიანი შპს Timeless-ისა და შპს “მადა”-ს წინააღმდეგ 50
6.5. ლევან ბერიანიძე ბ. დ.-ს წინააღმდეგ 51
6.6. ა(ა)იპ „იდენტობა“ სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ და ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის“ წინააღმდეგ 53
6.7. თ. ქ. და მ. კ. ლ. ო.-სა და ლ. კ.-ს წინააღმდეგ 53
6.8. ლ. გ. გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის წინააღმდეგ 54
6.9. ა(ა)იპ “თ. პ.” შპს “პრომოუტერის” წინააღმდეგ 55

7. დისკრიმინაცია ასაკის ნიშნით 56
7.1. კ. შ. შპს “მოდუსის” წინააღმდეგ 56
7.2. PHR საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ 57

8. ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დიაგნოზის ნიშნით დისკრიმინაცია 58
8.1. ი. მ. შპს “N 5 კლინიკური საავადმყოფოს” წინააღმდეგ 58
8.2. მ. კ. შპს “რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის” წინააღმდეგ 59
8.3. ზ. კ. (გამოგონილი) სპეციალური პენიტენციური სამსახურის, იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის ერთ-ერთი დაწესებულების წინააღმდეგ 59

თავი II.
პრობლემური საკითხები 61

1. საკანონმდებლო ხარვეზები და დისკრიმინაციული ნორმები 61
2. დისკრიმინაციის დადგენის პრობლემურობა სასამართლოში 62
3. პოლიტიკური შეხედულებებისა და განსხვავებული აზრის გამო დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში 63
4. უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობა და რასობრივი დისკრიმინაცია 65
5. დისკრიმინაციის აკრძალვა საჯაროდ ხელმისაწვდომ საქონელსა და მომსახურებაზე . 67
6. პოლიტიკოსთა დისკრიმინაციის წამახალისებელი განცხადებები 69

რეკომენდაციები 71

ანგარიშის მოკლე მიმოხილვა

„კოალიცია თანასწორობისთვის" არასამთავრობო ორგანიზაციების არაფორმალური გაერთიანებაა, რომელიც 2014 წელს, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კანონის მიღების პროცესში ჩამოყალიბდა. კოალიციის მიზანია დისკრიმინაციასთან ეფექტიანი ბრძოლის გზით თანასწორობის პრინციპების დაცვა. კოალიციის წევრი ორგანიზაციები ახორციელებენ სამართალწარმოებას, რისთვისაც იყენებენ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კანონით გათვალისწინებულ საშუალებებს და ამზადებენ საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშებს. წინამდებარე ანგარიში გახლავთ „კოალიცია თანასწორობისთვის" საქმიანობის რიგით მეხუთე ანგარიში, რომელიც მოიცავს 2019 წლის 1-ელი იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდს. ანგარიშში ასახულია კოალიციაში შემავალი ორგანიზაციების მიერ სახალხო დამცვალის აპარატსა და სასამართლოში წარმოებულ საქმეებთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში არსებული დინამიკა. ასევე, ანგარიშში საუბარია ამ საქმეების ანალიზის შედეგად იდენტიფირებულ, თანასწორობის კუთხით არსებულ განსაკუთრებულ გამოწვევებზე.

კოალიციის წევრი ორგანიზაციების წარმოებაში არსებული საქმეებიდან საანგარიშო პერიოდში სიახლე იყო 45 საქმეში, მათ შორის სახალხო დამცველისა და სასამართლოსადმი მიმართვის თვალსაზრისით. 24 შემთხვევაში დისკრიმინაციის განმახორციელებელი იყო კერძო პირი, 21 შემთხვევაში კი – საჯარო დაწესებულება.

აღნიშნული 45 საქმიდან პირველ ადგილზეა გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების გამო დისკრიმინაცია (11 საქმე). მეორე ადგილზეა სქესის ნიშნით დისკრიმინაცია და შევიწროება (9 საქმე), აგრეთვე, დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით (9 საქმე). მესამე ადგილზეა რასის, ეროვნების, ეთნიკური და მოქალაქეობის ნიშნით დისკრიმინაცია (4 საქმე) და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია (4 საქმე). მეოთხე ადგილზეა დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით (3 საქმე) და ჯანმრთელობისა და დიაგნოზის ნიშნით დისკრიმინაცია (3 საქმე). ხოლო ბოლო ადგილზეა ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია (2 საქმე).

საანგარიშო პერიოდში პირველი ინსტანციის სასამართლომ დისკრიმინაცია დაადგინა 5 საქმეში. სააპელაციო სასამართლოში წარმატებით დასრულდა 3 საქმე. ამავე პერიოდში, უზენაეს სასამართლოში გასაჩივრდა კოალიციის 3 საქმე, რომელთა დასაშვებობის საკითხიც სასამართლოს ჯერ არ გადაუწყვეტია. საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველმა კოალიციის წევრი ორგანიზაციების მიერ წარმოებულ 5 საქმეზე გამოსცა რეკომენდაცია, ხოლო ერთზე – ზოგადი წინადადება.

მიუხედავად 2019 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებებისა, საანგარიშო პერიოდში რამდენიმე მიმართულებით კვლავ გამოიკვეთა კანონმდებლობის ხარვეზები და გარკვეული ნორმების დისკრიმინაციული ხასიათი. აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, „კოალიცია თანასწორობისთვის" რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს პარლამენტს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან ამოღებულ იქნას 1723 მუხლი – პროსტიტუცია. ამასთან, დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას

სახელმწიფო ქონების კანონსა და საგადასახადო კოდექსში არსებული დისკრიმინაციული ნორმები, რომელიც დიფერენცირებას ახდენს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სხვა რელიგიურ გაერთიანებებს შორის. აგრეთვე, საჭიროა, ცვლილებები შევიდეს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონში, რომლითაც საერთო საეთერო მაუწყებლების გარდა, სასამართლო სხდომების გაშუქების შესაძლებლობა მიეცემა ყველა სხვა სახის მედიის წარმომადგენელსაც. ამასთან, საპროცესო კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები ბავშვის კანონიერი წარმომადგენლების, მათ შორის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შემთხვევაში.

კოალიცია ასევე მოუწოდებს პარლამენტს, მოამზადოს საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც უზრუნველყოფს ქართული კანონმდებლობის ჰარმონიზაციას გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით გათვალისწინებულ ძირითად პრინციპებთან. გარდა ამისა, საჭიროა, თავშესაფრის მაძიებელს კანონმდებლობით მიეცეს შესაძლებლობა, საქმის გამოხმობის შემთხვევაში, ხელახლა მიმართოს მიგრაციის დეპარტამენტს თავშესაფრის მოთხოვნით, იმავე საქმეზე, იმავე გარემოებებით.

აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით, საანგარიშო პერიოდში გაზრდილია სასამართლოს მიერ დისკრიმინაციის დადგენის შემთხვევები. თუმცა, სასამართლოში დისკრიმინაციის დადგენის საკითხი მაინც გამოწვევად რჩება, მათ შორის, იმ საქმეებშიც, რომლებშიც სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნები, რამდენადაც სარჩელები დაკმაყოფილდა სხვა სამართლებრივი საფუძვლით და არა – „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კანონის საფუძველზე.

აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად, კოალიცია რეკომენდაციით მიმართავს საერთო სასამართლოებს, საბოლოო გადაწყვეტილებებში იმსჯელონ დისკრიმინაციის თაობაზე სარჩელში მითითებული არსებითი არგუმენტების თაობაზე იმ საქმეებში, რომლებშიც მოპასუხის მხრიდან სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების დადგენა ერთ-ერთ, და არა ერთადერთ, მოთხოვნას წარმოადგენს. აგრეთვე, დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ დავებზე სწორად გადაანაწილონ მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის.

სასამართლოს მიერ დისკრიმინაციული მოპყრობის არსებობის სათანადოდ შეფასების საკითხი განსაკუთრებით მწვავედ იმ საქმეებთან დაკავშირებით გამოვლინდა, რომელიც ეხება საჯარო დაწესებულებებში პირთა თანამდებობიდან გათავისუფლებას, სავარაუდოდ, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ნიშნით. როგორც ზემოთ აღინიშნა, საანგარიშო პერიოდში, კოალიციის წევრმა ორგანიზაციებმა ყველაზე მეტი საქმე სწორედ გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების გამო დისკრიმინაციასთან დაკავშირებით აწარმოეს, რაც ყველაზე მწვავედ, სფეროს მიხედვით, შრომით ურთიერთობებში გამოვლინდა. განსაკუთრებით პრობლემური იყო სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ კრიტიკული მოსაზრების გამოთქმის გამო პირთა, მათ შორის ჟურნალისტების, თანამდებობიდან გათავისუფლება როგორც საჯარო, ისე კერძო დაწესებულებებიდან.

წინა წლის მსგავსად, საანგარიშო პერიოდშიც გამოვლინდა უცხო ქვეყნისა და ეროვნების მოქალაქეთა უფლებების დარღვევისა და რასობრივი დისკრიმინაციის შემთხვევები, რასაც სისტემური ხასიათი აქვს. აღნიშნული გამოიხატა ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმასა და სახელმწიფო საზღვარზე რელიგიური ლიტერატურის შემოტანის დაყოვნებაში. შესაბამისად, დისკრიმინაციული მოპყრობა შეიცავდა მრავალი ნიშნის მიხედვით, მათ შორის, ინტერსექციური (ჯვარედინი) დისკრიმინაციის ნიშნებს, კერძოდ, რასის/ეროვნების/მოქალაქეობისა და რელიგიის ნიშნებს.

ამ თვალსაზრისით, კოალიციის წევრი ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ აუცილებელია, ამაღლდეს ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილებების დასაბუთებულო-

ბის სტანდარტი. ამასთან, საჭიროა, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარებს სააგენტომ უცხოელზე ბინადრობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოიკვლიოს საქმისთვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება და დისკრეციული უფლებამოსილება გამოიყენოს დასაბუთებულად. თავის მხრივ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა უნდა აღმოფხვრას ბინადრობის ნებართვის მიღების მსურველ უცხოელებზე სერვისების განვითარების სააგენტოსთვის შაბლონური დასკვნების გაცემის მანკიერი პრაქტიკა, განსაკუთრებით – აზიის და აფრიკის ქვეყნების წარმომადგენელი უცხოელების მიმართ.

აგრეთვე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ უცხოელზე ვიზის გაცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში უნდა გამოიკვლიოს საქმისთვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება და არ უნდა დააფუძნოს ვიზის გაცემაზე უარის გადაწყვეტილება მარტოოდენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნას. კოალიციის წევრი ორგანიზაციები აგრეთვე მოუწოდებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტს, განაგრძოს დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის დროული გაცემა თავშესაფრის ყველა მაძიებელზე.

რაც შეეხება სახელმწიფო საზღვარზე რელიგიური ლიტერატურის შემოტანის დაყოვნებას, საჭიროა, საქართველოს საბაჟო სამსახურის წარმომადგენლებმა თავი შეიკავონ სახელმწიფო საზღვარზე რელიგიური ლიტერატურის შინაარსობრივი შემოწმებისაგან.

საჯაროდ ხელმისაწვდომი საქონლისა და მომსახურების მიწოდებაზე უარის თქმის საკითხი, წინა წლის მსგავსად, საანგარიშო პერიოდშიც აქტუალური იყო ლგბტ+ პირებთან მიმართებით. ამ კუთხით, სასამართლომ დისკრიმინაციული მოპყრობის არსებობა სამ საქმეში დაადგინა (იხ. თავი 6). აქვე აღსანიშნავია, რომ არადომინანტი რელიგიური ჯგუფები ასევე აწყდებოდნენ დაბრკოლებებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე წვდომასთან დაკავშირებით, ერთი მხრივ, რელიგიური სიმბოლოკის აღმართვის, მეორე მხრივ, მეჩეთის მშენებლობის თვალსაზრისით. TDI-სა და EMC-ის მიერ წარმოებულ საქმეზე ბათუმის საქალაქო სასამართლომ დაადგინა დისკრიმინაციული მოპყრობა ააიპ „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდის“ მიმართ, რომელსაც ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ უარი უთხრა მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის დაკმაყოფილებაზე (იხ. საქმე N3.3).

როგორც სახალხო დამცველმაც აღნიშნა, საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა, რომ ბევრ პოლიტიკოსს თუ სხვა საჯარო პირს კვლავ არ აქვს გაცნობიერებული თანასწორუფლებიანობის დაცვისა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის პროცესში მათზე დაკისრებული პასუხისმგებლობა. პოლიტიკოსთა მიერ დისკრიმინაციის წამახალისებელი განცხადებები ვრცელდებოდა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლების, ლგბტ+ თემისა და ქალების მიმართ.

მაგალითად, საიას მიერ წარმოებულ ერთ-ერთ საქმეზე სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ ემზარ კვიციანის მიმართვა იყო ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით დისკრიმინაციის წახალისების შემთხვევა და პოლიტიკოსს მოუწოდა, მომავალში არ წაახალისოს დისკრიმინაცია რომელიმე დაუცველი ჯგუფის მიმართ და დაიცვას 2019 წლის 22 თებერვლის პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსის მოთხოვნები (იხ. საქმე N1.4.). სხვა საქმეში, სასამართლომ ასევე დაადგინა დისკრიმინაცია და მოპასუხის მიერ გაჟღერებული სიტყვები მიიჩნია ღვარძლიან კრიტიკად, ვინაიდან მისი ერთადერთი მიზანი იყო მოსარჩელის ღირსების შელახვა, მისი დამცირება მოქალაქეთა და ტელემაყურებელთა თვალში (იხ. საქმე N6.5).

აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველის მსგავსად, კოალიცია მოუწოდებს პოლიტიკოსებს, დაიცვან 2019 წლის 22 თებერვლის პარლამენტის ეთიკის კოდექსის მოთხოვნები და არ წაახალისონ დისკრიმინაცია რომელიმე დაუცველი ჯგუფის მიმართ.

Summary

“Coalition for Equality” is an informal alliance of non-governmental organizations, established in 2014 in the process of passing the “Law on the Elimination of All Forms of Discrimination”. The aim of the Coalition is to ensure respect for the principle of equality through an efficient fight against discrimination. Coalition member organizations conduct litigation, for which they use the means provided by the Law on the Elimination of All Forms of Discrimination and prepare annual reports on activities of the Coalition. This report is the fifth report of the Coalition for Equality, covering the period from January 1, 2019 to December 31, 2019. The report reflects the dynamics related to the cases litigated by the member organizations to the Public Defender’s Office and the Common Courts during the reporting period. The report also addresses the specific challenges regarding equality, identified as a result of the analysis of these cases.

Of the cases litigated by the Coalition member organizations, there were news in 45 cases during the reporting period, including the submission of appeals to the Public Defender and the Courts. In 24 cases, the perpetrator of discrimination was a private person, and in 21 cases - a public institution.

Out of the above 45 cases, discrimination on the grounds of expression, political or other views is in the first place (11 cases). In second place is discrimination and harassment on the grounds of sex (9 cases), as well as discrimination on the grounds of sexual orientation and gender identity (9 cases). Discrimination on the grounds of race, nationality, ethnicity and citizenship is in third place (4 cases), as well as discrimination on the grounds of religion (4 cases). In fourth place is discrimination on the grounds of disability (3 cases) and discrimination on the grounds of health and diagnosis (3 cases). And in the last place is discrimination by age (2 cases).

During the reporting period, the Court of First Instance found discrimination in 5 cases. 3 cases were successfully completed in the Court of Appeals. During the same period, 3 Coalition cases were appealed to the Supreme Court, the admissibility of which has not yet been decided by the court. During the reporting period, the Public Defender issued a recommendation on 5 cases brought by the coalition member organizations, and a general proposal on one.

Despite the significant legislative changes implemented in 2019, the gaps in the legislation and the discriminatory nature of certain norms were still identified in several areas during the reporting period. In order to eliminate these shortcomings, the Coalition for Equality recommends that the Parliament of Georgia remove Article 1723 - Prostitution from the Code of Administrative Offenses. Furthermore, discriminatory norms in the Law on State Property and the Tax Code, which differentiate between the Orthodox Church and other religious associations, should be eliminated immediately. It

is also necessary to amend the Law of Georgia on Common Courts, which will allow all media representatives to cover court hearings in addition to the general broadcasters. Moreover, cases of conflict of interest should be defined by procedural legislation in the case of legal representatives of the child, including the guardianship and custodianship authority.

The Coalition also calls on the Parliament to prepare a package of legislative changes that will ensure the harmonization of Georgian legislation with the basic principles of the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities. In addition, the asylum seeker who withdraws a case shall be entitled by law to re-apply to the Migration Department for asylum in the same case on the same grounds.

It should be noted that compared to the previous year, the number of cases of discrimination determined by the court has increased during the reporting period. However, the issue of determining discrimination in court remains a challenge, including in cases where the court partially upheld the claims, as the claims were upheld on other legal grounds and not under the Law on the Elimination of All Forms of Discrimination.

To address this issue, the Coalition recommends that the common courts consider in their final decisions the substantive arguments set out in the lawsuit in cases in which the defendant's alleged discriminatory action is one of the requirements, and not the only requirement; also, to properly distribute the burden of proof between the parties to discrimination disputes.

The issue of proper assessment of the existence of discriminatory treatment by the court has been particularly acute in cases involving the dismissal of persons in public institutions, presumably on the grounds of political or other views. As mentioned above, during the reporting period, the member organizations of the Coalition conducted the most cases of discrimination based on expression, political or other views, which was most acute in the area of working relations. The dismissal of individuals, including journalists, from both public and private institutions for expressing critical views about state policy was particularly problematic.

As in the previous year, the reporting period revealed cases of violation of the rights of foreign citizens and nationals and racial discrimination, which is of a systemic nature. This was manifested in the refusal to issue a residence permit and the delays in bringing religious literature across the state border. Consequently, discriminatory treatment contained many signs of discrimination, including signs of intersectional discrimination, in particular signs of discriminations on the grounds of race / nationality / citizenship and religion.

In this regard, the member organizations of the Coalition believe that it is necessary to raise the standard of substantiation of the negative residence permit decisions. Additionally, it is necessary for the Agency for the Development of Public Services to investigate all the important circumstances relevant to the case during the administrative proceedings related to the issuance of a residence permit to foreign persons and to use its discretionary powers reasonably. For its part, the State Security Service should eliminate the vicious practice of issuing to the Agency for the Development of Public Services conclusions suggesting that the presence of the applicant, especially

foreigners from Asia and Africa, wishing to obtain a residence permit in Georgia is not recommended.

Furthermore, the Ministry of Foreign Affairs of Georgia should investigate all the circumstances relevant to the case during the administrative proceedings related to the issuance of a visa to a foreigner and should not base the decision to refuse a visa on the conclusion of the State Security Service alone. Coalition member organizations also call on the Migration Department of the Ministry of Internal Affairs of Georgia to continue the timely issuance of temporary ID cards to all asylum seekers.

As for the delay in bringing religious literature to the state border, it is necessary for the representatives of the Georgian Customs Service to refrain from checking the content of religious literature at the state border.

Similar to the previous year, the issue of refusal to provide publicly available goods and services to LGBT + individuals was relevant during the reporting period. In this regard, the Court established the existence of discriminatory treatment in three cases (see Chapter 6). It should also be noted that non-dominant religious groups also faced obstacles in accessing state-owned land, in terms of the erection of religious symbols on the one hand, and the construction of a mosque on the other. In the case filed by TDI and EMC, the Batumi City Court found discriminatory treatment of the non-entrepreneurial (non-commercial) legal entity “New Mosque Construction Fund in Batumi”, which was denied the first stage construction permit by the Batumi Municipality (see Case N3.3).

As the Public Defender also noted, during the reporting period it was revealed that many politicians or other public figures still do not realize the responsibilities placed on them in the process of protecting equality and combating discrimination. Statements encouraging discrimination by politicians were made against members of ethnic and religious minorities, the LGBT + community, and women.

For example, in one of the GYLA cases, the ombudsman found that statements of the member of the Parliament Emzar Kvitsiani were tantamount to encouragement of discrimination on the grounds of ethnicity and called on the politician not to encourage discrimination against any vulnerable group in the future and to abide by the requirements of the Parliamentary Code of Ethics of February 22, 2019 (See case N1.4.). In another case, the court also found discrimination and considered the words spoken by the defendant to be hateful criticism, since its sole purpose was to insult the plaintiff and humiliate him in the eyes of citizens and viewers (see Case N6.5).

Therefore, like the Public Defender, the Coalition urges politicians to abide by the requirements of the Parliamentary Code of Ethics of February 22, 2019 and not to encourage discrimination against any vulnerable group.

შესავალი

„კოალიცია თანასწორობისთვის” არასამთავრობო ორგანიზაციების არაფორმალური გაერთიანებაა, რომელიც 2014 წელს, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის[1] მიღების პროცესში ჩამოყალიბდა. ამჟამად კოალიციაში შედის 11 არასამთავრობო ორგანიზაცია: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), კავშირი „საფარი“, უფლებები საქართველო (ყოფილი კონსტიტუციის 42-ე მუხლი), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), ადამიანის უფლებათა ცენტრი, საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი (OSGF) და თანასწორობის მოძრაობა. 2019 წელს კოალიციის თავმჯდომარედ აირჩა კავშირი „საფარი“. კოალიციის სამდივნოს ფუნქციებს ასრულებს საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი. კოალიციას გააჩნია წესდება, სტრატეგია და წევრთა მიღების წესი. კოალიციის ფინანსური მხარდამჭერია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი.

კოალიციის მიზანია დისკრიმინაციასთან ეფექტიანი ბრძოლის გზით თანასწორობის პრინციპების დაცვა[2]. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ, კოალიციაში შემავალი ორგანიზაციები, საქმიანობის სხვა მიმართულებებთან ერთად, ყოველწლიურად სწავლობენ ადამიანების ცალკეულ ჯგუფთა თანასწორობის უფლების თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობას და ამზადებენ შესაბამის კოალიციურ ანგარიშებს[3]. გარდა ამისა, კოალიციის წევრი ორგანიზაციები ახორციელებენ სამართალწარმოებას, რისთვისაც იყენებენ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ საშუალებებს[4] და ამზადებენ საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშებს.

წინამდებარე ანგარიში არის „კოალიცია თანასწორობისთვის“ საქმიანობის რიგით მეხუთე ანგარიში, რომელიც მოიცავს 2019 წლის 1-ელი იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდს[5]. ანგარიშში ასახულია კოალიციაში შემავალი ორგანიზაციების მიერ ამ პერიოდში წარმოე-

1. საქართველოს პარლამენტმა კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ 2014 წლის 2 მაისს მიიღო. მისი მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორი სარგებლობის უზრუნველყოფა.

2. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა-პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტიას.

3. 2019 წლის ანგარიში ხელმისაწვდომია ბმულზე: http://equalitycoalition.ge/article/51
იხ., ასევე, 2020 წლის ივლისში, გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) ფარგლებში წარდგენილი კოალიციური ანგარიში (ხელმისაწვდომია: http://equalitycoalition.ge/article/55) და
2018 წლის მაისში გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის ფარგლებში (UPR) წარდგენილი შუალედური კოალიციური ანგარიში (ხელმისაწვდომია: http://equalitycoalition.ge/article/27).

4. “დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, “ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა, და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება. ხოლო ამავე კანონის მე-6 მუხლის თანახმად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას, მათ შორის ფიზიკური ან იურიდიული პირის ან პირთა ჯგუფის განცხადების და საჩივრის საფუძველზე, ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი.

5. 2018 წლის ანგარიში ხელმისაწვდომია ბმულზე: http://equalitycoalition.ge/article/7

ბული საქმეები, სახალხო დამცველის აპარატსა და საერთო სასამართლოებში „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის საფუძველზე, აგრეთვე, 2019 წელს წარმოებული საქმეების საფუძველზე შედგენილი სტატისტიკა. აღსანიშნავია, რომ ანგარიშში და, შესაბამისად, სტატისტიკაში არ არის ასახული საქმეები, რომელსაც კოალიციის წევრი ორგანიზაციები აწარმოებენ, თუმცა, შესაბამისი განმხილველი ორგანოს მხრიდან 2019 წლის განმავლობაში სიახლე არ ყოფილა.

წინამდებარე ანგარიშის პირველ თავში საუბარია უშუალოდ იმ საქმეებზე, რომლებიც საანგარიშო პერიოდში აწარმოეს კოალიციის წევრმა ორგანიზაციებმა. საქმეები დაჯგუფებულია დისკრიმინაციისგან დაცული 8 საფუძვლის მიხედვით: 1. რასის, მოქალაქეობის, ეროვნული და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია; 2. გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების გამო დისკრიმინაცია; 3. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია; 4. სქესის ნიშნით დისკრიმინაცია და შევიწროება; 5. დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით; 6. დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით; 7. დისკრიმინაცია ასაკის ნიშნით და 8. ჯანმრთელობისა და დიაგნოზის ნიშნით დისკრიმინაცია. ეს უკანასკნელი სიახლეა და პირველად არის წარმოდგენილი წლიურ ანგარიშში. თითოეულ საქმესთან მიმართებით, მიმოხილულია საქმის მნიშვნელობა, მისი ფაქტობრივი გარემოებები, საქმის მიმდინარეობა და მისი სამართლებრივი შეფასება.

პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, დისკრიმინაციის საქმეების მხარეები მოხსენიებულნი არიან ინიციალებით (სახელისა და გვარის/სახელწოდების პირველი ასო). ამ წესიდან გამონაკლისია გაკეთებული იმ პირებთან მიმართებით, რომლებმაც თანხმობა გამოთქვეს, მათი სახელი და გვარი/სახელწოდება სრულად ყოფილიყო ანგარიშში მოხსენიებული. სრული სახელითა და გვარით/სახელწოდებით არიან წარმოდგენილნი ის პირებიც, რომლებმაც ამ დავებში მათი მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია თავად გახადეს საჯარო[6]. მოგონილი სახელებით და გვარებით არიან მოხსენიებულნი ის პირები და მათ საქმეში მონაწილე სხვა პირები, რომელთა ინიციალებით მოხსენიებაც კი, მოცემულ შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფდა პერსონალური მონაცემების დაცვას.

ანგარიშის მეორე თავში საუბარია პირველ თავში მოცემული საქმეების ანალიზის შედეგად იდენტიფირებულ, თანასწორობის კუთხით არსებულ განსაკუთრებულ გამოწვევებზე. აღნიშნული მოიცავს შემდეგ საკითხებს: 1. საკანონმდებლო ხარვეზები და დისკრიმინაციული ნორმები; 2. დისკრიმინაციის დადგენის პრობლემურობა სასამართლოში; 3. პოლიტიკური შეხედულებებისა და განსხვავებული აზრის გამო დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში; 4. უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობა და რასობრივი დისკრიმინაცია; 5. დისკრიმინაციის აკრძალვა საჯაროდ ხელმისაწვდომ საქონელსა და მომსახურებაზე და 6. პოლიტიკოსთა დისკრიმინაციის წამახალისებელი განცხადებები. თითოეულ პრობლემასთან მიმართებით, მოცემულია შესაბამისი რეკომენდაციები სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიმართ.

6. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა.

სტატისტიკა

კოალიციის წევრი ორგანიზაციების წარმოებაში არსებული საქმეებიდან საანგარიშო პერიოდში სიახლე იყო 45 საქმეში: საია – 19 საქმე, თანასწორობის მოძრაობა – 7 საქმე, PHR – 5 საქმე, EMC – 4 საქმე, TDI – 2 საქმე, HRC – 2 საქმე, კავშირი „საფარი“ – 2 საქმე, WISG – 1 საქმე, უფლებები საქართველო – 1 საქმე, WISG და თანასწორობის მოძრაობა – 1 საქმე, TDI და EMC – 1 საქმე.



ამ საქმეებიდან პირველ ადგილზეა გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების გამო დისკრიმინაცია (11 საქმე). მეორე ადგილზეა სქესის ნიშნით დისკრიმინაცია და შევიწროება (9 საქმე), აგრეთვე, დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით (9 საქმე). მესამე ადგილზეა რასის, ეროვნების, ეთნიკური და მოქალაქეობის ნიშნით დისკრიმინაცია (4 საქმე) და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია (4 საქმე). მეოთხე ადგილზეა დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით (3 საქმე) და ჯანმრთელობისა და დიაგნოზის ნიშნით დისკრიმინაცია (3 საქმე). ხოლო ბოლო ადგილზეა ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია (2 საქმე).



საანგარიშო პერიოდში წარმოებული საქმეები ეხებოდა როგორც პირდაპირი, ისე – ირიბი დისკრიმინაციის შესაძლო ფაქტებს[7]. 4 მათგანი შეიცავს სავარაუდო მრავალი ნიშნის მიხედვით, მათ შორის ჯვარედინი, დისკრიმინაციის ნიშნებს[8]. 45 საქმიდან 23 შემთხვევაში დისკრიმინაციის განმახორციელებელი იყო კერძო პირი, 21 შემთხვევაში კი – საჯარო დაწესებულება. 1 შემთხვევაში, მართალია, დისკრიმინაციის განმახორციელებელი სუბიექტი კერძო სამართლის იურიდიული პირია, თუმცა დაფუძნებულია მუნიციპალიტეტის მიერ და ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან[9].



საანგარიშო პერიოდში სიახლე იყო როგორც საერთო სასამართლოებში, ისე სახალხო დამცველის აპარატში წარმოებულ საქმეებთან მიმართებით, მათ შორის ამ ორი ორგანოსადმი მიმართვის თვალსაზრისით. საერთო სასამართლოებთან მიმართებით, საანგარიშო პერიოდში სიახლე იყო 22 საქმეში, ხოლო სახალხო დამველის აპარატთან დაკავშირებით – ასევე 22 საქმეში[10]. ამასთან, საქართველოს სახალხო დამცვე-

7. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.
ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

8. მრავალი ნიშნის მიხედვით დისკრიმინაცია არის დისკრიმინაცია ორი ან მეტი ნიშნის გამო. ინტერსექციური (ჯვარედინი) დისკრიმინაცია არის მრავალი ნიშნით დისკრიმინაციის ფორმა, რომელიც ხდება რამდენიმე დაცული ნიშნის ურთიერთგადაკვეთის შედეგად, როდესაც აღნიშნული ნიშნები, ცალკე აღებული, არ ქმნის დისკრიმინაციის შემადგენლობას.

9. იხ. საქმე N2.8: „კ.ო. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ის წინააღმდეგ“.

10. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ საქმეზე, უფლებები საქართველომ მიმართა როგორც სასამართლოს, ისე – სახალხო დამცველის აპარატს. ვინაიდან საქმე უკვე სასამართლოს წარმოებაში იყო, სახალხო დამცველმა აღარ იმსჯელა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენაზე, მაგრამ მიუთითა განმცხადებელს ანალოგიურ საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რომლებშიც სახალხო დამცველმა დისკრიმინაციის ფაქტი დაადგინა. იხ. საქმე N2.3: „დავით სორდია “საქართველოს ფოსტის” წინააღმდეგ“.

ლის მიერ, PHR-ის მიმართვის საფუძველზე, სასამართლოში წარდგენილ იქნა სასამართლო მეგობრის მოსაზრება. ერთ-ერთ საქმეზე TDI მესამე პირად ჩაერთო სახალხო დამცველთან.



საანგარიშო პერიოდში, პირველი ინსტანციის სასამართლომ დისკრიმინაცია დაადგინა 5 საქმეში. ერთ საქმეში კი სასამართლომ გააუქმა ტრანსგენდერი ქალების მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, ხოლო უცნობი ორი პიროვნება, რომელიც მათ გენდერული და ტრანსფობიური ნიშნით აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, ცნო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენაში[11]. მხარეთა შორის მორიგების საფუძველზე დასრულდა ერთი საქმე[12]. პირველი ინსტანციის სასამართლომ, საანგარიშო პერიოდში, 4 საქმეში ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი (ამ შემთხვევებში, სარჩელი არ დაკმაყოფილდა დისკრიმინაციის დადგენის ნაწილში), ხოლო 2 საქმეში საერთოდ არ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა. დისკრიმინაციის დადგენაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს უარყოფითი გადაწყვეტილება მოსარჩელის მიერ საანგარიშო პერიოდში გასაჩივრდა 5 საქმეში, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოში საანგარიშო პერიოდში წარდგენილ 4 საქმეზე ამავე პერიოდში გადაწყვეტილება არ მიღებულა.

სააპელაციო სასამართლოში წარმატებით დასრულდა სამი საქმე: ორ საქმეში სასამართლომ გააუქმა არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობის მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. ერთ-ერთ მათგანში სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მხრიდან არასრულყოფილად მოხდა საქმის არსებითი ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა და არასწორი იურიდიული შეფასება მიეცა მას; მეორე საქმეში კი, სასამართლომ მიუთითა, რომ სახეზე იყო ოჯახური კონფლიქტი, რისი იდენტიფიცირებაც ვერ შეძლო პირველი ინსტანციის სასამართლომ.

რაც შეეხება მესამე წარმატებულ საქმეს, სააპელაციო სასამართლომ გაზარდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკისრებული მორალური ზიანის ოდენობა, რამდენადაც მიიჩნია, რომ მოპასუხისათვის მხოლოდ 1 ლარის დაკისრებამ ვერ უზრუნველყო მასზე სა-

11. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 166 – წვრილმანი ხულიგნობა. იხ. საქმე N6.7: „თ. ქ. და მ. კ. ლ. ო.-სა და ლ. კ.-ს წინააღმდეგ“.

12. საქმე N4.6: “ნ.შ. შპს “აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიას” წინააღმდეგ”.

თანადო ზემოქმედება[13]. საანგარიშო პერიოდში, სააპელაციო სასამართლომ უარი თქვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებასა და დისკრიმინაციის დადგენაზე 2 საქმეში. ამავე პერიოდში, უზენაეს სასამართლოში გასაჩივრდა კოალიციის 3 საქმე, რომელთა დასაშვებობის საკითხიც სასამართლოს ჯერ არ გადაუწყვეტია[14].

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველმა კოალიციის წევრი ორგანიზაციების მიერ წარმოებულ 5 საქმეზე გამოსცა რეკომენდაცია, ხოლო ერთზე – ზოგადი წინადადება. საქმის წარმოება შეწყდა 11 საქმეზე[15], ხოლო საანგარიშო პერიოდში წარდგენილ 5 განცხადებაზე წარმოება კვლავ მიმდინარეობს.

13. საქმეები N8.2: „მ. კ. შპს "რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის" წინააღმდეგ"; N8.1: „ი.მ. შპს "N 5 კლინიკური საავადმყოფოს" წინააღმდეგ"; და N6.5: „ლევან ბერიანიძე ბ. დ.-ს წინააღმდეგ"

14. საქმე N1.1: „ფ. ს. სსიპ "სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წინააღმდეგ"; საქმე N2.2: „ნ. ნ. და მ. კ. მესტიის მუნიციპალიტეტის მერის წინააღმდეგ"; და საქმე N4.4: „ნ. კ. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს წინააღმდეგ"

15. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველი წყვეტს საქმის წარმოებას, თუ სავარაუდო დისკრიმინაციის იმავე ფაქტის გამო: ა) საქმეზე არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება; ბ) განცხადების/საჩივრის განხილვის შედეგად არ დადასტურდა დისკრიმინაციის ფაქტი.

თავი I.
საანგარიშო პერიოდში წარმოებული საქმეები

1. რასის, მოქალაქეობის, ეროვნული და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით, პირდაპირ არის აკრძალული დისკრიმინაცია რასის, კანის ფერისა და ეთნიკური კუთვნილების საფუძველზე. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტში ეროვნული და მოქალაქეობის ნიშნით დისკრიმინაცია პირდაპირ არ არის მოხსენიებული, თუმცა, მოიაზრება სხვა ნიშანში. საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სხვა სახელმწიფოს საქართველოში მცხოვრებ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვთ, გარდა კონსტიტუციით და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა[16].

აღსანიშნავია, რომ კვლავ პრობლემურია "სახელმწიფო სერვისების განვთარების სააგენტოს" ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის საკითხი რასის, ეროვნებისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეობის, აგრეთვე, რელიგიური საქმიანობის ნიშნით[17]. ადგილი ჰქონდა მოქალაქეობის/ეროვნული ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციულ პრაქტიკას ერთი მხრივ სამედიცინო დაწესებულებაში მოპყრობის, მეორე მხრივ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროგრამაზე წვდომის თვალსაზრისით. ასევე, აქტუალურია საჯარო პირების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების საკითხი, ამ შემთხვევაში, პარლამენტის წევრის მიერ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთან მიმართებით. ამ უკანასკნელზე სახალხო დამცველმა ზოგადი წინადადება გამოსცა.

1.1. ფ. ს. სსიპ "სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე უკავშირდება სახელმწიფოს მხრიდან ბოლოდროინდელ სავარაუდო დისკრიმინაციულ პრაქტიკას აზიის და აფრიკის კონკრეტული ქვეყნების წარმომადგენლების მიმართ. ამ დისკრიმინაციას სისტემური ხასიათი აქვს და ის განპირობებულია ხელისუფლების დისკრიმინაციული პოლიტიკით. შესაბამისად, საქმეს სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია.

ფაქტობრივი გარემოებები: ფ. ს. ნიგერიის მოქალაქეა და საქართველოში 2012 წლის 20 მაისიდან მოყოლებული ცხოვრობს. ამასთან, ფ. ს. ქრისტიანობის პროტესტანტული ფრთის ერთ-ერთი კონფესიის სასულიერო ლიდერია. მის ძირითად შემოსავალს სწორედ რელიგიური მოღვაწეობიდან გამომდინარე ხელფასი წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, მან შრომითი ბინადრობის ნებართვის მოთხოვნით სსიპ "სახელმწიფო სერვისების განვთარების სააგენტოს" 2017 წლის 27 სექტემბერს მიმართა. იმავე წლის 9 ოქტომბერს, მას უა-

რი ეთქვა მოთხვნის დაკმაყოფილებაზე შემდეგი საფუძვლით: “განცხადების განხილვისას დადგინდა, რომ ფ. ს.-ს მიმართ არსებობს “უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ” საქართველოს კანონის მე–18 მუხლის “ა” და “გ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი”[18]. შესაბამისად, უარი დაეფუძნა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უარყოფით დასკვნას, მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეწონილობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ დასკვნის საფუძვლად არსებულ მტკიცებულებებს სახელმწიფო საიდუმლოების სტატუსი გააჩნია, რის გამოც, როგორც მხარისთვის, ისე ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოსთვისაც უცნობია კონკრეტული მიზეზები პირისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლობის შესახებ.

საქმის მიმდინარეობა: ფ. ს.-მ, TDI-ს დახმარებით, 2017 წლის ივლისში მიმართა სასამართლოს და მოითხოვა დისკირმინაციული ქმედების შეწყვეტა და მორალური ზიანის ანაზღაურება. პირველი ინსტანციის სასამართლომ უარი განაცხადა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. საქმე სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდა. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი არგუმენტაცია. შესაბამისად, 2018 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით, არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი და ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. 2019 წლის მარტში, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გასაჩივრდა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქმე დასაშვებობის შესამოწმებლად მიიღო, რისი განხილვაც ამ დრომდე მიმდინარეობს.

სამართლებრივი შეფასება: პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელე არის სასულიერო პირი, რომელიც ღვთისმსახურებას ეწევა საქართველოში, ერთ-ერთ ეკლესიაში. აღნიშნულ ეკლესიასთან მოსარჩელე შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაშია და იღებს შესაბამის შემოსავალს. ასევე, დადგინდა, რომ მოსარჩელეს, 2012 წლიდან მოყოლებული, რამდენიმეჯერ ჰქონდა მიღებული სასწავლო ბინადრობის ნებართვა. სასამართლომ დახურულ სხდომაზე, მხარეთა დასწრების გარეშე, შეისწავლა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან გამოთხოვილი სახელმწიფო საიდუმლოების სტატუსის მქონე ინფორმაცია და მტკიცებულებები მოსარჩელის საქართველოში ცხოვრების მიზანშწუწონლობასთან დაკავშირებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში “არ დასტურდებოდა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილების გადაცილების ფარგლები”. შესაბამისად, სასამართლომ არ მიიჩნია უკანონოდ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილება. რაც შეეხება უშუალოდ დისკრიმინაციულ მოპყრობას, სასამართლომ დისკრიმინაცია დადგენილად არ მიიჩნია.

1.2. ვ. ა. ა. ე. ქირურგიის ეროვნული ცენტრის წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე უკავშირდება კერძო კლინიკის მხრიდან სავარაუდო დისკრიმინაციულ პრაქტიკას, რასაც, სავარაუდოდ, სისტემატიური ხასიათი აქვს.

18. მუხლი 18. საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები
1. უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ:
ა) არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ;
გ) იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

ფაქტობრივი გარემოებები: ვ. ა. ა. ე. ეგვიპტის მოქალაქეა. მისი მამა მკურნალობის კურსს გადიოდა ქირურგიის ეროვნულ ცენტრში. 2019 წლის 18 თებერვალს, მონახულების საათებში, მან შეამჩნია, რომ მამამისს ფეხის და წელის არეში აღენიშნებოდა ღია ჭრილობები, დაუმუშავებელი, რომელშიც გაჩენილი იყო მატლები. მან თავისი უკმაყოფილება დააფიქსირა ადმინისტრაციასთან, თუმცა 2019 წლის 19 თებერვალს იგივე მდგომარეობა დახვდა. მან გაწმინდა მამის სხეული, აიღო მატლიანი სახვევები და გამოჰქონდა გარეთ, რა დროსაც საავადმყოფოს დაცვის თანამშრომლებმა მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა.

საქმის მიმდინარეობა: ვ. ა. ა. ე.-მ, თანასწორობის მოძრაობის დახმარებით, 2019 წლის 26 თებერვალს განცხადებით მიმართა სახალხო დამცველს. იგი ითხოვდა ქირურგიის ეროვნულ ცენტრში სამედიცინო პერსონალის მხრიდან შესაძლო გულგრილობის ფაქტის შესწავლას. სახალხო დამცველმა რეაგირებისთვის მიმართა სსიპ საქმიანობის რეგულირების სააგენტოს. 2019 წლის 24 ოქტომბერს, სახალხო დამცველმა წარმომადგენელ ორგანიზაციებს აცნობა, რომ დადგა კლინიკის ორი ექიმის პასუხისმგებლობის საკითხი. კერძოდ, მათ მიეცათ წერილობითი გაფრთხილება. შედეგად, სახალხო დამცველმა, ვინაიდან საქმეზე დადგა ექიმების პასუხისმგებლობის საკითხი, შეწყვიტა საქმის წარმოება.

1.3. ვ. დ. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინაღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია, რადგან ეხება ჯანმრთელობისთვის ისეთ საციცოცხლოდ მნიშვნელოვან პროგრამაზე წვდომის შესაძლებლობას, როგორიცაა C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამა.

ფაქტობრივი გარემოებები: ვ. დ. რუსეთის მოქალაქეა. იგი 1998 წლიდან მუდმივად ცხოვრობს საქართველოში, და არის საქართველოში ბინადრობის მუდმივი ნებართვის მქონე პირი. ამასთან, იგი იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში საქართველოს მოქალაქესთან. მას აქვს C ჰეპატიტი და ესაჭიროება C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამით სარგებლობა, რაზეც უარი ეთქვა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, ვინაიდან არ არის საქართველოს მოქალაქე. ამავე მიზეზით, იგი ასევე ვერ სარგებლობს იმ შეღავათებით, რომლებიც განსაზღვრულია მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები ფიზიკური პირებისათვის. ამასთან, მისი ეკონომიკური მდგომარეობა არის უაღრესად მძიმე. ადეკვატური მკურნალობის არარსებობის პირობებში, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმდება და ფატალურ შედეგამდეც კი შეიძლება მივიდეს.

საქმის მიმდინარეობა: 2019 წლის 30 ოქტომბერს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის მოთხოვნით, საიამ სახალხო დამცველს მიმართა. სახალხო დამცველმა მიმართა სამინისტროს ხოლო ,,მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მოსარგებლეთა სიიდან განმცხადებლის გამორიცხვის შესახებ. სახალხო დამცველის აპარატის მიერ ვ. დ.-ს ეცნობა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებული აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და შესაბამისად, სახალხო დამცველი მოკლებულია შესაძლებლობას, მოახდინოს რეაგირება. საქმეზე კვლავ მიმდინარეობს წარმოება.

1.4. მირტაგ ასადოვი ემზარ კვიციანისა და სოფიო კილაძის წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია, რამდენადაც ეხება სიძულვილის ენას, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას, ეთნიკური უმცირესობების მიმართ. ასევე მნიშვნელოვანია პარლამენტის წევრის მხრიდან ეთიკის კოდექსის დაცვასთან დაკავშირებით მოწოდება.

ფაქტობრივი გარემოებები: 2019 წლის 21 იანვარს, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა გაიმართა, რომელსაც რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე ქვეყანაში რელიგიის კუთხით არსებული გამოწვევები განიხილებოდა. შეხვედრის ფარგლებში გაიჟღერა მოსაზრებამ ნიქაბისა და ბურკის აკრძალვის შესახებ. შეხვედრას ასევე ესწრებოდა მირტაგ ასადოვი, რომელიც გახლავთ სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველოს თავმჯდომარე. შეიხი მირტაგ ასადოვის გამოსვლის შემდეგ, პარლამენტის წევრმა, ემზარ კვიციანმა, აგრესიულად ჰკითხა მირტაგს, თუ ვის წარმოადგენდა იგი და იყო თუ არა საქართველოს მოქალაქე. როცა დადებითი პასუხი მიიღო, პარლამენტარმა შეურაცხმყოფელი ტონით უყვირა მას, თუ რატომ არ იცოდა ქართული და თუ არ იცოდა, საერთოდ რას ლაპარაკობდა.

საქმის მიმდინარეობა: აღნიშნულ ფაქტზე მირტაგ ასანოვმა, საიას დახმარებით, 2019 წლის 13 თებერვალს სახალხო დამცველის აპარატს მიმართა და დისკრიმინაციის დადგენა მოითხოვა. საქმის განხილვისას, აპარატმა წერილობით მიმართა სავარაუდო დისკრიმინაციის განმახორციელებელ პირებს, ემზარ კვიციანსა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს – სოფიო კილაძეს, და მათგან ახსნა-განმარტება მოითხოვა. ამ უკანაკნელმა უპასუხა სახალხო დამცველს და უარყო მისი მხრიდან დისკრიმინაციის განხორციელება, რამდენადაც სხდომისას მან მოუწოდა ემზად კვიციანს სიძულვილის ენის არგამოყენების თაობაზე. ემზარ კვიციანმა არ უპასუხა სახალხო დამცველს. შედეგად, იმავე წლის 16 აგვისტოს, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ ემზარ კვიციანის მიმართვა მირტაგი ასადოვისადმი იყო ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით დისკრიმინაციის წახალისების შემთხვევა და გამოსცა ზოგადი წინადადება. სახალხო დამცველმა მიმართა ემზარ კვიციანს, მომავალში არ წაახალისოს დისკრიმინაცია რომელიმე დაუცველი ჯგუფის მიმართ და დაიცვას 2019 წლის 22 თებერვლის პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსის მოთხოვნები.

სამართლებრივი შეფასება: სახალხო დამცველის თანახმად, იმის გათვალისწინებით, რომ ეთნიკური უმცირესობების სრულყოფილი ინტეგრაცია ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში საქართველოსთვის პრობლემად რჩება, პოლიტიკოსების მხრიდან დისკრიმინაციის წამახალისებელი განცხადებები უარყოფითად აისახება ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებაზე და შემწყნარებლური გარემოს ჩამოყალიბებაზე. ამდენად, აუცილებელია, საჯარო პირებმა გააცნობიერონ საკუთარი პასუხისმგებლობა, არ წააქეზონ დისკრიმინაცია უმცირესობათა მიმართ და ხელი შეუწყონ თანასწორი და ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფას.

როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, ნებისმიერი ადამიანის მიმართ შემწყნარებლობა და თანაბარი პატივისცემა წარმოადგენს პლურალისტული დემოკრატიული საზოგადოების საფუძველს. ამიტომ, დემოკრატიულ საზოგადოებებში პრინციპულად აუცილებელია გარკვეული სანქციების დაწესება აზრის გამოხატვის ისეთი ფორმების მიმართ, რომლებიც ავრცელებენ, პროვოცირებას და სტიმულირებას უწევენ, ან

ამართლებენ შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ სიძულვილს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომის თანახმად, სიტყვის და აზრის თავისუფლება არ განეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას და სასამართლო ითვალისწინებს მისი შეზღუდვის შესაძლებლობას, იმ შემთხვევებში, თუ გამოხატვის თავისუფლება ლახავს სხვათა უფლებებს.

განსახილველი შემთხვევის კონტექსტში, საქართველოს სახალხო დამცველმა იმედი გამოთქვა, რომ პრაქტიკაში ეფექტიანად იქნება გამოყენებული საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 თებერვლის დადგენილება „საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“, როგორც დისკრიმინაციის წახალისების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება. ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის ,,ო“ პუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრისთვის დაუშვებელია სხვისი ღირსების შემლახველი, უხამსი, სექსისტური, დისკრიმინაციული გამოსვლა, მიმართვა, მოქმედება და სიძულვილის ენის სხვაგვარი გამოყენება.

2. გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების გამო დისკრიმინაცია

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, იკრძალება დისკრიმინაცია პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების გამო. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი დამატებით მიუთითებს დისკრიმინაციისგან დაცულ ისეთ საფუძველზე, როგორიცაა გამოხატვა.

საანგარიშო პერიოდში, კვლავ გამოწვევად რჩება პირთა სავარაუდო დისკრიმინაცია გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების გამო[19]. სფეროს თვალსაზრისით, ამ ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ყველაზე მეტი შემთხვევა შრომით ურთიერთობებში შეიმჩნევა[20]. კვლავ გავრცელებულ პრობლემად რჩება, სავარაუდოდ, პოლიტიკური კუთვნილების, კრიტიკული მოსაზრებების ან განსხვავებული შეხედულების გამო ადამიანების სამსახურიდან გათავისუფლება, მათ შორის საჯარო დაწესებულებებიდან[21]. ადგილი ჰქონდა ოჯახის წევრებს შორის ამავე ნიშნით ჩუქების ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნასაც, რომელზეც სასამართლომ დაადგინა დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის არსებობა.

2.1. ხათუნა ბერიძე, საქართველოს XI მოწვევის პარლამენტის წევრის ანზორ ბოლქვაძის და შპს “ფონი +”-ის წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: ეს საქმე მნიშნელოვანია, რადგან შეეხება სასტუმროს ნომრით სარგებლობის უფლების გამოყენებას. შესაბამისად, საქმის განმხილველ ორგანოს უნდა შეეფასებინა, მოხდა თუ არა უფლების შეზღუდვა პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის საფუძვლით.

ფაქტობრივი გარემოებები: მპგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტი, ხათუნა ბერიძე 2019 წლის 7 მაისს, წინასაარჩევნო პროცესის დაკვირვების მიზნით, ხულოში იმყოფებოდა. მან ორი დღით სასტუმრო „ხულოში“ ნომერი იქირავა. აღნიშნული სასტუმრო არის შპს „ფონი +“-ის საკუთრებაში, რომლის 100% წილის მფლობელიც საქართველოს პარლმენტის წევრის, ანზორ ბოლქვაძის, მეუღლეა. 7 მაისს, დღის განმავლობაში, ხათუნა ბერიძე ამზადებდა სიუჟეტს ხულოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. სასტუმროში დაბრუნების შემდეგ, ხათუნა ბერიძეს თავის ნომერში საქართველოს პარლამეტის წევრი ანზორ ბოლქვაძე დახვდა, რომელმაც ბერიძეს სასტუმროს ნომრის დაცლა მოსთხოვა. მოთხოვნის მიზეზად სასტუმროს ადმინისტრაციამ ტექნიკური შეფერხება/საფრთხე დაასახელა.

საქმის მიმდინარეობა: ხათუნა ბერიძემ, საიას დახმარებით, 2019 წლის 20 აპრილს სახალხო დამცველს მიმართა და პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა

19. ამ თავში მოცემული 11 საქმიდან 6 საქმე ეხებოდა სხვა შეხედულების/გამოხატვის გამო სავარაუდო დისკრიმინაციას. პოლიტიკური ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციას შეეხებოდა 5 საქმე.

20. 8 საქმე. საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო.

21. საჯარო დაწესებულებიდან გათავისუფლების 4 საქმე, კერძო დაწესებულებიდან – 3 საქმე, ხოლო კერძო, მაგრამ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებული დაწესებულებიდან – 1 საქმე.

და შესაბამისი რეკომენდაციის გაცემა მოითხოვა. 2019 წლის 24 მაისს, საქართველოს სახალხო დამცველმა ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით მიმართა შპს "ფონი +" -ს და საქართველოს პარლამენტის წევრ ანზორ ბოლქვაძეს. 2019 წლის 19 ივნისს სახალხო დამცველმა ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოს გენერალური პროკურატურიდანაც. აღნიშნულ საქმეში სახალხო დამცველმა არ დაადგინა დისკრიმინაციის არსებობა.

სამართლებრივი შეფასება: სახალხო დამცველის პასუხის თანახმად, დისკრიმინაციის არსებობისთვის სავარაუდო დისკრიმინაციის მსხვერპლის უფლებაში ჩარევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. უფლებადარღვევის არარსებობა გამორიცხავს დისკრიმინაციის ფაქტს. ამდენად, აღნიშნულ შემთხვევაში, სწორედ სასტუმროს ნომრით სარგებლობის ჭრილში მოხდა უფლების დარღვევის არსებობის შეფასება. სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებიდან იკვეთება სასტუმროს დატოვების მოთხოვნა, თუმცა, არ იკვეთება, მოხდა თუ არა სასტუმროს იძულებით დატოვება ფაქტობრივად, რაც არსებითი მნიშვნელობის არის განმცხადებლის უფლებაში ჩარევის შესაფასებლად. გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანი 8 მაისს დაბრუნდა ბათუმში და ნომრის გასაღები თან ჰქონდა (ხათუნა ბერიძეს გადახდილი ჰქონდა 2 ღამის საფასური, 8 მაისის ჩათვლით), საქმეში არსებული მასალებიდან არ დგინდება, რეალურად შეეშლებოდა თუ არა ხელი ხათუნა ბერიძეს 8 მაისს სასტუმროთი სარგებლობაში. ამდენად, სახალხო დამცველმა შეწყვიტა საქმის წარმოება, რადგან მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეში არ დგინდებოდა დისკრიმინაციის ფაქტი, ვინაიდან უფლებაში ფაქტობრივად ჩარევა არ გამოიკვეთა.

2.2. ნ. ნ. და მ. კ. მესტიის მუნიციპალიტეტის მერის წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია, რამდენადაც ეხება სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ კრიტიკული მოსაზრების გამოთქმის გამო სავარაუდო დისკრიმინაციას შრომით ურთიერთობებში.

ფაქტობრივი გარემოებები: ნ. ნ. და მ. კ. „სვანეთის ახალგაზრდული მოძრაობის" ლიდერები არიან, რომლებიც აქტიურად ეწინააღმდეგებიან სვანეთში დაგეგმილი 57 ჰესის მშენებლობას. ისინი ხშირად არიან აქციის ორგანიზატორები, გამოდიან აქციაზე სიტყვით და მედიაში ახმოვანებენ მოძრაობის პოზიციას. გარდა ამისა, ისინი მოსახლეობის სახელით, მოძრაობის სხვა წევრებთან ერთად, ხშირად ესწრებიან შეხვედრებს სახელმწიფოს, კომპანიისა და სხვა პირების მონაწილეობით, მართავენ საჯარო შეხვედრებს ან არიან მათი თანაორგანიზატორები. მოსარჩელეები, ამავდროულად, იყვნენ მესტიის მუნიციპალური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის (ა(ა)იპ) თანამშრომლები.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერი კაპიტონ ჟორჟოლიანი რეგიონში ჰესების მშენებლობას „სასიცოცხლოდ აუცილებელ" პროექტად მიიჩნევს და ღიად აფიქსირებს მხარდაჭერას ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით. მესტიის მუნიციპალიტეტის მერმა სვანეთში ჰესების მშენებლობის აქციების ერთ-ერთი გააქტიურების პერიოდში მიიღო გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების რეორგანიზაციის შესახებ და, შედეგად, ჰესების მშენებლობის მოწინააღმდეგე პირების სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე.

საქმის მიმდინარეობა: ნ. ნ.-მ და მ. კ.-მ, EMC-ის დახმარებით, 2018 წელს მიმართეს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს, და დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტა და მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვეს სიმბოლურად, 1 ლარის ოდენობით.

პირველი ინსტანციის 2019 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა მოთხოვნები: გაუქმდა სადავო ბრძანება მოსარჩელეების სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე და მუნიციპალიტეტს დაეკისრა თითოეულისათვის კომპენსაციის გადახდა. არ დაკმაყოფილდა მოსარჩელეების მოთხოვნა დისკრიმინაციის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე. გადაწყვეტილება ორივე მხარის მიერ გასაჩივრდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, 2019 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებით, არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი და ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. იმავე წლის 27 დეკემბერს, აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში.

სამართლებრივი შეფასება: საქმეში პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა შრომით-სამართლებრივი მოთხოვნები კანონიერი იყო და დააკმაყოფილა, ხოლო დისკრიმინაციის ფაქტზე მსჯელობისას მიიჩნია, რომ არ არსებობდა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. სასამართლომ იმსჯელა, რომ მიუხედავად საქმეში არსებული მასალებისა, დისკრიმინაციული გათავისუფლების მოტივი სარწმუნოდ ვერ დადასტურდა. პირველი ინსტანციის სასამართლოსგან განსხვავებით, სააპელაციო სასამართლომ მტკიცების ტვირთზე მიუთითა და მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მიუთითა, რომ „დისკრიმინაციული მოპყრობა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება“.

2.3. დავით სორდია “საქართველოს ფოსტის” წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: მართალია, პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა და მოპასუხეს მოსარჩელის სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება დაავალა. თუმცა, აღნიშნულის შესრულება შეუძლებელი გახადა მოპასუხის მიერ შემდგომში გამოცემულმა ბრძანებამ, რომლითაც გაუქმდა ეს კონკრეტული თანამდებობა, რასთან დაკავშირებითაც პარალელურად მიმდინარეობს წარმოება.

ფაქტობრივი გარემოებები: დავით სორდია დასაქმებული იყო „საქართველოს ფოსტაში“ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური კოორდინატორის თანამდებობაზე. 2018 წლის 17 აპრილს, იგი და ზუგდიდის სერვისცენტრის მენეჯერი, ალექსანდრე გეთია, დაიბარა საქართველოს ფოსტის დირექტორმა ლევან ჩიკვაიძემ. დირექტორმა ორივეს განუმარტა, რომ სამსახურიდან უნდა წასულიყვნენ, აღნიშნულის მიზეზად კი დავით სორდიას პოლიტიკური აქტიურობა დასახელდა. 2018 წლის 26 აპრილს, დავით სორდიას გაუგზავნეს შეთანხმება ხელშეკრულების ნებაყოფლობით შეწყვეტის შესახებ. აღნიშნულ ხელშეკრულებას დავით სორდიამ ხელი არ მოაწერა. 2018 წლის 22 მაისს, საქართველოს ფოსტამ გამოსცა ბრძანება დავით სორდიას დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

საქმის მიმდინარეობა: დავით სორდიამ, უფლებები საქართვლოს დახმარებით, სასამართლოს 2018 წლის 22 ივნისს მიმართა. იგი ითხოვდა განთავისუფლების ბრძანების გაუქმებას, სამსახურში აღგდენას, განაცდურის და პოლიტიკური შეხედულების ნიშნით დისკრიმინაციული ქმედების შედეგების აღმოფხვრას (დისკრიმინაციის დადგენა). 2019 წლის 11 მარტის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, სადავო ბრძანება სასამართლომ გააუქმა და შპს „საქართველოს ფოსტას” დაავალა დავით სორდიას

სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება. თუმცა, საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დაადგინა დისკრიმინაცია.

პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მოსარჩელის მიერ 2019 წლის 11 აპრილს. 17 ივნისის სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე საქართველოს ფოსტამ წარმოადგინა 13 ივნისის ბრძანება საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლითაც ფაქტიურად გაუქმდა მხოლოდ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური კოორდინატორის თანამდებობა. აღნიშნული ბრძანება ცალკე სარჩელით გასაჩივრდა დავით სორდიას მიერ 2019 წლის 12 ივლისს. აღნიშნულ საქმეებზე საანგარიშო პერიოდში საბოლოო გადაწყვეტილებები არ მიღებულა.

საქმეზე, ასევე, დავით სორდიამ უფლებები საქართველოს დახმარებით მიმართა სახალხო დამცველის აპარატს დისკრიმინაციის დადგენის მოთხოვნით. ვინაიდან საქმე უკვე სასამართლოში იყო, სახალხო დამცველმა აღარ იმსჯელა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენაზე, თუმცა, მიუთითა განმცხადებელს ანალოგიურ საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე, სადაც სახალხო დამცველმა დისკრიმინაციის ფაქტი დაადგინა.

სამართლებრივი შეფასება: პირველი ინსტანციის სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია საქმეზე დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტზე. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ აღნიშნულ ნაწილში მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, გადაწყვეტილებაში არ ასახა მსჯელობა და არ მიუთითა ის საფუძვლები, რის გამოც არ გაიზიარა პოზიცია დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტთან დაკავშირებით.

2.4. ნ. მ. სამაუწყებლო კომპანიის წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავისუფალი ჟურნალისტიკის ხელშეწყობის და შესაძლო დისკრიმინაციის შემთხვევების გამოვლენისა და პრევენციის კუთხით.

ფაქტობრივი გარემოებები: ჟურნალისტი ნ.მ. (გამოგონილია) მუშაობდა ერთ-ერთი რეიტინგული გადაცემის წამყვანად და ჟურნალისტური საქმიანობის ფარგლებში გამოხატავდა კრიტიკულ აზრს მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ მისი საქმიანობის მიმართ ხშირად კეთდებოდა უარყოფითი შეფასებები ხელისუფლების სხვადასხვა შტოებთან დაკავშირებული პირების მიერ. ტელევიზიასთან დაკავშირებული ხმაურიანი პროცესების შემდგომ, განხორციელდა კომპანიის მესაკუთრეების ცვლილება, რომლებმაც პირობა დადეს, რომ სარედაქციო პოლიტიკა არ შეიცვლებოდა და ჟურნალისტებს კვლავ ექნებოდათ საშუალება, გაეგრძელებინათ თავისუფალი საქმიანობა. ამის მიუხედავად, კომპანიის ახალი დირექტორის მიერ გაჟღერდა ინფორმაცია, რომ ჟურნალისტთა ნაწილი მისი გადაწყვეტილებით დატოვებდა არხს. აღსანიშნავია, რომ კრიტიკულად მოაზროვნე ჟურნალისტები არამარტო გათავისუფლების მსხვერპლნი გახდნენ, არამედ მათ ვეღარ მიიღეს იმ თვეების ანაზღაურებაც, რომელიც უკვე ნამუშევარი ჰქონდათ. ჟურნალისტს მიაჩნია, რომ გახდა დისკრიმინაციის მსხვერპლი, მისი თავისუფალი ჟურნალისტური საქმიანობიდან გამომდინარე.

საქმის მიმდინარეობა: ნ. მ.-მ (გამოგონილია), საიას დახმარებით, 2019 წლის 8 ოქტომბერს სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა დისკრიმინაციის დადგენა და მისი შედეგების აღმოფხვრა. საანგარიშო პერიოდში, პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმე წარმოებაში განსახილველად მიიღო, თუმცა გადაწყვეტილება ამ დრომდე არ მიუღია.

2.5. ვ. მ. (გამოგონილია) სპეციალური პენიტენციური სამსახურის, იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის №8 დაწესებულების (პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება) წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: აუცილებელია ისეთი რეგულაციების შექმნა, რომლებიც სრულფასოვნად დაიცავს სპეციალური პენიტენციური სამსახურის დაწესებულებებში მყოფ სპეციალური კვების საჭიროებების მქონე პირთა ინტერესებს. მოცემულ საქმეზე დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა მნიშვნელოვანია, რათა შეიცვალოს რეგულაციები და მოხდეს სპეციალური პენიტენციური სამსახურის დაწესებულებებში მყოფი სპეციალური კვების საჭიროებების მქონე პირთა ისეთი საკვებით უზრუნველყოფა, რომელიც საფრთხეს არ შეუქმნის ამ პირთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს და არ ხელყოფს მათ რელიგიურ და მსოფლმხედველობრივ შეხედულებებს.

ფაქტობრივი გარემოებები: ვ. მ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა, რაც მოგვიანებით გირაოთი შეეცვალა. ვ. მ. იყო ვეგანი, რომელსაც, არსებული რეგულაციებიდან გამომდინარე, მიეწოდებაოდა სტანდარტული საკვები მენიუ, რაც ყველა პატიმრის შემთხვევაშია. მას არ მიეწოდებოდა ვეგანური საკვები, რაც იწვევდა მისი ჯანმრთელობის დაზიანებას, რადგან აღნიშნული პირი სხვა ტიპის საკვებს ვერ იღებდა როგორც მსოფლმხედველობიდან, ისე წლების განმავლობაში ორგანიზმის ცხოველქმედებიდან გამომდინარე.

საქმის მიმდინარეობა: საიამ 2019 წლის აგვისტოს მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და აღმოფხვრის მოთხოვნით. ამის შემდეგ, ვ. მ. საპატიმრო დაწესებულებიდან გამოვიდა. შედეგად, საქართველოს სახალხო დამცველმა უარი განაცხადა სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის შეფასებაზე და საქმის წარმოება შეწყვიტა.

სამართლებრივი შეფასება: სახალხო დამცველის განმარტებით, ვინაიდან ვ. მ. გამოვიდა საპატიმრო დაწესებულებიდან და, შესაბამისად, დისკრიმინაციის ფაქტის აღმოფხვრა შეუძლებელი გახდა, არ იყო გამართლებული სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის დადგენაზე წარმოების გაგრძელება. სახალხო დამცველისაგან პასუხის მიღების შემდგომ, მიუხედავად სახალხო დამცველისათვის არაერთი წერილობით მიმართვისა, რომ წარსულში უკვე მომხდარი და დასრულებული სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტი შეფასებულიყო და დადგენილიყო, ჰქონდა თუ არა ადგილი დისკრიმინაციას, აღნიშნული სახალხო დამცველის მხრიდან მაინც არ შეფასებულა და საბოლოოდ განგვემარტა, რომ რადგან საპატიმრო დაწესებულებამ გამოთქვა მზაობა სამომავლოდ ამ პრობლემის აღმოფხვრისათვის და რადგან პირი გამოვიდა საპატიმრო დაწესებულებიდან, გამართლებული არ იქნებოდა სავარაუდო დისკრიმინაციის უკვე მომხდარი ფაქტის დადგენაზე წარმოების გაგრძელება.

2.6. ბ. მ. (გამოგონილია) სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: სახელმწიფო დაწესებულებებში პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად და აღნიშნული კუთხით მტკიცების ტვირთის სწორად გადანაწილების კუთხით საქმე მნიშვნელოვანია. ამასთან, მნიშვნელოვანია სასამართლოს განმარტება იმასთან დაკავშირებით, თუ რა შემთხვევა ჩაითვლება დამსაქმებ-

ლის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენებად და რა შემთხვევაშია დამსაქმებელი ვალდებული, გადანიშნოს დასაქმებული რეორგანიზაციის შემდგომ სხვა ტოლფას თანამდებობაზე, თუ აღნიშნულს დასაქმებულიც ითხოვს. აგრეთვე, სასამართლომ უნდა განმარტოს, შეიძლება თუ არა, უკანონოდ გათავისუფლებულ პირს უარი ეთქვას სამსახურში აღდგენაზე, მაშინ, როდესაც აღნიშნულ თანამდებობაზე უკვე შესაძლოა, სხვა პირი იყოს დანიშნული.

ფაქტობრივი გარემოებები: ბ. მ. არის ერთ-ერთი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წევრი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა აღნიშნული პარტიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში. ამავდროულად, იგი დასაქმებული იყო სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში და სამსახურიდან გაათავისუფლეს 2017 წლის 13 აპრილს, ფორმალურად -ჩატარებული რეორგანიზაციის მიზეზით. რეორგანიზაციას არ გამოუწვევია შტატების შემცირება (რეორგანიზაციამდე იყო 389, რეორგანიზაციის შემდგომ – 388), რეორგანიზაციის შემდგომ გაიზარდა დამსაქმებლის სახელფასო ბიუჯეტი, გაუქმდა ბ. მ.-ს მიერ დაკავებული პოზიცია, თუმცა, შეიქმნა ახალი პოზიცია, რომელიც ბ. მ.-ს მიერ დაკავებული პოზიციის ტოლფასი და ფუნქციურადაც იდენტური იყო. დამსაქმებელმა კონკურსის საფუძველზე დანიშნულ ბ. მ.-ს შესთავაზა, გადასულიყო ახალ ტოლფას თანამდებობაზე მოვალეობის შემსრულებლად, სანამ კონკურსი გამოცხადდებოდა ამ თანამდებობაზე, შემდგომ კი კონკურსი უნდა გაევლო. საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის იმ დროს მოქმედი რედაქციის საფუძველზე, ბ. მ. დამსაქმებელს უნდა გადაენიშნა ახალ ტოლფას თანამდებობაზე პირდაპირ, რადგან იგი კონკურსის წესით იყო დანიშნული ბოლოს დაკავებულ თანამდებობაზე, რომელიც ფუნქციურად იდენტური იყო და ახალ ტოლფას თანამდებობას საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც იგივე ჰქონდა. საბოლოოდ, 2016 წელს, იგი თანამდებობიდან გათავისუფლდა.

საქმის მიმდინარეობა: ბ. მ.-მ, საიას დახმარებით, 2017 წლის 11 მაისს სასამართლოს მიმართა და სამსახურში ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და დისკრიმინაციით გამოწვეული მორალიური ზიანის ანაზღაურება მოითხოვა. პირველ ინსტანციაში სასამართლოს 2019 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. 2019 წლის 28 ოქტომბერს, გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში.

სამართლებრივი შეფასება: პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ დისკრიმინაციას ადგილი არ ჰქონია. სასამართლომ ერთ-ერთ არგუმენტად მიუთითა, რომ მხარეს არ ჰქონდა გასაჩივრებული თავად რეორგანიზაციის ბრძანება. აგრეთვე, სასამართლომ მიუთითა ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რაც შესაგებელსა და სარჩელში მითითებული არ იყო და მხარეებს აღნიშნული გარემოება სადავოდ არ გაუხდიათ, კონკრეტულად კი ერთ-ერთი ასეთი ფაქტობრივი გარემობა იყო ის, რომ თითქოს ახალი თანამდებობა სხვა კვალიფიკაციას მოითხოვდა. ამასთან, სასამართლომ არ შეაფასა გათავისუფლების დროს მოქმედი საჯარო სამსახურის 30-ე მუხლი, რომლის საფუძველზეც დამსაქმებელს დასაქმებული უნდა გადაენიშნა პირდაპირ, რადგან საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც იგივე იყო ახალ თანამდებობაზე და ამასთან, დასაქმებული კონკურსით იყო აყვანილი სამსახურში. სასამართლომ აგრეთვე არ იმსჯელა დამსაქმებლის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენებაზე. სასამართლოს გადაწყვეტილებით, დარღვეულია მხარეთა შეჯიბრებითობის, დისპოზიციურობის, თანასწორობისა და საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტის პრინციპები.

2.7. კ. ო. ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ის წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია საბიუჯეტო ორგანიზაციებში პოლიტიკური შეხედულებების გამო მოქალაქის დისკრიმინაციის თვალსაზრისით.

ფაქტობრივი გარემოებები: კ. ო. დასაქმებული იყო ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებულ ა(ა)იპ ორგანიზაციაში. 2019 წლის 16 იანვარს, იგი სამსახურიდან ორგანიზაციის დირექტორმა გაათავისუფლა. სამსახურიდან გათავისუფლებამდეც და მის შემდეგაც, ადგილი ჰქონდა დირექტორის მიერ კ. ო.-ს სავარაუდო შევიწროებას პოლიტიკური ნიშნით.

საქმის მიმდინარეობა: კ. ო.-მ, საიას დახმარებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიმართა 2019 წლის 15 თებერვალს და დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტა და მისი შედეგების აღმოფხრა მოითხოვა. პირველი ინსტანციის სასამართლოს 2019 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელის მიერ გადაწყვეტილება ნაწილობრივ გასაჩივრდა ზემდგომ ინსტანციებში, თუმცა დისკრიმინაციის ნაწილში დავა არ იქნა გაგრძელებული.

სამართლებრივი შეფასება: სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხის მიერ რაიმე სახის დისკრიმინაციას ადგილი არ ჰქონია, თუმცა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი ამ მიმართულებით სამართლებრივ მსჯელობასა და არგუმენატიას არ შეიცავს.

2.8. კახა სიმონიძე სს „თელასის“ წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია, რამდენადაც სამართლებრივად შესულია ჩიხში. საქმე სასამართლოებში ყველა შესაძლო მექანიზმით გასაჩივრდა. სასამართლო გადაწყვეტილება არის აღუსრულებელი. დისკრიმინაციული მიდგომა გრძელდება კახა სიმონიძის მიმართ.

ფაქტობრივი გარემოებები: 2015-2017 წლებში სასამართლო განიხილავდა დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების საქმეს. საერთო სასამართლოებმა დააკმაყოფილეს კახა სიმონიძის და მისი თანამშრომლის სარჩელი. დადგინდა, რომ მათი სამსახურიდან გათავისუფლება მოხდა დისკრიმინაციული მიდგომით და დამსაქმებელს მათი სამსახურში აღდგენა დაევალა. თუმცა, დამსაქმებელმა სს ,,თელასმა" განაცხადა, რომ კახა სიმონიძის თანამდებობა მოქმედი აღარ იყო და იგი სამსახურში არ აღადგინა, განსხვავებით მისი მეგობრისაგან, რომლის მიმართაც აღასრულა გადაწყეტილება.

საქმის მიმდინარეობა: კახა სიმონიძემ, HRC-ის დახმარებით, 2019 წელს სახალხო დამცველს მიმართა. მან მოითხოვა მის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენა მისი შეხედულების ან სხვა ნიშნის გამო სს ,,თელასის" მხრიდან და შესაბამისი რეკომენდაციის გამოცემა, რადგან მიიჩნევს, რომ მისი გათავისუფლების რეალური მიზეზი არის ის, რომ იგი მუდამ იცავდა თავის უფლებებს დამსაქმებელთან და ყველა დარღვევაზე რეაგირებდა ადეკვატურად. სახალხო დამცველმა საქმეზე წარმოება 2019 წლის ივლისში შეწყვიტა.

სამართლებრივი შეფასება: სახალხო დამცველის თანახმად, ვინაიდან საქმეში უკვე იყო სასამართლოს გადაწყვეტილება, სახალხო დამცველი საქმეს ვეღარ განიხილავდა.

2.9. ია მახარაძე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ რადიოს წინააღმდეგ”

საქმის მნიშვნელობა: მნიშვნელოვანია, სასამართლოს დაედგინა დისკრიმინაცია/არა-თანასწორი მოპყრობა სსიპ საზოგადოებრივი მაუწებლის რადიოს მიმართ, ია მახარაძეს-თან მიმართებაში.

ფაქტობრივი გარემოებები: ია მახარაძეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ რადიოში ჰქონდა საავტორო გადაცემა „მიგრაციის მარშუტები“. ია მახარაძემ დააფიქსირა თავისი პოზიცია მაუწყებელში მიმდინარე მოვლენების შესახებ. 15 სხვა თანამშრომელთან ერ-თად, იგი მაუწყებლის რადიოდან გაათავისუფლეს. შემდგომში, საზოგადოებრივმა მაუწ-ყებელმა მათთან კულუარული მოლაპრაკება დაიწყო და, ია მახარაძის გარდა, ყველას შესთავაზა ალტერნატიული სამუშო.

საქმის მიმდინარეობა: 2019 წლის 27 თებერვალს, HRC-მა სარჩელით მიმართა თბი-ლისი საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ია მახარაძის გათავისუფლების შესახებ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიოს ბრძანების ბათილად ცნობა, დისკრიმინაციუ-ლი მოპყრობის დადგენა ია მახარაძის მიმართ, განაცდურის ანაზღაურება და სამსახურში აღდგენა**.** პირველი ინსტანციის სასამართლომ, 2019 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილე-ბით, სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა. სასამართლომ ბათილად ცნო საზოგადოებრივი მაუწყებლის ბრძანება ია მახარაძის სამსახურიდან გათავისუფლების შე-სახებ. საზოგადოებრივ მაუწყებელს ია მახარაძის სასარგებლოდ დაეკისრა განაცდურის ანაზრაურება 90000 ლარის ოდენობით.

სამართლებრივი შეფასება: მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პროცესზე მოსარჩე-ლის მიერ არაერთხელ გაჟღერდა არგუმენტაცია დისკრიმინაციულ მოპყრობასთან დაკავ-შირებით, სასამართლომ გადაწყვეტილების დასაბუთებისას საერთოდ არ იმსჯელა დის-კრიმინაციული ფაქტის დადგენაზე საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან, ია მახარძეს-თან მიმართებაში.

2.10. გ. ფ. კ. ფ-ს. ვ. ფ-ს და ნ. კ-ს წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმის მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ ის უკავშირდე-ბა კერძო პირების მხრიდან, პირთა მიმართ სისტემატურ დისკრიმინაციას ჰომოფობიური მოტივით.

ფაქტობრივი გარემოებები: 2014 წლის 14 მაისს, ვ. ფ-მ (ბაბუა) გ. ფ-ს (შვილიშვილი) უძრავი ქონება აჩუქა. გარიგებაში გ. ფ-ს წარმომადგენელი იყო კ. ფ. (გ. ფ.-ს მამა). 2018 წლის 16 თებერვალს, კ. ფ-მ თავისი შვილის, გ. ფ-ს ნების საწინააღმდეგოდ, აღნიშნული უძრავი ქონება ჩუქების ხელშეკრულებით აჩუქა ისევ ვ. ფ-ს. 2018 წლის 29 აგვისტოს, ვ. ფ-მ სადავო უძრავი ქონება, ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, გაასხვისა მის მეორე შვილზე – ნ. კ-ზე, რომელიც არის ასევე, გ. ფ-ს მამიდა. აღსანიშნავია, რომ სწორედ 2018 წლის 16 თებერვალს, კ. ფ-ს მიმართ რუსთავის საქალაქო სასამართლოში დადგა გამამ-ტყუნებელი განაჩენი, რომლის თანახმადაც, კ. ფ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისთვის[22]. ამასთან, კ. ფ. მის შვილს – გ. ფ-ს სისტემატურად, კვირაში ორჯერ ან სამჯერ, აყენებდა

22. ოჯახში ძალადობა, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ.

სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. ამასთან, 2018 წლის 23 ნოემბერს, კ. ფ-ს მიმართ გამოწერილ იქნა შემაკავებელი ორდერი, გ. ფ-ის მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობის აღკვეთის მიზნით და ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე. შემაკავებელი ორდერით მოძალადე, კ. ფ-ს აეკრძალა იმ სახლთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს.

საქმის მიმდინარეობა: გ. ფ.-მ, „თანასწორობის მოძრაობის“ დახმარებით, მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნობა და უძრავი ქონების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა. პირველი ინსტანციის სასამართლოს 2019 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი ჩუქების ხელშეკრულებები და უძრავი ქონება აღირიცხა გ. ფ.-ს სახელზე. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ორივე მხარის მიერ.

სამართლებრივი შეფასება: პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმის განხილვისას დაადგინა, რომ კ. ფ. დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით შვილს – გ. ფ-ს სისტემატიურად – კვირაში ორჯერ ან სამჯერ აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას: აგინებდა, მიმართავდა უცენზურო სიტყვებით იმის გამო, რომ გ-ს აქვს განსხვავებული შეხედულებები, განსხვავებულად იცვამს და გამოიყურება, არის ე. წ. „გოთი“. კ.ფ. აღნიშნული მოტივით, იგი ფიზიკურადაც ძალადობდა გ. ფ.-ზე. მამის ქმედება გ. ფ.-სთვის არის შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი, რის გამოც, მან ფსიქოლოგიური ტანჯვა განიცადა[23].

2.11. თ. ა. და რ. რ. შპს „ბლექსი გრუპის“ წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: დამსაქმებელი წარმოადგენს მსხვილ სახელმწიფო კომპანიას, რომელიც მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების უმრავლესობას ახორციელებს და მასში დასაქმებულია მრავალი პირი, რომელთა შრომის პირობებს, შესაძლოა, მომავალში ეს გადაწყვეტილება შეეხოს.

ფაქტობრივი გარემოებები: თ. ა. და რ. რ. დასაქმებულები იყვნენ შპს „ბლექსი გრუპში“. შპს „ბლექსი გრუპის“ დირექტორის მოადგილის კომუნიკაცია თანამშრომლებთან გამოირჩეოდა დამამცირებელი დამოკიდებულებით, ყვირილითა და შეურაცხმყოფელი სიტყვებით და, ხშირ შემთხვევაში, ადამიანის ღირსების შემლახველი ქცევით. გარდა ამისა, კომპანიის დირექტორის მოადგილის მიერ სხვადასხვა წესის შემოღების შედეგად შექმნილი გარემო მტრულად აღიქმებოდა დასაქმებულთა მიერ. 2018 წლის ნოემბერში, „ბლექსი გრუპის“ დირექტორის მოადგილემ რ. რ.-ს საქმიანი კომუნიკაციის ფორმა არაეთიკურად გააკრიტიკა („ტვინი წაიღო“) და ამის გამო მისთვის დისციპლინური წარმოების დაწყებაზე გასცა მითითება ელექტრონულ მიმოწერაში, რომელშიც, კომპანიის სხვა თანამშრომლების გარდა, ჩართულნი იყვნენ მესამე პირებიც – კომპანიის კონტრაქტორები. თ. ა.-ს მიერ რ. რ.-ს

23. ქონებრივ ნაწილში, სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან ჩუქება უსასაყიდლო გარიგებაა, ვერც არასრულწლოვანი და ვერც მისი კანონიერი წარმომადგენელი ამ გარიგებით ვერანაირ სარგებელს ვერ მიიღებდა. შესაბამისად, მიიჩნია, რომ ეს გარიგება იყო აშკარად ზიანის მომტანი არასრულწლოვნის ინტერესებისათვის. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც რომ ვ. ფ.-მ ვერ მიუთითა და ვერ დაამტკიცა გარემოებები, რომელიც შეიძლება შეფასებულიყო, როგორც შეურაცხყოფა ან მის მიმართ გამოჩენილი დიდი უმადურობა დასაჩუქრებული გ. დ.-ს მხრიდან. ასეთის დადასტურების შემთხვევაშიც კი, ვ. ფ-ს სასამართლოში სარჩელის წარდგენის გზით უნდა მოეთხოვა ჩუქების ხელშეკრულების ბათილობა და გაჩუქებული ქონების დაბრუნება და არა – ისეთი გზით, როდესაც გაჩუქებული ქონების კვლავაც უკან ჩუქებით დაიბრუნა ქონება.

მხარდაჭერის შემდგომ, დირექტორის მოადგილის უშუალო მითითებით და დავალებით, ორივე მათგანს შეეზღუდა წვდომა სამსახურებრივ ელექტრონულ ფოსტაზე. თ. ა.-სა და რ. რ.-ს არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, დირექტორის მხრიდან ამ ფაქტს არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. ორივეს მიმართ, კომპანიამ დაიწყო დისციპლინური საქმისწარმოება და ერთ-ერთ მათგანს – თ. ა.-ს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა. გარდა ამისა, დამსაქმებელმა ორივე მათგანთან შეწყვიტა შრომითი ურთიერთობა.

საქმის მიმდინარეობა: თ. ა.-მ და რ. რ.-მ, EMC-ის დახმარებით, მიმართეს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს და მოითხოვეს შევიწროების, როგორც დისკრიმინაციის ფორმის, დადგენა, რეკომენდაციის გამოცემა, დამსაქმებლის მიმართ ზოგადი წინადადების გაცემა შევიწროებისგან თავისუფალი სამუშაო გარემოს შექმნისთვის სათანადო ღონისძიებების გატარების მიზნით.

სახალხო დამცველმა, 2019 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, საქმეზე დაადგინა შევიწროება და რეკომენდაცია გამოსცა კომპანიის დირექტორის მოადგილისა და კომპანიის დირექტორის მიმართ. რეკომენდაციით, სახალხო დამცველმა მოითხოვა, ეფექტიანი რეაგირება მოახდინოს რ. რ.-ს და თ. ა.-ს მიმართ მ. მ.-ს მხრიდან განხორციელებული შევიწროების ფაქტებთან დაკავშირებით; დროული და ეფექტიანი რეაგირება მოახდინოს მომავალში თანამშრომლის მხრიდან რაიმე ნიშნით დისკრიმინაციის, მათ შორის, შევიწროების ფაქტის შეტყობინებისას შესახებ; შპს „კომპანია ბლექ სი გრუპში“ შეიმუშაოს და თანამშრომლებს გააცნოს თანასწორობის პრინციპის ამსახველი დოკუმენტი; შპს „კომპანია ბლექ სი გრუპში“ არსებული სამუშაო გარემო და ეთიკა შეუსაბამოს თანასწორობის პრინციპს.

სამართლებრივი შეფასება: სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ განმცხადებლები კომპანიის დირექტორის მოადგილის მხრიდან განსხვავებული შეხედულების ნიშნით დაექვემდებარნენ შევიწროვებას, რამდენადაც დირექტორის მოადგილე არაეთიკური ფორმით და, ზოგიერთ შემთხვევაში, მესამე პირების თანდასწრებით შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართავდა განმცხადებლებს და ქმნიდა მტრულ სამუშაო გარემოს. სახალხო დამცველმა გაითვალისწინა განმცხადებელთა მსჯელობა იმის თაობაზე, რომ მტრული სამუშაო გარემო პირობების აღმოფხვრის მიზნით, დირექტორისათვის არაერთი უშედეგო მიმართვის პირობებში, კომპანიის დირექტორის მოადგილის პოზიცია უთანაბრდებოდა კომპანიის პოზიციას.

გადაწყვეტილებაში სახალხო დამცველმა დამსაქმებლის მხრიდან ზოგადად შექმნილ სამუშაო გარემოსაც გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ კომპანიაში ხმამაღალი საუბრისათვის და ჩაიდნის წყლის გარეშე დატოვებისათვის არსებული საჯარიმო სისტემა, ასევე, განმცხადებლების მიმართ განხორციელებული შეურაცხმყოფელი კომუნიკაცია მესამე პირების თანდასწრებით, არ ქმნის კომპანიაში დასაქმებული სხვა პირებისთვის ჯანსაღ სამუშაო გარემოს.

3. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონით, რელიგია პირდაპირ გათვალისწინებულ კლასიკურ ნიშანს წარმოადგენს.

საანგარიშო პერიოდში პრობლემას წარმოადგენდა სეკულარიზმის შერჩევითი ხასიათი არადომინანტი რელიგიური სიმბოლიკის განთავსების კუთხით. ასევე, პრობლემურია სახელმწიფო საზღვრის კვეთისას დისკრიმინაციული, მათ შორის მრავალმხრივი ნიშნით დისკრიმინაციის, პრაქტიკები სხვადასხვა რელიგიური ლიტერატურის შემოტანის თვალსაზრისით. ამასთან, დისკრეციული უფლებამისულების კანონდარღვევით გამოყენებად იქნა მიჩნეული ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მუსლიმებისათვის მეჩეთის მშენებლობის ნებართვაზე უარის თქმა[24].

3.1. „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო“ მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია, რამდენადაც სახელმწიფოსა და რელიგიის გამიჯვნის პრინციპს შერჩევითი ხასიათი აქვს: საჯარო ადგილებში მხოლოდ ქრისტიანული სიმბოლიკებია აღმართული და არ არსებობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, სადაც სხვა კონფესიების რელიგიური სიმბოლოები იქნება განთავსებული.

ფაქტობრივი გარემოებები: მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მრავლადაა განთავსებული ქრისტიანული რელიგიური სიმბოლიკა. 2017 წელს, შიიტური რელიგიური ორგანიზაციის – სსიპ – სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველოს – თავმჯდომარემ, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიას მიმართა. მან მერიას აცნობა, რომ ჰქონდა სურვილი, ქ. მარნეულში აღემართა მუსლიმური რელიგიური სიმბოლიკა და სთხოვა, მიეწოდებინა მარნეულის მუნციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ ადგილების ჩამონათვალი, სადაც ამგვარი სიმბოლიკის განთავსება შესაძლებელი იქნებოდა. განმცხადებელი ასევე გამოთქვამდა მზადყოფნას, გაევლო ყველა საჭირო პროცედურა. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის წერილით განმცხადებელ ორგანიზაციას ეცნობა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიას არ გააჩნდა შესაძლებლობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოეყო ადგილები რელიგიური სიმბოლოების განთავსების მიზნით.

საქმის მიმდინარეობა: ,,სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესმა სასულიერო სამმართველომ“ 2018 წლის 17 მაისს, საიას დახმარებით, საჩივარი წარადგინა სახალხო დამცველის აპარატში. მომჩივანი ითხოვდა, რომ სახალხო დამცველს შეემუშავებინა რეკომენდაცია, რომლითაც დადგინდებოდა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიამ და მერმა განახორციელეს სსიპ – სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველოს დისკრიმინაცია რელიგიის ნიშნით; ასევე, მიღებულიყო რეკომენდაცია, მოპასუხეების მიერ დისკრიმინაციის აღმოფხვრის ვალდებულების თაობაზე. სახალხო დამცველმა 2019 წლის 4 მარტს აღნიშნული საქმის წარმოება შეწყვიტა.

24. იხ., ასევე, საქმე N1.1: „ფ. ს. სსიპ “სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს” და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წინააღმდეგ“.

სამართლებრივი შეფასება: სახალხო დამცველის თანახმად, იმის გამო, რომ კანონმდებლობა არ განსაზღვრავს რელიგიური სიმბოლიკის აღმართვის წესს, ესე იგი არ განსაზღვრავს მსგავს უფლებას. ამიტომ, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ მოკლებული იყო შესაძლებლობას, ემსჯელა ამ სიკეთით სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციების მიერ სარგებლობის შესახებ.

3.2. ორგანიზაცია ა. მ. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია, რამდენადაც წარმოადგენს არადომინანტი რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლების, ამ შემთხვევაში, მუსლიმების მიმართ სახელმწიფო საზღვრის კვეთისას სხვადასხვა უკანონო, დისკრიმინაციული პრაქტიკის ერთ-ერთ მაგალითს, კერძოდ, რელიგიური ლიტერატურის შემოტანის კუთხით[25].

ფაქტობრივი გარემოებები: საქონლის განბაჟების ზონაში (გაფორმების ეკონომიკური ზონა, თბილისი 2) საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა შეაჩერეს ერთ-ერთი მუსლიმური რელიგიური გაერთიანების რელიგიური ლიტერატურის (წიგნების) განბაჟების პროცედურა და შეაფერხეს საქართველოში მათი შემოტანის პროცესი. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მოითხოვეს საქართველოში რეგისტრირებული სხვა რელიგიური ორგანიზაციის – სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“ მიერ გაცემული ნებართვა, იმისათვის, რომ დასრულებულიყო განბაჟების პროცედურა. მათ ასევე მიუთითეს, რომ ლიტერატურას უნდა ჩატარებოდა შინაარსობრივი შემოწმება, რაც ასევე გახდა საქონლის დაყოვნების მიზეზი.

საქმის მიმდინარეობა: ორგანიზაცია ა. მ.-მ 2019 წლის 6 დეკემბერს მიმართა სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტს. აღნიშნულ საქმეზე TDI ჩაერთო მესამე პირად. საანგარიშო პერიოდში საქმეზე გადაწყვეტილება არ მიღებულა.

3.3. ააიპ „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდი“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე ეხება ქალაქ ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობას, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მუსლიმი თემის მიერ რელიგიის თავისუფლების დაუბრკოლებლად განხორციელებისათვის, რამდენადაც, არასაკმარისი სივრცის გამო, მლოცველებს არასათანადო პირობებში უწევთ ლოცვა.

ფაქტობრივი გარემოებები: ხელისუფლების მხრიდან უშედეგო დაპირებების შემდგომ, ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფმა 2016 წელს 12 000-ზე მეტი მოქალაქის ხელმოწერა შეაგროვა და მეჩეთისათვის მიწის გამოყოფის თხოვნით მთავრობას მი-

25. საყურადღებოა, რომ მსგავს შემთხვევაზე, 2017 წლის 25 აპრილს, საქართველოს სახალხო დამცველმა „ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის“ (TDI) და „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ (EMC) განცხადებების საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ "შემოსავლების სამსახურის" მხრიდან მუსლიმი თემის წარმომადგენლების მიმართ საზღვრის კვეთის პროცესში დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი დაადგინა (იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის 24 აპრილის რეკომენდაცია რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის შესახებ).

მართა. თუმცა, ხელისუფლების მხრიდან ამ საკითხთან დაკავშირებით შემხვედრი ნაბიჯები არ გადადგმულა. „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდი“ იძულებული გახდა, საკუთარი სახსრებით მიწის ნაკვეთი შეესყიდა და მეჩეთის მშენებლობის ნებართვის მოთხოვნით ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისათვის მიემართა. თუმცა, 2017 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებით, ადგილობრივმა თვითმმართველობამ მუსლიმებს უარი უთხრა მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის დაკმაყოფილებაზე (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა). უარს ფორმალურად საფუძვლად დაედო საცხოვრებელ ზონაში საკულტო ნაგებობის მშენებლობის მიზანშეუწონლობა და საკულტო ნაგებობისათვის განსაკუთრებული ინფრასტრუქტურის საჭიროება.

საქმის მიმდინარეობა: „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდმა“, TDI-სა და EMC-ის დახმარებით, სასამართლოში გაასაჩივრა ბათუმის მერიის გადაწყვეტილება. მოსარჩელემ მოითხოვა რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის დადგენა და მისი შედეგების აღმოფხვრა, რაც გამოიხატებოდა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასა და ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისათვის ახალი აქტის გამოცემის გზით მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის დაკმაყოფილების დავალდებულება (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა).

2019 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ბათუმის საქალაქო სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილდა. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა დისკრიმინაცია რელიგიის ნიშნით, ბათლად ცნო სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მაგრამ საქმე დაუბრუნა ადმინისტრაციულ ორგანოს, გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის და ახალი აქტის გამოცემისათვის. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბათუმის მინიციპალიტეტის მერიამ, რის შემდგომაც, 2019 წლის 4 დეკემბერს, სააპელაციო საჩივარი ასევე წარადგინა „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდმა“. საანგარიშო პერიოდში, საქმეზე წარმოება სააპელაციო სასამართლოში არ დასრულებულა.

სამართლებრივი შეფასება: ბათუმის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელე მხარის არგუმენტები დისკრიმინაციის მტკიცებასთან დაკავშირებით. სასამართლომ ბათუმის მერიის გასაჩივრებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძვლად მიიჩნია დისკრეციული უფლებამოსილების კანონდარღვევით გამოყენება – ბათუმის მერიამ არ გაითვალისწინა მუსლიმი მრევლის მაღალი სოციალური ინტერესი და ამ მნიშვნელოვანი ინტერესის უგულებელყოფით, პრიორიტეტი მიანიჭა აბსტრაქტულ საჯარო ინტერესს (შესაბამისი ზონის საცხოვრებელი მიზნით განაშენიანება). სასამართლომ მიიჩნია, რომ „მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე მხარეს არ დაუსაბუთებია, რატომ მიანიჭა კონკრეტული კვარტლის ექსკლუზიურად საცხოვრებელი სახლების დანიშნულებით განვითარების ინტერესს პრიორიტეტი, მოსარჩელეთა რელიგიის თავისუფლების, საკუთრების უფლების და დისკრიმინაციის აკრძალვის უფლებებთან მიმართებით, როდესაც მოთხოვნა ემყარებოდა იმ მოცემულობას, რომ ააიპ „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდის“ მტკიცებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ერთი მეჩეთის (ორთა ჯამე) არსებობის პირობებში, მუსლიმი თემისთვის არასაკმარისი იყო სალოცავი სივრცე, რის გამოც, ისინი წლების განმავლობაში იძულებულნი არიან, ღია ცის ქვეშ ილოცონ და ხელი ეშლებათ რელიგიის თავისუფლებით სრულყოფილ სარგებლობაში“.

დისკრიმინაციის დადგენის მოთხოვნის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების გადამწყვეტი ფაქტობრივი საფუძველი შექმნა იმ გარემოებამ, რომ იმ ზონაში, სადაც მოსარჩელე ითხოვდა მეჩეთის მშენებლობის ნებართვას, მხოლოდ საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე რაიონში, საცხოვრებელი სახლებით მჭიდროდ განაშენიანებულ კვარტლებში შვიდი

მართლმადიდებლური ეკლესიაა განთავსებული, მათგან სამი – ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე. აღნიშნულზე დაყრდნობით, სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია, რომ უფლების შეზღუდვის დროს, რელიგიურ გაერთიანებათა დიფერენციაცია, როცა მუსლიმ თემს უფლება ეზღუდება, ხოლო მართლმადიდებელ ეკლესიას – არა, შეუძლებელია, გამართლდეს რაიმე სახის ლეგიტიმური მიზნით, რაც ამ შემთხვევაში სასამართლოსთვის გახდა მოპასუხის მხრიდან რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის განხორციელების დადგენის საფუძველი.

3.4. რ. ნ. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ ეხება ადამიანების რელიგიური კუთვნილების მონაცემების თვითნებურად დამუშავებას სახელმწიფო მოხელეების მიერ. ამავე დროს, საქმე ასახავს ისლამის მიმართ წარმოებულ ნეგატიურ პოლიტიკას რელიგიური ლიტერატურის შემოტანის კუთხით. ამასთან, საქმე უკავშირდება შესაძლო მრავალი ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციის ფაქტს რელიგიური და ეროვნული ნიშნით.

ფაქტობრივი გარემოებები: რ. ნ. არის საქართველოს ეთნიკურად ირანელი მოქალაქე. იგი დაიბადა და გაიზარდა ირანში, მუსლიმთა ოჯახში, თუმცა, მოგვიანებით, მიიღო ქრისტიანობა. რ. ნ. 2011 წლიდან ცხოვრობს საქართველოში. მან 2013 წელს დააფუძნა რელიგიური ორგანიზაცია, რომლის მიზანს წარმოადგენს ქრისტეს სიტყვების გავრცელება და მშვიდობის, სიყვარულისა და თავისუფლების ქადაგება. 2018 წლის თებერვალში, რელიგიური ვიზიტის შემდეგ, ის მეგობართან ერთად საქართველოს ტერიტორიაზე ბრუნდებოდა. საზღვრის გადმოკვეთისას, საქართველოს საბაჟო სამსახურის წარმომადგენლებმა შეამოწმეს მისი ბარგი და დაუსვეს კითხვები კუთვნილი ბიბლიის შესახებ, რომელიც იყო სპარსულ ენაზე. იმის დასადასტურებლად, რომ წიგნი ნამდვილად წარმოადგენდა ბიბლიას და ისინი ნამდვილად იყვნენ ქრისტიანები, წარმომადგენლებმა რ. ნ.-სა და მის მეგობარს გულზე გაკეთებული ჯვრის ჩვენება სთხოვეს. კამათის შემდეგ, რ. ნ.-ს უფლება მისცეს, სარფის სასაზღვრო გამშვები პუნქტის ტერიტორია დაეტოვებინა.

საქმის მიმდინარეობა: 2018 წლის 25 აპრილს, რ. ნ-მ, EMC-ის დახმარებით, მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს და დისკრიმინაციის დადგენა მოითხოვა. დამატებითი მტკიცებულებებისა და ინფორმაციის მოძიების მიზნით, სახალხო დამცველმა სსიპ „შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს“ მიმართა. აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობით დადგენილი ვადის გასვლის გამო, სახალხო დამცველმა ვერ მიიღო გამოთხოვილი ვიდეომასალა, რომელშიც ასახულია განმცხადებლის მიერ საზღვრის კვეთა. 2019 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, საქმის წარმოება შეწყდა.

სამართლებრივი შეფასება: სახალხო დამცველის აზრით, მოპოვებული მასალები არ იძლეოდა განმცხადებლის მიერ მითითებული საზღვრის კვეთის ფაქტის არსებითად და შინაარსობრივად შეფასების შესაძლებლობას. შესაბამისად, მას არ ჰქონდა შესაძლებლობა, განესაზღვრა, რამდენად იყო საზღვრის კვეთისას განცხადებლის დაყოვნება რელიგიური მოტივით გამოწვეული და ობიექტურ საფუძველს მოკლებული.

4. სქესის ნიშნით დისკრიმინაცია და შევიწროება

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი პირდაპირ კრძალავს სქესის ნიშნით დისკრიმინაციას. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისთვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. ეს ნიშანი, ასევე, გათვალისწინებულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონში.

საანგარიშო პერიოდში, ქალები დისკრიმინაციას ძირითადად დასაქმების/მუშაობის ადგილას განიცდიდნენ[26]. ქალთა მიმართ სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევები სექსუალური შევიწროების და ორსულობის/დეკრეტული შვებულების გამო არათანაბარი მოპყრობის ფორმით გამოიხატა[27]. სახალხო დამცველს მიმართეს ხარვეზიან, დისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან დაკავშირებითაც, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს სექს-მუშაკების უფლებრივ მდგომარეობაზე[28].

4.1. მაკა გოგიჩაიშვილი, გიორგი მენთეშაშვილის და შპს „იურისტების“ წინააღმდეგ (მსხვერპლის იდენტიფიცირების თავიდან აცილების მიზნით, სახელები, გვარები და იურიდიული პირის დასახელება გამოგონილია)

საქმის მნიშვნელობა: საჩივრის წარდგენის დროისათვის, სექსუალური შევიწროება არ იყო კანონმდებლობაში მკვეთრად რეგულირებული. ასევე, ამ საქმეში პირველად მოხდა დამსაქმებელი ორგანიზაციისათვის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, რადგან დამსაქმებელმა არ მოახდინა რეაგირება მსხვერპლის შეტყობინებაზე, რომ იგი გახდა სექსუალური შევიწროების მსხვერპლი.

ფაქტობრივი გარემოებები: მაკა გოგიჩაიშვილი სტაჟიორად მუშაობდა ერთ-ერთ იურიდიულ ფირმაში, სადაც სექსუალური შევიწროების მსხვერპლი გახდა. მომდევნო სამუშაო დღეს, მაკა გოგიჩაიშვილმა მომხდარის შესახებ ორგანიზაციის დირექტორს შეატყობინა, თუმცა, მან მომხდარ ფაქტზე შესაბამისი რეაგირება არ მოახდინა. მოგვიანებით, მან ასევე დაწერა განცხადება სამსახურიდან წასვლის შესახებ.

საქმის მიმდინარეობა: საიამ 2018 წლის 24 აპრილს სახალხო დამცველის აპარატში საჩივარი წარადგინა. მომჩივანი ითხოვდა მის მიმართ სქესის ნიშნით განხორციელებული დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას, რაც გამოიხატა სექსუალურ შევიწროებასა და დამსაქმებლის სრულ უმოქმედობაში, აგრეთვე, შესაბამისი რეკომენდაციის გამოცემას. სახალხო დამცველმა გაიზიარა საჩივარში მითითებული გარემოებები და 2019 წლის 16 ოქტომბერს დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა სექსუალური შევიწროებით გამოხატულ სქესის ნიშნით

26. 6 საქმე ეხება სავარაუდო დისკრიმინაციას სამუშაო ადგილზე, ხოლო 1 საქმე – სპორტში.

27. ორსულობა/დეკრეტული შვებულება – 4 საქმე; სექსუალური შევიწორება – 4 საქმე. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-32 ნაწილის თანახმად, სექსუალური შევიწროება არის სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.
“ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ გაეროს კომიტეტი სექსუალურ შევიწროებას ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთ ფორმად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ თანასწორობას რეალური საფრთხე ექმნება, როდესაც ქალი გენდერული ნიშნით ძალადობის ამ ფორმას ექვემდებარება.

28. საქმე N4.3: „ს. პ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

დისკრიმინაციას. შედეგად, გამოიცა რეკომენდაცია როგორც შევიწროების განმახორციელებელი პირის, ისე – მისი დამსაქმებელი ორგანიზაციის მიმართ. რეკომენდაციები ნაწილობრივ გაიზიარეს მათმა ადრესატებმა.

სამართლებრივი შეფასება: საქმის განხილვისას, სახალხო დამცველი დაეყრდნო მხარეთა გამოკითხვის მასალებს და სხვა არაპირდაპირ მტკიცებულებებს, მათ შორის, მესამე პირებისგან მიღებულ ინფორმაციას და აუდიოჩანაწერებს. აღნიშნულის საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული მდგომარეობის გამოყენებით, მსხვერპლის მიმართ ადგილი ჰქონდა არასასურველ, სექსუალური ხასიათის ვერბალურ და ფიზიკურ ქცევას, რომელმაც განმცხადებელს შეუქმნა დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი გარემო. შესაბამისად, დადგინდა შრომით ურთიერთობაში სექსუალური შევიწროების ფაქტი, როგორც სქესის ნიშნით დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა.

სახალხო დამცველმა ფიზიკურ პირს, რომელმაც სექსუალური შევიწროება განახორციელა, მიმართა რეკომენდაციით, პროფესიულ თუ სხვა სახის ურთიერთობებში, არ განახორციელოს სექსუალური შევიწროება და არ შეუქმნას ინდივიდებს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი, მათი ღირსებისთვის შეუსაბამო სამუშაო გარემო. მან რეკომენდაციით მიმართა დამსაქმებელ ორგანიზაციას, საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად, დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები ასახოს შრომის შინაგანაწესში, კოლექტიურ ხელშეკრულებებსა და სხვა დოკუმენტებში, აგრეთვე, უზრუნველყოს მათი შესრულება და გაატაროს ღონისძიებები სამუშაო ადგილზე, პირთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად.

4.2. ა. მ. ფარმაცევტული საქონლის იმპორტიორი კომპანიის წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმეს გააჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობა პრევენციული თვალსაზრისით, რამდენადაც, სფეროს მიხედვით, დისკრიმინაციის შემთხვევები ყველაზე ხშირად შრომით ურთიერთობებში ხდება, მათ შორის ორსულობის გამო სამსახურიდან გათავისუფლების ფორმით.

ფაქტობრივი გარემოებები: ა.მ. ფარმაცევტულ ბიზნესში ჩართულ ერთ-ერთ კომპანიაში მუშაობდა. დაკისრებულ სამუშაოს იგი პირნათლად, დათქმულ დროსა და ადგილას ასრულებდა. მის მიმართ არ ყოფილა გამოყენებული რაიმე სახის დისციპლინური ღონისძიება და მის მიერ შესრულებული სამუშაო მუდმივად იმსახურებდა კმაყოფილებას. მოულოდნელად, დამსაქმებელმა შეიტყო მისი ორსულობის თაობაზე. აღნიშნულს წინ უძღოდა 1 კვირით ბიულეტინის აღება (დროებითი შრომისუუნარობა). ერთკვირიანი პაუზის შემდეგ, დამსაქმებელმა 2019 წლის 15 ივლისს დაიბარა ა. მ. და უთხრა, რომ გათავისუფლებული იყო სამსახურიდან და ამიერიდან მას მეტი დრო ექნებოდა შვილის მოვლისთვის.

საქმის მიმდინარეობა: 2019 წლის 16 აგვისტოს, ა. მ.-მ, საიას დახმარებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და მისი შედეგების აღმოფხვრა. 2019 წლის 23 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, ა.მ-ს მოთხოვნები სრულად დაკმაყოფილდა.

სამართლებრივი შეფასება: პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას, რის საფუძველზეც სახეზე იყო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა.

4.3. ს. პ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია, რამდენადაც, ხარვეზიანი და დისკრიმინაციული კანონმდებლობის პირობებში, მიმართულია სექსმუშაკების უფლებრივ მდგომარეობასთან მიმართებით პრაქტიკის განვითარებისაკენ, სახალხო დამცველის ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის გამოყენებით.

ფაქტობრივი გარემოებები: ს. პ. სექსსამუშაოში ჩართულობის პერიოდის განმავლობაში კლიენტებისა და მესამე პირების მხრიდან განიცდის ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ ძალადობას. თუმცა, მას არასოდეს მიუმართავს პოლიციისთვის, რადგან მას არ აქვს პოლიციისადმი ნდობა და ეშინოდა, უარეს მდგომარეობაში არ აღმოჩენილიყო. პოლიციელები თავად აყენებენ სექსმუშაკებს სიტყვიერ შეურაცხყოფას, ხშირად სთხოვენ უსასყიდლოდ სქესობრივი კავშირის დამყარებას. პოლიციის ერთმა თანამშრომელმა ერთხელ თავად ს. პ.-ს სთხოვა სქესობრივი კავშირის დამყარება ანაზღაურების გარეშე. შიშის გამო, ს. პ.-მ წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაბედა. პოლიციის თანამშრომლები სექსმუშაკებს ხშირად ასევე სთხოვენ კლიენტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. აგრეთვე, აჯარიმებენ მათ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172[3] მუხლის[29] შესაბამისად.

საქმის მიმდინარეობა: საიამ 2018 წლის 22 ივნისს მიმართა სახალხო დამცველს და მოითხოვა დისკრიმინაციის დადგენა. მოთხოვნას ასევე წარმოადგენდა სახალხო დამცველის მიერ საქართველოს პარლამენტისა და მთავრობისათვის რეკომენდაციით მიმართვა საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებისა და განხორციელების მიზნით. აღნიშნული ცვლილებები ითვალისწინებს პროსტიტუციის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან ამოღებას, რათა მოხდეს სექსმუშაკთა გენდერული ძალადობისაგან დაცვა და მათთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდა. სახალხო დამცველის მიერ საქმეზე გადაწყვეტილება საანგარიშო პერიოდში არ მიღებულა.

4.4. ნ. კ. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვენლოვანია, რამდენადაც იგი ეხება სასამართლო სისტემაში დასაქმებული ქალის მიმართ ორსულობის გამო დისკრიმინაციულ მოპყრობას.

ფაქტობრივი გარემოებები: ნ.კ. დასაქმებული იყო თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში. საქმიანობის განმავლობაში მოსარჩელის მიმართ არ ყოფილა გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის არც ერთი ზომა. მეტიც – წახალისების მიზნით, დამსაქმებელს მისთვის რამდენიმეჯერ ჰქონდა გადაცემული პრემია. დასაქმებული სამსახურიდან გათავისუფლდა ორსულობის პერიოდში. სამსახურიდან გათავისუფლებას წინ უძღვოდა მოსარჩელის გართულებული ორსულობა. აღნიშნულის გამო, მას თითქმის ერთთვიანი შვებულების გამოყენება დასჭირდა. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ მიიღო გადაწყვეტილება მისი სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, დისციპლინური დარღვევის საფუძვლით.

საქმის მიმდინარეობა: ნ. კ.-მ, EMC-ის დახმარებით, 2018 წლის 6 აპრილს სარჩელით ბოლნისის რაიონულ სასამართლოს მიმართა და დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტა

29. მუხლი 1723. პროსტიტუცია
    პროსტიტუცია, – გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, – გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევრიდან ერთ მინიმალურ ოდენობამდე.

და მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვა, 1 ლარის ოდენობით. პირველი ინსტანციის სასამართლომ, 2018 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით, სასარჩელო მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, რაც სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდა. 2019 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა ბოლნისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 2019 წლის 6 მაისის საკასაციო საჩივრით გასაჩივრდა საკასაციო სასამართლოში და ამ დრომდე მასზე გადაწყვეტილება არ არის მიღებული.

სამართლებრივი შეფასება: მოცემულ საქმეში, როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლომ, არ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნები და დისკრიმინაციის საკითხზე მწირი მსჯელობისას მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალებით, მოსარჩელის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა არ დასტურდებოდა. სააპელაციო სასამართლომ დამატებით მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით გათვალისწინებულ მტკიცების ტვირთზე და მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ არ იქნა მტკიცების ტვირთი დაძლეული.

4.5. ნ. კ. დ. ი.-ისა და შპს “მაგმუვ ჯორჯიას” წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე ეხება სამუშაო ადგილას სექსუალური შევიწროების განსაკუთრებით მძიმე შემთხვევას. გარდა სექსუალური შევიწროებისა, სახეზეა ასევე სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციული ქმედება. ამასთან, მოპასუხედ დასახელებულია თავად ორგანიზაცია, რომელმაც არ გაატარა არანაირი ღონისძიება ამ ქმედების აღმოსაფხვრელად.

ფაქტობრივი გარემოებები: ნ. კ. 2018 წლის 5 აპრილიდან დასაქმებული იყო შპს “მაგმუვ ჯორჯიაში”. ნ. კ.-სა და დ. ი.-ს შორის არსებობდა ოფიციალურად სამსახურეობრივად დაქვემდებარებული ურთიერთობა. დ. ი. ეცნობოდა ნ. კ.-ს, როგორც ორგანიზაციის დამფუძნებელი და წარმოადგენდა ორგანიზაციას ყველა საჯარო შეხვედრაზე. დ. ი.-მ ნ. კ.-ს თანდასწრებით დაიწყო თავისი სექსუალური ცხოვრების შესახებ საუბარი და ეტაპობრივად აწვდიდა მას ინფორმაციას თავისი სექსუალური გემოვნების შესახებ, ინფორმაციას პარტნიორებზე. ამასთან, დ. ი.-მ საზღვარგარეთ ნუდისტურ პლიაჟზე ჯილდოს სახით პირდაპირი შეთავაზების სახით დაპატიჟა ნ. კ., რის წინაპირობადაც ჯგუფური სექსობრივი ურთიერთობა დაასახელა. ყოველივე აღნიშნულმა მოსარჩელე აიძულა, გაემხილა თავისი სექსუალური ორიენტაცია. ბოლო ეპიზოდში, მოსარჩელეს დამსაქმებელმა გენიტალიების სურათების ჩვენება მოსთხოვა. მრავალჯერადი უარის შემდეგ, დ. ი.-მ დაიწყო ნ. კ.-ს დამცირება და შერცხვენა. იგი ხაზს უსვამდა ნ. კ.-ს ეროვნებას და იმ მენტალიტეტს, რაც, მისი აზრით, მას ხელს უშლიდა შეთავაზებაზე დათანხმებაში. ამაზე ნ. კ.-მ კატეგორიულად დაუფიქსირა, რომ ის მონოგამურ ურთიერთობაშია თავის პარტნიორთან და არ აქვს სურვილი, მონაწილეობა მიიღოს ჯგუფურ სექსუალურ ურთიერთობებში. გაუსაძლისი სამუშაო პირობების გამო, ნ. კ.-მ აღნიშნული სამსახური დატოვა.

საქმის მიმდინარეობა: ნ. კ.-მ, PHR-ის დახმარებით, 2018 წლის 27 ივლისს სასამართლოს მიმართა სექსუალური შევიწროების და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. საანგარიშო პერიოდში, საქმეზე გადაწყვეტილება არ მიღებულა. თუმცა, 2019 წლის 18 ნოემბერს, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ, PHR-ის მიმართვის საფუძველზე, სასამართლოში წარდგენილ იქნა სასამართლო მეგობრის მოსაზრება.

სამართლებრივი შეფასება: სახალხო დაცველმა მიმოიხილა სექსუალური შევიწროების სტანდარტები და ეს სტანდარტები მიუსადაგა მხარეების მიერ წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. კერძოდ, მან ყურადღება გაამახვილა მტკიცების ტვირთის სტანდარტზე, ასევე მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე, მოსარჩელის სამსახურიდან წამოსვლის მიზეზზე. სახალხო დამცველმა ყურადღება გაამახვილა ზოგადად ქალებსა და ლგბტ+ ადამიანების სამართლებრივ მდგომარეობაზე საქართველოში, აღნიშნა, რომ ქალები და ლგბტ+ ადამიანები ყველაზე დაუცველ ჯგუფებს შორის არიან. ამასთან, საზოგადოებაში ძლიერია ჰომოფობია, რის გამოც ეს ჯგუფი განიცდის ჩაგვრას, დისკრიმინაციას და ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი. სახალხო დამცველმა მითითებულ მოსაზრებაში განმარტა, რომ მნიშნველოვანია, სასამართლომ შეაფასოს, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები რამდენად შეესაბამება სექსუალური შევიწროების დეფინიციას, აღნიშნულის შემდეგ კი მნიშვნელოვანია, დაადგინოს, არსებობს თუ არა გარემოებები, რომელიც მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ დასაბუთებას გაამართლებდა.

4.6. ნ. შ. შპს "აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიას" წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან სასამართლოსადმი მიმართვას წინ უძღოდა სახალხო დამცველის დასკვნა ორსულობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის თაობაზე. ამასთან, საქმე მნიშვნელოვანი იყო ვადების თვალსაზრისითაც.

ფაქტობრივი გარემოებები: ნ. შ.-სა და შპს "ჯი მარტს" შორის 2012 წლის 18 თებერვალს დაიდო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, დასაქმებული მუსიკალურად აფორმებდა ობიექტს. 2016 წელს, დამსაქმებლის დავალებით, ნ. შ.-ს უნდა მოეძია თავისი შემცვლელი, რომელიც დასაქმებულის დეკრეტულ შვებულებაში ყოფნის პერიოდში მის მოვალეობას შეასრულებდა. ნ. შ-მ მოიძია თავისი შემცვლელი და კომპანიის ფუნქციონირების შეუფერხებლობის მიზნით, მას გადასცა თავისი მუსიკალური პროგრამებიც. 2017 წლის 3 თებერვალს, შვებულებიდან დაბრუნებულ ნ. შ.-ს მისმა შემცვლელმა და მენეჯერმა აცნობეს, რომ ის აღარ იყო დასაქმებული. მენეჯერმა მას განუცხადა, რომ ის საშიში და ინტრიგანი პიროვნება იყო, რის გამოც ვეღარ გააგრძელებდა მუშაობას. დამსაქმებლის ოფიციალური მითითებით კი, მხარეებს შორის არ არსებობდა შრომითი ურთიერთობა, ხოლო გათავისუფლება ხელშეკრულების ვადის გასვლამ განაპირობა.

საქმის მიმდინარეობა: 2017 წლის 1 მარტს, ნ. შ.-მ განცხადებით მიმართა სახალხო დამცველს, რომელმაც 2017 წლის 23 ოქტომბერს დაადგინა შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში ორსულობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის ფაქტი. ნ. შ.-მ, საიას დახმარებით, სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა, შრომითი ურთიერთობის განუსაზღვრელი ვადით დადებულად აღიარება, მოსარჩელის სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, აუნაზღაურებელი ხელფასის გადახდა და დაყოვნების თანხის ანაზღაურება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ასევე, მორალური ზიანის ანაზღაურება. მოსარჩელემ სარჩელში დააყენა შუამდგომლობა, რომლის თანახმადაც, მოთხოვნილ იყო, რომ საქმეს მტკიცებულების სახით დართვოდა „აი ჯი მოლისა" და შპს "აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიას" იდენტურობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. 2019 წლის ივნისში, საქმე მორიგებით დასრულდა და მოსარჩელის გადაწყვეტილებით, მან მიიღო ფულადი ანაზღაურება 3 000 ლარის ოდენობით

4.7. ნ. შ. და შ. ლ. საქართველოს ბანკის წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იკვეთება დასაქმებულების დისკრიმინაცია ერთ შემთხვევაში ორსულობის, ხოლო მეორე შემთხვევაში მეძუძური დედობის ნიშნით. უმნიშვნელოვანესია, ამ კატეგორიის საქმეებზე დადგინდეს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა. საქმე მნიშვნელოვანია იქიდან გამომდინარეც, რომ საქმე ეხება ქალების მიმართ განხორციელებულ სავარაუდო დისკრიმინაციას ისეთ მდგომარეობაში, როცა ისინი, თავიანთი ფიზიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, მომეტებულ ზრუნვას საჭიროებდნენ.

ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელეები წლების განმავლობაში მუშაობდნენ სს „საქართველოს ბანკის“ სერვისცენტრში. ბანკის ადმინისტრაციის მიერ მიღებული 2018 წლის 15 თებერვლის ბრძანებების საფუძველზე, მოსარჩელეებს ხელშეკრულება დამსაქმებელთან შეუწყდათ. ამის მიზეზად დასახელდა აღნიშნულ სერვის ცენტრში შესაბამისი პოზიციების (მენეჯერი და ბანკირი) გაუქმება. ნ. შ.-ს სამსახურიდან გათავისუფლება იმ პერიოდს დაემთხვა, როცა ის ორსულად იყო და შეეძლო, მოეთხოვა კანონით გათვალისწინებული დეკრეტული შვებულება. ხოლო შ. ლ. მაშინ გაათავისუფლეს სამსახურიდან, როცა ახლად დაბრუნდა დეკრეტული შვებულებიდან და გახლდათ მეძუძური დედა.

საქმის მიმდინარეობა: ნ. შ.-მ და შ.ლ.-მ, საიას დახმარებით, მიმართეს სასამართლოს 2018 წლის 4 აპრილს და მოითხოვეს დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტა, მისი შედეგების აღმოფხვრა და მორალური ზიანის ანაზღაურება 1000-1000 ლარის ოდენობით. პირველი ინსტანციის სასამართლომ, 2019 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნები.

სამართლებრივი შეფასება: პირველი ინსტანციის სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია დამსაქმებლის ბრძანებები დასაქმებულებთან შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტის თაობაზე და დამსაქმებელს ნ. შ.-ს სასარგებლოდ დააკისრა კომპენსაციის გადახდა 16 500 ლარის, ხოლო შ. ლ.-ს სასარგებლოდ – 9 000 ლარის ოდენობით. დისკრიმინაციული მოპყრობის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ამ კუთხით, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შრომის კოდექსის იმ მუხლზე, რომლის თანახმადაც, დასაქმებული ვალდებული იყო, წერილობით ეცნობებინა დამსაქმებლისთვის ორსულობის შესახებ, რაც ერთი მოსარჩელის მიერ არ მომხდარა. მეძუძური დედის მიმართ განხორციელებული სავარაუდო დისკრიმინაციის დადგენაზე კი სასამართლომ უარი თქვა იმ საფუძვლით, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები და ფაქტები არ იყო საკმარისი დისკრიმინაციის დასადგენად.

4.8. თათია ლორთქიფანიძე საქართველოს ძალოსანთა ეროვნული ფედერაციისა და თემურ ჯანჯღავას წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: თათია ლორთქიფანიძის საქმე მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ დავა შეეხება სექსუალური შევიწროების შემთხვევას სპორტის სფეროში (მოძალადე არის მწვრთნელი, მსხვერპლი – ქალი სპორტსმენი). ასეთი შინაარსის დავა საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში აქამდე არ ყოფილა განხილული და გადაწყვეტილი.

ფაქტობრივი გარემოებები: თათია ლორთქიფანიძე 2014 წლიდან არის საქართველოს ძალოსანთა ნაკრების წევრი. 2019 წლის თებერვლის თვეში, ძალოსან ქალთა ნაკრე-

ბის მთავარი მწვრთნელის, თემურ ჯანჯღავას მხრიდან, თათიას მიმართ ადგილი ჰქონდა რამდენიმე მისთვის უხერხულ, შემავიწროებელ ინციდენტს. ამის გამო, მან მწვრთნელთან საქმიანი ურთერთობა შეწყვიტა. 2019 წლის იანვარ-მარტის თვეებში, თათია 2019 წლის აპრილის ბათუმის ევროპული ჩემპიონატისთვის ემზადებოდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, თათია ლორთქიფანიძემ ფედერაციას სთხოვა, რომ მიეცათ მისთვის ჩემპიონატისთვის მზადების, ვარჯიშის შესაძლებლობა მისი პირადი მწვრთნელის, აგრეთვე სხვა ნებისმიერი მწვრთნელის ზედამხედველობით. შესაბამისად, 2019 წლის თებერვლის მეორე ნახევარში, ასევე, მარტში, თათია ვარჯიშობდა თავისი პირადი მწვრთნელის – გელა მახარაშვილის დახმარებით და არ დასწრებია ამავე პერიოდში თემურ ჯანჯღავას ზედამხედველობით ორგანიზებულ შეკრებებს. მიუხედავად იმისა, რომ თათია ვარჯიშობდა რეგულარულად, იცავდა კვების, ვიტამინიზაციისა და დასვენების რეჟიმს და მზად იყო ასპარეზობისთვის, 2019 წლის აპრილის დასაწყისში, ანუ ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი დღით ადრე – 2019 წლის 05 აპრილს, მან შეიტყო, რომ ფედერაციამ იგი ჩემპიონატიდან მოხსნა; მოგვიანებით, ფედერაციამ განმარტა, რომ თათია არღვევდა დისციპლინას და არ ესწრებოდა შეკრებებს.

საქმის მიმდინარეობა: თათია ლორთქიფანიძემ, კავშირი „საფარის“ დახმარებით, 2019 წლის 15 მაისს სარჩელით მიმართა სასამართლოს და მორალური და მატერიალური ზიანის ანაზაღურება მოითხოვა, კერძოდ, მორალური ზიანის სახით თანხის – 2 000 ლარის ანაზღაურება მოპასუხე თემურ ჯანჯღავასგან. ასევე, მატერიალური ზიანის სახით 25 000 ლარის ანაზღაურება მეორე მოპასუხისგან – ძალოსნობის ეროვნული ფედერაციისგან[30]. საანგარიშო პერიოდში, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმეზე გადაწყვეტილება არ მიუღია.

4.9. ნარინე გინოსიანი ენზელ მკოიანის წინაარმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია, რამდენადაც ეხება პოლიტიკოსის, პარლამენტის დეპუტატის, ძალიან მდიდარი, დიდი გავლენების მქონე ადამიანის მიერ სექსუალური შევიწროების სავარაუდო ფაქტს თავისი პოლიტიკური ძალაუფლების და სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებზე, მათ შორის – საგამოძიებო ორგანოებზე, არაფორმალური გავლენების გამოყენებით.

ფაქტობრივი გარემოებები: ნარინე გინოსიანი არის ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორი. მისი განცხადებით, უკანასკნელი 3-4 წლის მანძილზე, ახალქალაქი-ნინოწმიდის მაჟორიტარი დეპუტატი ენზელ მკოიანი სექსუალურად ავიწროებდა მას. თავდაპირველად, ენზელ მკოიანი ურეკავდა მის მეგობარს და სთხოვდა ნარინესთან შუამავლობას. დეპუტატი სექსუალური ურთიერთობის სანაცვლოდ სთავაზობდა სხვადასხვა საჩუქრებს, ჰპირდებოდა მატერიალურ სიკეთეებს, რაზეც ნარინე უარით პასუხობდა. 2018 წლიდან, ნარინე გინოსიანის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო იმ მოტივით, რომ ნარინე გინოსიანმა, როგორც ბაღების გაერთიანების დირექტორმა, სავარაუდოდ, ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით გათ-

30. მოსარჩელე მისთვის მოყენებულ მატერიალურ ზიანად მიიჩნევს იმ საპრიზო თანხის მიუღებლობას, რომლის მოგების რეალური შანსი მას გაუჩნდა ბათუმის ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობის პირობებში და რაც მას წაართვა ფედერაციამ.

ვალისწინებული დანაშაული[31]. ნარინე გინოსიანი დარწმუნებულია, რომ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის/გამოძიების შესაძლებლობა არის შურისძიების და დევნის იარაღი დეპუტატ ენზელ მკოიანის ხელში.

საქმის მიმდინარეობა: ნარინე გინოსიანმა, კავშირი „საფარის“ დახმარებით, 2019 წლის ივლისში განცხადებით მიმართა სახალხო დამცველს და დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა მოითხოვა. სახალხო დამცველმა გამოკითხა მოპასუხე მხარე და 2019 წლის 12 სექტემბერს შეწყვიტა საქმის წარმოება.

სამართლებრივი შეფასება: სახალხო დამცველის თანახმად, ნარინე გინოსიანის საქმეში ვერ იქნა წარმოდგენილი ისეთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ენზელ მკოიანის მიერ ნარინე გინოსიანის შევიწროების ფაქტს. სახალხო დამცველმა არ გაიზიარა ერთადერთი მოწმის – თ. ვ.-ს ახსნა-განმარტება, რომელიც მიუთითებდა, რომ ენზელ მკოიანს სურდა, ურთიერთობა ჰქონოდა ნარინე გინოსიანთან. სახალხო დამცველმა მისი ჩვენება სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობის არარსებობის გამო მიიჩნია არასაკმასისად.

31. მუხლი 182. მითვისება ან გაფლანგვა

5. დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით

შეზღუდული შესაძლებლობა პირდაპირ არ არის მოხსენიებული არც საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტში და არც – დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის პირველ მუხლში. თუმცა, საქმეში „ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (შშმ), შესაძლებელია, იყვნენ „სოციალური ჯგუფის” წევრები, რაც, თავის მხრივ, კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ კლასიკურ ნიშანს წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისთვის.

საანგარიშო პერიოდში წარმოებული ერთ-ერთი საქმე შეეხებოდა შშმ პირის მართვის მოწმობის ასაღებად პრაქტიკული გამოცდის ჩაბარების შეუძლებლობას, ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალების არარსებობის პირობებში. ასევე, პრობლემური იყო შშმ პირის სამუშაოზე ხელმისაწვდომობის საკითხი. ამასთან, დისკრიმინაციულად იქნა მიჩნეული საკრებულოს დადგენილება, რომელიც ცვლიდა შშმ პირებისათვის პარკირების საშვის გაცემის წესს.

5.1. რუსუდან ჩხეიძე სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების უფლებით სარგებლობის თვალსაზრისით.

ფაქტობრივი გარემოებები: რუსუდან ჩხაიძეს ავთვისებიანი სიმსივნის გამო 14 წლის ასაკში გაუკეთდა მარჯვენა ფეხის ამპუტაცია მთლიანად და ამჟამად პროთეზით სარგებლობს. მან წარმატებით დაამთავრა ქალაქ ბათუმში მდებარე ერთ-ერთი ავტოსკოლა, სადაც, თეორიულ ნაწილთან ერთად, წარმატებით გაიარა სწავლების პრაქტიკული ნაწილიც. საია-ს დახმარებით, მან მიმართა სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინიტროს მომსახურების სააგენტოს“, რათა მისთვის მიეცათ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობა. 2016 წლის 27 აგვისტოს წერილობით პასუხის თანახმად, მომსახურების სააგენტოს შშმ პირთათვის არ გააჩნდა ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალება და იგი თავად მძღოლს უნდა წარმოედგინა. მოგვიანებით, სსიპ „საქართველოს შსს მომსახურების სააგნტომ“ შეიძინა ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალებები და აიღო ვალდებულება, საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებები რუსთავის სერვისცენტრიდან დროებით გადაეყვანა იმ რეგიონებში, სადაც არ იქნებოდა ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალება.

საქმის მიმდინარეობა: 2016 წლის 8 სეტემბერს, რუსუდან ჩხეიძემ, საიას დახმარებით, სახალხო დამცველის აპარატს მიმართა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და შესაბამისი რეკომენდაციის გამოცემის მოთხოვნით. 2016-2017 წლებში, სახალხო დამცველმა რამდენჯერმე გამოითხოვა ინფორმაცია სსიპ „შსს მომსახურების სააგენტოდან“, გაესაუბრა მომსახურების სააგენტის წარმომადგენელს და 2018 წლის 09 აგვისტოს, თანასწორობის დეპარტამენტის მეშვეობით, ზეპირი მოსმენა ჩაატარა. შედეგად, მოპასუხე მხარემ გამოთქვა მზადყოფნა, რომ ქვედა კიდურების პროთეზის ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე სატრანსპორტო საშუალება მიავლინოს ბათუმის სერვისცენტრში. რუსუდან ჩხაიძემ კი თანხმობა განაცხადა, ჩააბაროს მართვის მოწმობის ასაღებად საჭირო

პრაქტიკული გამოცდა ამ ფორმით. ვინაიდან სსიპ „შსს მომსახურების სააგენტომ“ სავარაუდო დარღვეული უფლების აღდგენის მზადყოფნა გამოთქვა, განმცხადებელი კი მოპასუხის შეთავაზებას დაეთანხმა, სახალხო დამცველმა, 2019 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, საქმის წარმოება შეწყვიტა.

5.2. ზ. გ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: დისკრიმინაციის დადგენის შემთხვევაში, შესაბამის პირს შესაძლებლობა მიეცემა, ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად განაგრძოს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურება.

ფაქტობრივი გარემოებები: ზ. გ. საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა. იგი ყოველი ახალი კონტრაქტის გაფორმებამდე გადიოდა სამედიცინო შემოწმებას და ყოველ ჯერზე მიიჩნეოდა სამხედრო სამსახურისთვის ვარგისად. 2015 წლის სექტემბერში მორიგი კონტრაქტის გაფორმებამდე ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევის შედეგად, ზ. გ-ს დაუდგინდა მარჯვენა თირკმლის აგენეზია, თუმცა, სამხედრო სამსახურისთვის მიჩნეული იყო შეზღუდულად ვარგისად, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 1996 წლის 24 დეკემბრის №360 ბრძანებით გათვალისწინებულ დაავადებათა ცხრილის მე-80 პუნქტის „ბ“ ნაწილის შესაბამისად. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2015 წლის 9 ნოემბრის ბრძანებით, ზ. გ. დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა.

საქმის მიმდინარეობა: ზ. გ.-მ, საიას დახმარებით, 2018 წლის 26 თებერვალს სახალხო დამცველს მიმართა და დისკრიმინაციის დადგენა და მისი აღმოფხვრა მოითხოვა. სახალხო დამცველმა, შესაბამისი მტკიცებულებების შეგროვების მიზნით, მოწინააღმდეგე მხარეს მიმართა. შედეგად, სახალხო დამცველმა, 2019 წლის 7 აგვისტოს შეწყვიტა საქმის წარმოება.

სამართლებრივი შეფასება: სახალხო დამცველის თანახმად, განმცხადებელმა ვერ შეძლო მის მიერ მითითებული ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენა. კერძოდ, ზ. გ.-მ ვერ წარადგინა რაიმე სამედიცინო დასკვნა, რომლის მიხედვითაც დადგინდებოდა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა იძლევა საკონტრაქტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

5.3. ზ. კ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: შშმ პირებისთვის განკუთვნილი ადგილის გამოყენების ნებართვის გარეშე, ბენეფიციარს არ ჰქონდა წვდომა მაღაზიებთან, აფთიაქებთან და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებთან.

ფაქტობრივი გარემოებები: (ბენეფიციარის ინიციალები) იყო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და სარგებლობდა პარკირების შშმ პირებისთვის განკუთვნილი საშვით. პარკირების საშვით სარგელბლობდნენ როგორც მკვეთრად გამოხატული, ასევე – მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირები. ახალი რეგულაციით, საშვით ისარგებლებდნენ მხოლოდ მკვეთრად გამოხატული შშმ პირები, ასევე პირები, რომელთაც ფეხი ჰქონდათ ამპუტირებული. აღსანიშნავია, რომ ამ საშვს არ

აქვს სიმბოლური დანიშნულება და იგი ადამიანებს ეხმარება, რომ ავტომანქანა საჭირო ობიექტებთან მაქსიმალურად ახლოს გააჩერონ და ჰქონდეთ წვდომა შესაბამის სერვისებზე. საშვის გარეშე კი, ხშირად ისინი ვერ ახერხებენ ავტომანქანების იმ მანძილზე გაჩერებას, რომ შესაძლებლობის შეზღუდვის გათვალისწინებით მიაღწიონ კონკრეტულ ობიექტებამდე. გამომდინარე აქედან, ადამიანებს უამრავი პრობლემა ექმნებათ.

საქმის მიმდინარეობა: ზ. კ.-მ, საიას დახმარებით, 2019 წლის თებერვალში სახალხო დამცველს მიმართა და დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და შესაბამის დადგენილებაში ცვლილებების განხორციელებით დისკრიმინაციის აღმოფხვრა მოითხოვა. სახალხო დამცველმა გამოითხოვა ინფორმაცია ქ. თბილისის საკრებულოდან. სახალხო დამცველმა, გადაწყვეტილებით, სრულად გაიზიარა საჩივარში მითითებული გარემოებები და გამოსცა შესაბამისი რეკომენდაცია.

სამართლებრივი შეფასება: რეკომენდაციის მიხედვით, მყარი ფიზიკური სენსორული თუ სხვა სახის დარღვევები, შესაძლოა, უფრო მეტად ზღუდავდეს ადამიანის გადაადგილების უნარს, ვიდრე თუნდაც კიდურის ამპუტაციის შემთხვევაში. ამ პირობებში, შეღავათები დაწესებული იყო იმ პირებისთვის, ვისაც ჰქონდა კიდურის ამპუტაცია, ვინც იყო მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის მქონე პირი, თუმცა სადავო დადგენილებაში არაფერი იყო ნახსენები იმ პირებზე, რომლებსაც, მაგალითად, არ ჰქონდათ ამპუტირებული ფეხი, თუმცა მყარი ფიზიკური სენსორული თუ სხვა დარღვევების გამო საჭიროებდნენ აღნიშნულ საშვს. შესაბამისად, დადგენილებაში უნდა მომხდარიყო ამ ყველაფრის გათვალისწინება.

6. დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით

სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაცია პირდაპირ არ არის მოხსენიებული საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტში, თუმცა, აღნიშნული ნიშანი მოიაზრება სხვა ნიშანში და პირდაპირ არის მოხსენიებული „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის პირველ მუხლში.

საანგარიშო პერიოდში, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით, ან ამ მიმართულებით საქმიანობის გამო, სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევები ყველაზე ხშირად თავს იჩენდა მომსახურების გაწევაზე, სივრცის გამოყოფაზე, პროდუქტსა თუ აქციით სარგებლობაზე უარის თქმის ფორმით[32]. აღნიშნული საქმეებიდან ერთზე, სასამართლომ დისკრიმინაცია საანგარიშო პერიოდში დაადგინა[33]. ამასთან, პრობლემური იყო უმაღლეს საგანმანათლებო დაწესებულებებში ერთი მხრივ დისკრიმინაციული სახელმძღვანელოების არსებობა, რაზეც სახალხო დამცველმა გაიზიარა განმცხადებლის არგუმენტები დისკრიმინაციასთან დაკავშირებით, ხოლო მეორე მხრივ, ერთ-ერთი დაწესებულების ლექტორებისა და ადმინისტრაციისაგან სავარაუდო დისკრიმინაციული მოპყრობაც[34]. კვლავ გამოწვევას წარმოადგენდა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამო სიტყვიერი შეურაცხყოფის პრევენცია, მათ შორის პოლიტიკოსის მხრიდან[35]. ამ უკანასკნელთან დაკავშირებულ ორივე საქმეში, სასამართლომ გადაწყვეტილება მოსარჩელეთა სასარგებლოდ მიიღო.

6.1. დ. გ. შპს „პსპ ფარმას“ წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმის მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ ის უკავშირდება მომსახურების სფეროში დასაქმებული კერძო პირის მხრიდან სავარაუდო დისკრიმინაციულ პრაქტიკას ადამიანების მიმართ, მათი სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის გამო.

ფაქტობრივი გარემოებები: 2019 წლის 15 იანვარს ქალაქ რუსთავში მდებარე შპს “პსპ ფარმას” აფთიაქში დ. გ-ს სურდა, შეეძინა სახის კრემი. ფარმაცევტმა მოძიების გარეშე განაცხადა, რომ არ ჰქონდათ კონკრეტული სახის კრემი და დ. გ.-ს თხოვნის შემდეგაც უარი განაცხადა, გადაემოწმებინა, ჰქონდათ თუ არა კრემი აფთიაქის უკან მდებარე ფილიალში. ამის შემდგომ, დ. გ. შევიდა აღნიშნულ იქვე მდებარე ფილიალში, რომელშიც ასევე არ ჰქონდათ აღნიშნული კრემი. თუმცა, მათ გადაამოწმეს კომპიუტერის საშუალებით და დ. გ.-ს უთხრეს, რომ პროდუქტი დარჩენილი იყო გაყიდვაში იმ ფილიალში, რომელშიც დ. გ. თავდაპირველად იმყოფებოდა. დ. გ.-მ ფარმაცევტს ჰკითხა, თუ რატომ არ გადაამოწმა წინა ფილიალის ფარმაცევტმა აღნიშნული პროდუქტი, რაზეც ფარმაცევტს გაეღიმა და უთხრა, რომ არ იცოდა. ამის შემდგომ, დ. გ. უკან ბრუნდება იმ ფილიალში, რომელშიც თავიდან იმყოფებოდა და ფარმაცევტს სთხოვს აუხსნას მიზეზი, თუ რატომ არ მოემსახურა, რაზედაც მიიღო სრული იგნორი. მსგავსი მოპყრობა დ. გ.-ს მიმართ არ ყოფილა პირველი. ის აღნიშნული ფილიალის ხშირი მომხმარებელია და ადრეც უგრძვნია აგდებული, ზერელე და დამცინავი დამოკიდებულება.

32. 5 საქმე

33. საქმე N6.2: „ა(ა)იპ „თანასწორობის მოძრაობა“ შპს “ალმას” წინააღმდეგ“

34. 2 საქმე.

35. 2 საქმე.

საქმის მიმდინარეობა: მომჩივანმა, „თანასწორობის მოძრაობის“ დახმარებით, 2019 წლის 24 იანვარს მიმართა სახალხო დამცველს. მან მოითხოვა ფაქტობრივი გარემოებების შესწავლა და დისკრიმინაციული მიდგომის დადასტურების შემთხვევაში, შესაბამისი ღონისძიებების გატარება. სახალხო დამცველმა 3-ჯერ გამოითხოვა ინფორმაცია შპს “პსპ ფარმასგან”. ასევე, 2019 წლის 13 ივნისს, გამოიკითხა ფარმაცევტი. სახალხო დამცველმა მიმართვაზე პასუხი მიიღო 2019 წლის 9 აპრილს. სახალხო დამცველის აპარატში საქმის წარმოება შეწყდა.

სამართლებრივი შეფასება: ფაქტობრივი გარემოებებისა და მიღებული ინფორმაციის შესწავლის შედეგად, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულება, რომელიც მომსახურეობის გაწევაზე უარსა და ჰომოფობიურ მოტივს შორის მიზეზშედეგობრივ კავშირს დაადასტურებდა. შედეგად, არ დადასტურდა დისკრიმინაციის ფაქტი.

6.2. ა(ა)იპ „თანასწორობის მოძრაობა“ შპს “ალმას” წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე უკავშირდება ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე კომპანიის მიერ მომსახურების გაწევაზე, სავარაუდოდ, ჰომოფობიური ნიშნით უარის თქმას.

ფაქტობრივი გარემოებები: 2019 წლის 24 აპრილს ა(ა)იპ “თანასწორობის მოძრაობას” და შპს “ალმას” შორის გაფორმდა სარეკლამო მომსახურების ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, შპს “ალმამ” იკისრა ვალდებულება, დაებეჭდა და საკუთრებაში გადაეცა ა(ა)იპ “თანასწორობის მოძრაობისთვის” ჰომოფობიის და ტრანსფობიის დღესთან დაკავშირებული სოციალური კამპანიის ვიზუალები, ასევე, გამოექვეყნებინა ისინი მის მფლობელობაში არსებულ სარეკლამო კონსტრუქციებზე. მოგვიანებით, შპს „ალმა“ დაუკავშირდა დამკვეთ ორგანიზაციას და განაცხადა, რომ ვერ განათავსებდა ამ ტიპის სარეკლამო ვიზუალებს, რამდენადაც კომპანია არ ავრცელებდა სოციალური ხასიათის სარეკლამო ვიზუალებს. ვინაიდან შპს “ალმა” ბაზარზე წარმოდგენილია მონოპოლიური მდგომარეობით, ა(ა)იპ “თანასწორობის მოძრაობამ” ვეღარ შეძლო, ესარგებლა სოციალური კამპანიის გავრცელებისთვის საჭირო სარეკლამო მომსახურებით.

საქმის მიმდინარეობა: ა(ა)იპ „თანასწორობის მოძრაობამ“ სასამართლოს მიმართა 2019 წლის 13 ივნისს და მოითხოვა შპს „ალმასათვის“, ხელშეკრულების დარღვევისა და დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების გამო, მოსარჩელის სასაგებლოდ, მორალური ზიანის ანაზღაურება 5000 ლარის ოდენობით. პირველი ინსტანციის სასამართლომ 2019 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა, თუმცა, დაადგინა დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი.

სამართლებრივი შეფასება: სასამართლომ, მხარეთა პოზიციების და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის შემდგომ, სამართლებრივი ანალიზისთვის მიუთითა, რომ ადგილი ჰქონდა მოპასუხე მხარის მიერ მოსარჩელე მხარის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტს. სასამართლომ განმარტა, რომ წარმოდგენილ შემთხვევაში მოთხოვნის სუბიექტი იყო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც არ წარმოადგენს ფიზიკურ პირს. შესაბამისად, იგი მოკლებულია შესაძლებლობას, განიცადოს სულიერი ტკივილები და ჰქონდეს ის მტანჯველი განცდები, რისი შეგრძნების უნარიც მხოლოდ ცოცხალ ადამიანს გააჩნია და რაც წარმოადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს. სასამართლოს შეხედულებით, მოსარჩელე ორგანიზაცია ვერანაირად ვერ განიცდიდა ფიზიკურ ან/და ზნეობრივ ტანჯვას, მას ვერ ექნებოდა ფსიქიკური განცდე-

ბი, შესაბამისად, იგი არ წარმოადგენს მოთხოვნის სუბიექტს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ა(ა)ი.პ "თანასწორობის მოძრაობის" სარჩელი არ დააკმაყოფილა.

6.3. ა(ა)იპ "თანასწორობის მოძრაობა" და "ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი" (WISG) თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე ადგენს უმაღლესი განათლების მიღებისას ადამიანის უფლებებთან შესაბამისი შინაარსის მქონე სახელმძღვანელოების გამოყენების კრიტიკულ მნიშვნელობას.

ფაქტობრივი გარემოებები: "თანასწორობის მოძრაობამ" 2019 წლის 7 ივნისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (თსსუ) სტუდენტისგან მიიღო ინფორმაცია, რომ სახელმღძვანელოში "ბიოეთიკა" გამოყენებიულია დისკრიმინაციული, სტიგმისა და სტერეოტიპების წამახალისებელი ინფორმაცია, ტერმინები, განმარტებები და მოსაზრებები. ორგანიზაციამ შეისწავლა სახემძღვანელოს შესაბამისი თავები და მიიჩნია, რომ მასში აღნიშნული ინფორმაცია იყო დისკრიმინაციული ერთი მხრივ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის, მეორე მხრივ ჯანმრთელობის მდგომარეობის ნიშნით.

აღსანიშნავია, რომ ამავე მიზეზით, "თანასწორობის მოძრაობამ" 2018 წელსაც მიმართა სახალხო დამცველის აპარატს თსსუ-ში გამოყენებულ მეორე სახელმძღვანელოსთან – "სასამართლო მედიცინა" – დაკავშირებით. საქმის შესწავლის პროცესში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ჩართულები იყვნენ უნივერსიტეტის პროფესორები, "თანასწორობის მოძრაობა" და WISG.

საქმის მიმდინარეობა: "თანასწორობის მოძრაობამ", სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის შესწავლისა და რეკომენდაციის გამოცემის მიზნით, განცხადებით მიმართა სახალხო დამცველის აპარატს 2019 წლის 13 ივნისს. სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა ინფორმაცია თსსუ-დან, რაზეც წერილობითი პასუხი მიიღო 2019 წლის 9 ივლისს. 2019 წლის 13 ივნისის განცხდების შესწავლის პროცესში, თსსუ-ში შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, მოხდა სახელმძღვანელოში "ბიოეთიკა" არსებული პრობლემური საკითხების განხილვა. სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში მონაწილეობდნენ სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლები, სახელმძღვანელოს ავტორები, სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობისა და ადამიანის უფლებათა სწავლების დეპარტემანტების წარმომადგენლები, "თანასწორობის მოძრაობა" და WISG, რომელიც საქმის განხილვის პროცესში მესამე მხარედ ჩაერთო. სამუშაო ჯგუფის ფარგლებში გაერთიანდა განცხადებები როგორც სახელმძღვანელო „ბიოეთეკასთან", ისე – სახელმძღვანელო "სასამართლო მედიცინასთან" დაკავშირებით. სახალხო დამცველმა გაიზიარა საჩივარში მითითებული გარემოებები და გამოსცა რეკომენდაცია ორივე სახელმძღვანელოსთან მიმართებით. აღნიშნულმა დაწესებულებამ სრულად გაიზიარა სახალხო დამცველის რეკომენდაცია[36].

სამართლებრივი შეფასება: სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმის გარემოებათა სრულყოფილად შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ზემოაღნიშნულ სახელმძღვანელოებში არსებული ჩანაწერები არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა განმარტების ეროვ-

36. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესაბამისად განახორციელა შესაბამისი პროცედურები. კერძოდ, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სახელმძღვანელო "სასამართლო მედიცინის" 2011 წლის რედაქციის 2020 წლის რედაქციით ჩანაცვლებას, სადაც სრულად იქნება გათვალისწინებული რეკომენდაციები. "ბიოეთიკის" შემთხვევაში, ამ ეტაპზე რეკომენდაციების სრული დაცვით მომზადდა სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსია, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელექტრონულ პორტალზე.

ნულ და საერთაშორისო სტანდარტებს. ამდენად, იგი საგანმანათლებლო სფეროში აფერხებს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის რეალიზებას და ვერ უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების სფეროში სახელმწიფოს მიერ გაცხადებული მიზნების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ განათლებისადმი ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენება გულისხმობს, რომ ყველა საგანმანათლებლო კომპონენტი და პროცესი, კურიკულუმის, სასწავლო მასალებისა და მეთოდების ჩათვლით, ადამიანის უფლებების შესახებ სწავლებისაკენ იყოს მიმართული. ამასთან, გაეროს მიერ დადგენილი სტანდარტის მიხედვით, აუცილებელია, ზოგადად, სწავლების პროცესში გამოყენებული სასწავლო მასალები „გადაიხედოს და განახლდეს [იმდაგვარად, რომ] ისინი შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა პრინციპებს“. სახალხო დამცველი ასევე აღნიშნავს, რომ სასწავლო მასალაში კონკრეტული პირთა ჯგუფისადმი მკვეთრად უარყოფითი კონოტაციის მატარებელი სიტყვების ან/და მოძველებული ინფორმაციის/ტერმინების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს სტუდენტებში ადამიანის უფლებათა დაცვისკენ მიმართული ღირებულებების ჩამოყალიბებას. სახალხო დამცველის შეფასებით, საზოგადოების ნაწილში არსებული ფობიები და სტიგმები მნიშვნელოვნად ასაზრდოებს მათ შორის სხვადასხვა დაუცველ ჯგუფთა მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას (მაგალითად, აივ-დადებითი ადამიანების, ლგბტ+ თემის წევრების მიმართ). განსაკუთრებით პრობლემურია, როდესაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოყენებული სამედიცინო ლიტერატურა შეიცავს ადამიანის უფლებებთან შეუსაბამო და სტერეოტიპებზე დამყარებულ შინაარსს, ვინაიდან პროფესიულ წრეებში ჰომოფობიური განწყობების გაღვივება, შესაძლოა, შემდგომში, მათ მიერ საქმიანობის განხორციელებისას უთანასწორო მოპყრობის წინაპირობაც გახდეს. ამდენად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ უმაღლესი განათლების მიღებისას ადამიანის უფლებებთან შესაბამისი შინაარსის მქონე სახელმძღვანელოების გამოყენება კრიტიკული მნიშვნელობის მქონეა უმაღლესი განათლების სფეროში სახელმწიფოს მიერ გაცხადებული ზემოხსენებული მიზნისა და საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულებისთვის.

6.4. თორნიკე კუსიანი შპს Timeless-ისა და შპს “მადა”-ს წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმის მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ ის უკავშირდება კერძო პირის მხრიდან სავარაუდო დისკრიმინაციულ პრაქტიკას მოქალაქეების მიმართ სექსუალური ორიენტაციის ნიშნით.

ფაქტობრივი გარემოებები: 2017 წლის 14 თებერვალს, ვალენტინობის დღესასწაულთან დაკავშირებით ორ მაღაზიას – შპს “მადას” და შპს TIMELESS-ს – აქცია ჰქონდა გამოცხადებული. აქციის ფარგლებში, მაღაზიების მომხმარებლები, ქალისა და მამაკაცის პროდუქციის შეძენის შემთხვევაში, ისარგებლებდნენ შესაბამისი ფასდაკლებით. როდესაც თორნიკე კუსიანმა შპს “მადას” მაღაზიათა ქსელში “დი ოჯჯი” საკუთარი პარტნიორისთვის მეორე წყვილი ფეხსაცმლის შეძენა დააპირა, განუცხადეს, რომ მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ფეხსაცმლის შეძენის შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი აქციის ფარგლებში შემოთავაზებული ფასდაკლებით სარგებლობა და რომ აქცია ვრცელდებოდა მხოლოდ ჰეტეროსექსუალ წყვილებზე. შპს TIMELESS-ის მაღაზიათა ქსელმა TIME Georgia ასევე უარი უთხრა კუსიანს ფასდაკლებით სარგებლობაზე, როდესაც მან მამაკაცის ორი საათის ყიდვის სურვილი გამოთქვა. კომპანიის განმარტებით, მხოლოდ ქალისა და მამაკაცის საათების შეძენის შემთხვევაში იყო შესაძლებელი ამ აქციით და შესაბამისი ფასდაკლებით სარგებლობა და ის არ ვრცელდებოდა ერთი და იმავე სქესის წარმომადგენელი წყვილის მიერ შესაბამისი პროდუქციის შენაძენზე.

საქმის მიმდინარეობა: 2017 წლის 2 მარტს კუსიანმა, „თანასწორობის მოძრაობის“ დახმარებით, მიმართა სასამართლოს და მოითხოვა დისკრიმინაციული ქმედებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება 500 ლარის ოდენობით. თბილისის საქალაქო სასამართლომ, 2019 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი და შპს TIMELESS-სა და შპს “მადას” დააკისრა 100-100 ლარის გადახდის ვალდებულება თორნიკე კუსიანის სასარგებლოდ.

სამართლებრივი შეფასება: სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხეებს ვალენტინობის დღესასწაულთან დაკავშირებით მათ მაღაზიებში გამოცხადებული ჰქონდათ აქცია, ანუ ოფერტი (შეთავაზება). შპს „მადას“ აქცია ვრცელდებოდა ფეხსაცმელების ქსელზე, ხოლო TIMLESS-ის აქცია გამოცხადებული იყო ქალისა და მამაკაცის საათებზე. აღნიშნული ოფერტი ნივთების ფასდაკლებით შეძენის შესაძლებლობას იძლეოდა, თუმცა, აქციის ფარგლებში სავალდებულო იყო ერთი ქალის და ერთი მამაკაცისათვის განკუთვნილი პროდუქციის ერთობლივად შეძენა. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება აქციასთან დაკავშირებით დასტურდებოდა წარმოდგენილი ფეისბუქ სქრინშოთებით, ასევე თვით მოპასუხეთა ახსნა-განმარტებით, რომლებიც არ უარყოფდნენ აქციის ფარლებში ასეთ შეთავაზებას. სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ მოახდინა მოპასუხეების ოპერატორებთან ან კონსულტანტებთან სატელეფონო კომუნიკაცია, რა დროსაც დააზუსტა აქციაში არსებული ნივთები და ასევე შეიტყო, რომ სავალდებულო იყო ქალის და მამაკაცის აქსესუარების ერთდროულად შეძენა, ხოლო მხოლოდ მამაკაცის ან მხოლოდ ქალის აქსესუარების აქციის ფარგლებში შეძენაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი.

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე თორნიკე კუსიანის მიმართ მოპასუხეების მხრიდან განხორციელდა დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, მიუხედავად იმისა, თორნიკე კუსიანი ატარებს თუ არ ატარებს აღნიშნულ სექსუალურ ორიენტაციას. ამასთან, სასამართლოს თანახმად, დისკრიმინაციული ქმედებიდან გამომდინარე, ილახება ადამიანის პატივი და ღირსება და მას მორალური ზიანი ადგება. შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ მორალური ზიანის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა საფუძვლიანია ნაწილობრივ და უნდა დაკმაყოფილდეს.

რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურებას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ მორალური ზიანის დაკისრებით ხდება უფლების აღდგენა და იგი მიზნად არ უნდა ისახავდეს პირის გამდიდრებას მორალური ზიანის მიღების შედეგად. შესაბამისად, სასამართლომ გონივრულად და თანაზომიერად მიიჩნია მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხეებისათვის თითოეულისათვის 100-100 ლარის დაკისრება.

6.5. ლევან ბერიანიძე ბ. დ.-ს წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმის მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ ის უკავშირდება პოლიტიკოსის მიერ ჰომოფობიური შინაარსის შეურაცხყოფის მიყენებას მასმედიის საშუალებით.

ფაქტობრივი გარემოებები: 2017 წლის 3 აპრილს, ტელეკომპანია “კავკასიაზე“, გადაცემაში “ბარიერი”, იმყოფებოდნენ არასამთავრებო ორგანიზაცია “თანასწორობის მოძრაობის” აღმასრულებელი დირექტორი ლევან ბერიანიძე და პოლიტიკოსი ბ. დ., რომელმაც ლევან ბერიანიძეს დებატების დროს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და უთხრა: “შენ

ხარ უზრდელი და ხარ კიდევ პიდარასტი". შემდეგ ის წამოდგა ფეხზე და დააპირა ლევან ბერიანიძის ცემა, თუმცა იგი ტელევიზიის თანამშრომლებმა გაიყვანეს. დერეფანში ყოფნის დროს კი, ბ. დ. ლევან ბერიანიძეს ემუქრებოდა სიტყვებით: "ნახე შენ, რას გიზამ"!

საქმის მიმდინარეობა: 2017 წლის 13 აპრილს ლევან ბერიანიძემ, „თანასწორობის მოძრაობის" დახმარებით, მიმართა სასამართლოს და მოითხოვა დისკრიმინაციული მოტივით პატივისა და ღირსების შელახვის გამო ბ. დ.-სათვის მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება, 500 ლარის ოდენობით. 2018 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და ბ. დ.-ს დააკისრა 1 ლარის გადახდის ვალდებულება. მოსარჩელემ აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. 2019 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ შეცვალა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და ბ. დ.-ს დააკისრა 500 ლარის გადახდის ვალდებულება ლევან ბერიანიძის სასარგებლოდ.

სამართლებრივი დასაბუთება: თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ვერ დაეყრდნობოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლს და ვერ მიუთითებდა, რომ მისი განცხადება იყო ამ ნორმით დაცული. სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის განმარტება იძლევა სასარჩელო მოთხოვნისათვის აუცილებელ სამართლებრივ შინაარს. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ნებისმიერი უმცირესობა მეტად მოწყვლადია, მით უმეტეს კონსერვატულ საზოგადოებაში, და მათ დაცვაზე სახელმწიფოა პასუხისმგებელი. ამასთან, დემოკრატიულ სახელმწიფოში ყველა ადამიანის უფლება თანაბრად დაცულია. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ შეურაცხმყოფელი, დამაკნინებელი მიმართვა, რომელიც მოპასუხეს ეკუთვნოდა, მოსარჩელეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ანიჭებდა. თუმცა, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ბ. დ.-ს დაეკისრა 1 ლარის გადახდის ვალდებულება ლევან ბერიანიძის სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლომ, შეცვალა რა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და ბ. დ.-ს დააკისრა 500 ლარის გადახდის ვალდებულება მოსარჩელის სასარგებლოდ, ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებაზე: პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, 2018 წლის 6 დეკემბერს, მოპასუხე მედიისთვის მიცემულ განცხადებაში აღნიშნავს, რომ "სასამართლომ მიიღო სწორი გადაწყვეტილება, პიდარასტების მორალი შეაფასა ერთ ლარად... მან ამ გადაწყვეტილებით ყველაფერი ნათლად უთხრა ლევან ბერიანიძესაც და ამ იდენტობასაც და ყველა იმ ადამიანს, რომელიც ცდილობს, რომ თითიდან გამოწოვილი ბრალდებებით შექმნან პრეცედენტები, ვითომ იჩაგრებიან". ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხისთვის პასუხისმგებლობის სახით მხოლოდ 1 ლარის დაკისრებამ ვერ უზრუნველყო მასზე სათანადო ზემოქმედება, რაც მორალური ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს. პირიქით, ერთგვარად წაახალისა ბ. დ., ხელახლა გაევრცელებინა ჰომოფობიური შინაარსის შემცველი განცხადება, რაც მოწმობდა, რომ აუცილებელია, მორალური ზიანის მატერიალური ანაზღაურება ყოფილიყო გონივრული და სამართლიანი.

6.6. ა(ა)იპ „იდენტობა“ სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ და ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის“ წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია პრაქტიკისთვის, რადგან ეხება სექსუალური ორიენტაციისა და საქმიანობის სფეროს ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტს.

ფაქტობრივი გარემოებები: ა(ა)იპ „იდენტობა“ პროექტ „ანარესის აკადემიის“ ფარგლებში გეგმავდა საჯარო ლექციას, სათაურით „17 მაისი – თავისუფლების ილუზია“. 2019 წლის 23 აპრილს, „იდენტობამ“ სივრცის გამოყოფის მოთხოვნით მიმართა სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს“. თუმცა, ლექციის ჩატარების წინა დღეს (17 მაისის ღამის 11 საათზე), „იდენტობის“ ბათუმის რესურს-ცენტრის მენეჯერმა მ. ქ.-მ მიიღო შეტყობინება, რომ უნივერსიტეტში დაიგეგმა სარემონტო სამუშაოები, რის გამოც მთელს უნივერსიტეტში შეწყდებოდა სასწავლო პროცესი. ამის შემდეგ, „იდენტობის“ წარმომადგენელმა სივრცის გამოყოფის თხოვნით მიმართა ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის“ „ამერიკული კუთხის“ კოორდინატორს, რომელმაც თანხმობა განაცხადა. მოგვიანებით, წარმომადგენელს ეცნობა, რომ დაგეგმილი იყო „ამერიკული კუთხის“ სალექციო სივრცესთან ახლომდებარე ფანჯრის ჩამოხსნა და კედლის დემონტაჟი, რის გამო ეს სივრცეც დაიხურებოდა.

საქმის მიმდინარეობა: 2019 წლის 30 მაისს „იდენტობამ“, საიას დახმარებით, მიმართა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ და ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის“ წინააღმდეგ. ორგანიზაცია ითხოვდა სექსუალური ორიენტაციისა და საქმიანობის სფეროს ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას და შესაბამისი რეკომენდაციის გამოცემას. 2019 წლის 3 ივნისს, სახალხო დამცველმა ინფორმაცია გამოითხოვა სსიპ “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან” და სსიპ “აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკიდან”. მან ასევე ჩაატარა სხდომა მორიგების მიზნით, მაგრამ მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. საანგარიშო პერიოდში საქმეზე გადაწყვეტილება არ მიღებულა.

6.7. თ. ქ. და მ. კ. ლ. ო.-სა და ლ. კ.-ს წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია, რამდენადაც უკავშირდება ფიზიკური პირების მხრიდან დისკრიმინაციული ქმედების განხორციელებას ტრანსფობიური ნიშნით.

ფაქტობრივი გარემოებები: 2019 წლის 18 ოქტომბერს, თ. ქ-ს და მ. კ-ს, რომლებიც სხვა ტრანსგენდერ ქალებთან ერთად იმყოფებოდნენ ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე, მათთვის უცხო პირებმა, ლ. ო-მ და ლ. კ-მ, გენდერული და ტრანსფობიური ნიშნით სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს; უღებდნენ ვიდეოს და ეკითხებოდნენ, თუ რა ღირდა მათი მომსახურება. უცნობი პიროვნებების და ტრანსგენდერი ქალების მიმართ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

საქმის მიმდინარეობა: თ. ქ.-მ და მ. კ.-მ 2019 წლის 23 ოქტომბერს „თანასწორობის მოძრაობას“ დახმარების თხოვნით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოებასთან დაკავშირებით მიმართეს. სასამართლომ განიხილა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე და, 2019 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ტრანსგენდერი ქალების მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყვიტა, ხოლო ორი უცნობი

პიროვნება ცნო სასკ-ის 166-ე მუხლით გათვალისწინებული გადაცდომის – წვრილმანი ხულიგნობა – ჩადენაში და სახდელის ზომად 500 ლარი დაუნიშნა.

სამართებრივი შეფასება: სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ლ. ო-ს და ლ. კ-ს მიერ სასკ-ის 166-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტი. საქმის განხილვისას მოწმეთა ჩვენებებით დადასტურდა ხსენებული პირების მიერ დასახელებული მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას ტრანსგენდერ ქალებზე გამოხატული, გენდერული ნიშნით, შეურაცხმყოფელი გადაკიდებით, უცენზურო სიტყვებითა და ხმამაღალი ლანძღვა-გინებით, რითიც დაირღვა საზოგადოებრივი წესრიგი და შეილახა სხვათა პირადი უფლებები და თავისუფლებები. თავდაპირველად, ლ. ო-მ და ლ. კ-მ განმარტეს, რომ ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე მათი ასვლა განპირობებული იყო იმით, რომ სურდათ მოძრაობის მიმართულების შეცვლა. თუმცა, მას შემდეგ, რაც სასამართლო სხდომაზე დადასტურდა მოცემული არგუმენტის უსაფუძვლობა, რადგანაც გმირთა მოედნიდან მოძრავი ავტომობილი იქ ასვლით ვერ შეიცვლიდა მიმართულებას, მათ სამართალდარღვევის ადგილზე ყოფნის შესახებ განსხვავებული მიზეზი დაასახელეს. საპატრულო პოლიციის წარმომადგენლის განმარტებით, მათ დახმარების თხოვნით მიმართეს ტრანსგენდერმა ქალებმა, რომელთაც თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს, რამეთუ მათ სიახლოვეს ავტომანქანაში მყოფი პირები მათ დასცინოდნენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ.

6.8. ლ. გ. გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე ავლენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის შემთხვევებს ლგბტქი თემის წევრების მიმართ.

ფაქტობრივი გარემოებები: ლ. გ. 2013-2018 წლებში სწავლობდა ,,გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის'' ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე. ლ. გ.-ს განმარტებით, თავისი გარეგნობის, ჩაცმულობისა და იმიჯის გამო, იგი ლექტორებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლების მხრიდან გამუდმებით ხდებოდა შეურაცხყოფის მსხვერპლი და ვერ უმკლავდებოდა მის მიმართ შექმნილ მტრულ გარემოს. ამასთან, ლ. გ.-ს თანახმად, სწავლის პერიოდში მის მიმართ უთანასწორო მოპყრობა გამოიხატებოდა სასწავლო საგნებში ლექტორების მხრიდან განზრახ დაბალი შეფასებების მიცემასა და გამოცდების ჩაბარებაში ხელის შეშლაში. აღნიშნულის თაობაზე, მან მიმართა სასულიერო აკადემიის რექტორსაც, რომელმაც დარჩენილი საგნების გავლის უფლება მისცა 2018 წლის გაზაფხულის სემესტრში. თუმცა, ლ. გ. მიუთითებს, რომ ლექტორების მხრიდან მის მიმართ დამოკიდებულება არც ამ სემესტრში შეცვლილა. ლ. გ.-ს განმარტებით, იგი თავს ღირსებაშელახულად და შევიწროებულად გრძნობდა და ჩათვალა, რომ აზრი არ ჰქონდა დარჩენილ გამოცდებზე გასვლისთვის ბრძოლას, რადგან აკადემიაში წინასწარ ჰქონდათ შექმნილი უარყოფითი დამოკიდებულება მის მიმართ. 2019 წლის იანვარში განმცხადებელმა სასულიერო აკადემიიდან მისი გარიცხვის შესახებ შეიტყო.

საქმის მიმდინარეობა: ლ. გ.-მ, WISG-ის დახმარებით, 2019 წლის 7 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა. იგი ითხოვდა, რომ სახალხო დამცველს რეკომენდაციით მიემართა აკადემიისთვის, რათა მას ჰქონოდა შესაძლებლობა, ხელახლა ჩაებარებინა გამოცდები და მიეღო დიპლომი; ასევე, სამომავლოდ აკადემიას

თავი შეეკავებინა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციისგან[37]. საქართველოს სახალხო დამცველმა განმცხადებელს დამატებით შესაძლო მტკიცებულებების წარმოდგენა სთხოვა და ინფორმაცია გამოითხოვა ,,გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიიდან''. შედეგად, 2019 წლის 9 აგვისტოს, სახალხო დამცველმა საქმის წარმოება შეწყვიტა.

სამართლებრივი შეფასება: სახალხო დამცველის თანახმად, განმცხადებლის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები არ არის გამყარებული შესაბამისი მტკიცებულებებით, ხოლო, სასულიერო აკადემიის მიერ წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში უარყოფილია ლ. გ.-ს მიერ მითითებული სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტი. ამასთან, მოპასუხის მიერ წარმოდგენილია შესაბამისი მტკიცებულებები, რომელთა თანახმად, ლ. გ.-მა, არაერთხელ მიცემული შესაძლებლობის მიუხედავად, ვერ ჩააბარა სემესტრული დასკვნითი გამოცდები და ვერ დააგროვა კრედიტების საჭირო რაოდენობა. შესაბამისად, კვალიფიკაციის მიმნიჭებელმა კომისიამ ვერ იმსჯელა მის მიმართ კვალიფიკაციის მინიჭების საკითხზე და არ გაიცა შესაბამისი დიპლომი. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა ვერ შეძლო ,,გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის'' ადმინისტრაციის თანამშრომლების მხრიდან ლ. გ.-ს მიმართ სექსუალური ორიენტაციის ნიშნით სავარაუდო ასოციაციით დისკრიმინაციის დადგენა.

6.9. ა(ა)იპ "თ. პ." შპს "პრომოუტერის" წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე ავლენს სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის შემთხვევებს ლგბტქი თემის წევრების მიმართ, სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელი პირების ზოგად მძიმე უფლებრივ მდგომარეობას საქართველოში.

ფაქტობრივი გარემოებები: ა(ა)იპ "თ. პ" არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის მთავარი მიზანია ლგბტქ+ ადამიანების უფლებების დაცვა და ყოველწლიური პრაიდის კვირეულის ორგანიზება საქართველოში. 2019 წლის ივნისის თვეში, როდესაც აქტიურად მიმდინარეობდა ლგბტქ+ ადამიანების ღირსების (პრაიდის) კვირეულის ორგანიზება, „თ. პ-მა" და მისმა აქტივისტებმა, პრაიდის მასალების დაბეჭდვის მიზნით, მიმართეს შპს „პრომოუტერს". ტექნიკური საკითხების მოგვარების შემდგომ, აღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენელმა თ. პ.-ის წარმომადგენლებს სატელეფონო სმს შეტყობინებით უარი უთხრა მომსახურებაზე იმ მიზეზით, რომ გაეცნო ორგანიზაციის შესახებ ინფორმაციას და მისი კომპანია არასოდეს დაუჭერდა მხარს მსგავსი ორგანიზაციის საქმიანობას, ვინაიდან ისინი მუშაობდნენ ლგბტქ+ ადამიანების უფლებების მხარდასაჭერად.

საქმის მიმდინარეობა: PHR-მა 2019 წლის 9 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში წარადგინა სამოქალაქო სარჩელი საქმიანობის სფეროს (ლგბტქ+ პირთა უფლებების დაცვა) ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენის მოთხოვნით. საქმეზე საანგარიშო პერიოდში არ მიღებულა გადაწყვეტილება.

37. „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს „უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას, მათ შორის აკადემიური, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით". ასევე, იმავე მუხლის მე-3 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება „უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასა და ღიაობას, აკადემიურ თავისუფლებას, უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში, აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებისა და მისი შესრულების კონტროლის პროცესში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის და ამ დაწესებულებაში კონკურსების საჯაროობასა და გამჭვირვალობას, უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას, მათ შორის – აკადემიური, ეთნიკური, სოციალური ან რელიგიური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესისა და სხვა ნიშნით".

7. დისკრიმინაცია ასაკის ნიშნით

მართალია, ასაკი არ წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლში მითითებული დიფერენცირების ნიშანს, თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „გუჩა კვარაცხელია და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ გადაწყვეტილებაში პირველად დაადგინა ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია[38]. ამასთან, ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია პირდაპირ არის მოხსენიებული „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში.

საანგარიშო პერიოდში წარმოებული ერთ-ერთი საქმე, რომელზეც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიღებულა, შეეხებოდა დამსაქმებელი კომპანიის მიერ დასაქმებულის გათავისუფლებას მისი საპენსიო ასაკის გამო. ამავე თავშია მიმოხილული საქმე, რომელიც ეხება ერთი და იმავე საჭიროებების მქონე ხანდაზმულების მიერ განსხვავებული ხარისხის მომსახურების მიღებას პანსიონატებში.

7.1. კ. შ. შპს “მოდუსის” წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სასამართლოს მიერ დისკრიმინაციის დადგენის თვალსაზრისით, რადგან საქმეში არსებული დოკუმენტაცია და ფაქტობრივი გარემოებები პირდაპირ და ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ დამსაქმებელმა კომპანიამ დასაქმებული გაათავისუფლა მისი საპენსიო ასაკის გამო და გათავისუფლების სხვა საფუძველი სახეზე არ ყოფილა.

ფაქტობრივი გარემოებები: კ. შ.-მ 2014 წელს შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დაიწყო მუშაობა შპს “მოდუსში”, დამლაგებლის თანამდებობაზე. მის მიერ შესრულებული სამუშაოთი უკმაყოფილება ხელმძღვანელობას არასოდეს გამოუთქვამს. შპს ,,მოდუსში” თითქმის 3 წლიანი მუშაობის მანძილზე, მას არც ერთხელ არ მიუღია შენიშვნა ან გაფრთხილება. მეტიც, 2017 წლის 1 მაისიდან ანაზღაურება მოემატა. როგორც შემდგომ კ. შ.-სათვის გახდა ცნობილი, 2017 წლის 29 ივლისს შპს ,,მოდუსის” მენეჯერმა საწარმოს დირექტორის სახელზე სამსახურებრივი ბარათი შეადგინა, რომელშიც მითითებული იყო მოსარჩელე კ. შ.-ს მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულებისა და სამუშაოსათვის თავის არიდების ფაქტების შესახებ. აღნიშნული სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, 2017 წლის 1 აგვისტოს ბრძანებით, მოსარჩელე სამსახურიდან გაათავისუფლეს.

საქმის მიმდინარეობა: კ. შ.-მ, საიას დახმარებით, სასამართლოს მიმართა და მოითხოვა როგორც გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა და სამსახურში აღდგენა, ისე იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციის დადგენა და დისკრიმინაციიდან გამომდინარე, მორალური ზიანის ანაზღაურება.

2019 წლის 7 ნოემბერს, გაიმართა მოსამზადებელი სხდომა, რომელზეც მოსარჩელე მხარემ 6 შუამდგომლობა დააყენა. შუამდგომლობები შეეხებოდა შემდეგ საკითხებს: 1. დამსაქმებლისგან დასაქმებულთან დადებული ყველა შრომითი ხელშეკრულების

38. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/2/863 გადაწყვეტილება საქმეზე „გუჩა კვარაცხელია, გივი ცინცაძე, გიორგი თავაძე, ელიზბარ ჯაველიძე და სხვები (სულ 17 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

გამოთხოვას; 2. სასამართოს მიერ მიმდინარე საქმეზე მსგავს პირობებში მყოფი სხვა პირის მიმართ სასამართლოს უკვე მიღებული გადაწყვეტილების დართვას; 3. საქმეზე მტკიცებულებად დოკუმენტაციის დართვას; 4. მოსარჩელის მიერ მითითებულ მოწმეთა დაკითხვას; 5. მოპასუხე კომპანიის მენეჯერის მოწმედ დაბარებასა და დაკითხვას; 6. მოსარჩელისათვის თარჯიმნის გამოყოფას. სასამართლოს მიერ ყველა შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. საანგარიშო პერიოდში, პირველი ინსტანციის სასამართლოს არ მიუღია საქმეზე გადაწყვეტილება.

სამართლებრივი შეფასება: სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელე მხარის მიერ დაყენებული 6-ივე შუამდგომლობა იმ საფუძვლით, რომ თითოეულ შუამდგომლობას კავშირი ჰქონდა საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან. თითოეულ დასაბარებელ და დასაკითხ მოწმეს კავშირი ჰქონდა ფაქტებთან და შეეძლოა ფაქტების დადასტურება, გამოთხოვილი მტკიცებულებები ხელშეკრულების სახით გავლენას ახდენდა შრომითი ურთიერთობის ვადაზე, ხოლო დართულ მტკიცებულებებს გავლენა ჰქონდა სასარჩელო მოთხოვნებზე, შრომითი ურთიერთობის ვადისა და დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის თვალსაზრისით.

7.2. PHR საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია, რამდენადაც ემსახურება ხანდაზმულთათვის როგორც კერძო, ისე სახელმწიფო მმართველობის ქვეშ მყოფ პანსიონატში თანაბარი სტანდარტის დაწესების უზრუნველყოფას სახელმწიფოს მიერ, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა, იცხოვრონ ღირსეულ პირობებში, მიუხედავად იმისა, რომელი ტიპის დაწესებულებაში ჩაირიცხებიან.

ფაქტობრივი გარემოებები: დღეის მდგომარეობით, ხანდაზმულთა სადღეღამისო მომსახურებას ახორციელებენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შესაბამისი წესით რეგისტრირებული სათემო ორგანიზაციები (შემდგომში – კერძო პანსიონატი) და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ტერიტორიულ ერთეულები – თბილისისა და ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატები (შემდგომში – სახელმწიფოს მმართველობის ქვეშ მყოფი პანსიონატი). ზემოაღნიშნულ პანსიონატებში ხანდაზმულთა ჩარიცხვის კრიტერიუმები ფაქტობრივად იდენტურია და ჩარიცხვა ხდება რიგითობის მიხედვით. მიუხედავად ამისა, განსხვავებულია აღნიშნულ დაწესებულებათა მიერ შეთავაზებული სერვისები. ამასთან, განსხვავებულად რეგულირდება აღნიშნულ დაწესებულებათა დაფინანსების წესიც.

საქმის მიმდინარეობა: ორგანიზაცია PHR-მა, დისკრიმინაციის დადგენის მოთხოვნით, 2019 წლის 31 ოქტომბერს განცხადებით მიმართა სახალხო დამცველს. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება საანგარიშო პერიოდში არ მიღებულა.

8. ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დიაგნოზის ნიშნით დისკრიმინაცია

კონსტიტუციის მე-11 მუხლი პირდაპირ არ კრძალავს ჯანმრთელობის მდგომარეობის ან/და დიაგნოზის ნიშნით დისკრიმინაციას. თუმცა, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის პირველი მუხლის ჩამონათვალი მოიცავს ჯანმრთელობის მდგომარეობის ნიშანს.

საანგარიშო პერიოდში, სააპელაციო სასამართლომ ორ საქმეში უკანონოდ მიიჩნია ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე პირთა იძულებითი მოთავსება ფსიქიატრიულ დაწესებულებებში. სახალხო დამცველის წარმოებაშია საია-ს მიერ წარმოებული სტრატეგიული მნიშვნელობის საქმე, რომელიც შეეხება გენეტიკური დაავადებიდან გამომდინარე სპეციალური კვებითი საჭიროებების მქონე პატიმრის მდგომარეობას[39].

8.1. ი. მ. შპს “N 5 კლინიკური საავადმყოფოს” წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია იმით, რომ ავლენს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პირების არანებაყოფლობით სტაციონირების უხეშ დარღვევებს. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ფსიქიატრიული დიაგნოზის ნიშნით ხდება პირთა დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩაყენება და არასწორი პრაქტიკის დანერგვა, რაც კრიტერიუმების არარსებობის პირობებში, პირის დაუსაბუთებლად არანებაყოფლობით ფსიქიატრიულ მკურნალობას უკავშირდება.

ფაქტობრივი გარემოებები: ი. მ. 2019 წლის 2 სექტემბერს სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და პოლიციის ძალით მოათავსეს თბილისის N 5 კლინიკური საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში ოჯახის წევრებთან, კერძოდ დებთან, კონფლიქტის მიზეზით. არანებაყოფლობით სტაციონირებამდე რამდენიმე დღით ადრე, სამართალდამცავი ორგანოების მიერ ერთ-ერთი დის მიმართ ი. მ.-ის დაცვის მიზნით გამოცემული იყო შემაკავებელი ორდერი.

საქმის მიმდინარეობა: 2019 წლის 11 სექტემბერს, PHR-მა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა ი. მ.-ს სტაციონარში არანებაყოფლობითი განთავსების შესახებ და მოითხოვა დისკრიმინაციული ნიშნით არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული სტაციონირების გაუქმება. სააპელაციო სასამართლომ, 2019 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილებით, დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი, გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და მიიღო ახალი გადაწყვეტილება.

სამართლებრივი შეფასება: თბილისის სააპელაციო სასამართლომ შეისწავლა საქმეში არსებული მასალები, პაციენტის და მისი ოჯახის წევრების განმარტება და მოქმედებები სასამართლო სხდომის მიმდინარეობის განმავლობაში. შედეგად, სრულად გაიზიარა PHR-ის არგუმენტაცია და დაადგინა, რომ სახეზე არ იყო “ფსიქიატრიული დახმარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ყველა კრიტერიუმი, რომელიც აუცილებელია სტაციონარში მოსათავსებლად. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო ოჯახური კონფლიქტი, რისი იდენტიფიცირებაც ვერ შეძლო პირველი ინსტანციის

39. იხ., ასევე, საქმე N6.3: „ა(ა)იპ “თანასწორობის მოძრაობა” თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წინააღმდეგ“, რომელიც ეხება უმაღლეს საგანმანათლებო დაწესებულებაში გამოყენებული სახელმძღვანელოს დისკრიმინაციულ შინაარსს, ერთი მხრივ, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის, მეორე მხრივ – ჯანმრთელობის მდგომარეობის ნიშნით.

სასამართლომ, მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდა ინფორმაცია შემაკავებელი ორდერის მოქმედების შესახებ. შედეგად, ი. მ.-მ დაუყოვნებლივ დატოვა ფსიქიატრიული დაწესებულება.

8.2. მ. კ. შპს "რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის" წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია იმ მიზეზით, რომ ფსიქიატრიული დიაგნოზის ნიშნით არ მოხდეს პირთა დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩაყენება და არასწორი პრაქტიკის დანერგვა, რაც უკავშირდება "ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული კრიტერიუმების არარსებობის პირობებში არანებაყოფლობით ფსიქიატრიულ მკურნალობის მიზნით პირის დაუსაბუთებლად, უკანონოდ მოთავსება.

ფაქტობრივი გარემოებები: მ. კ.-ს კონფლიქტი ჰქონდა დებთან და მეზობლებთან, რაც სიტყვიერი შეურაცხყოფით შემოიფარგლებოდა. 2019 წლის სექტემბერში, არანებაყოფლობით ფსიქიატრიული მკურნალობის მიზნით, იგი რუსთავის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს. რუსთავის საქალაქო სასამართლომ, ექსპერტ ფსიქიატრთა კომისიის დასკვნის საფუძველზე, ჩათვალა, რომ სახეზე იყო მ. კ.-ს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსების კანონით განსაზღვრული წინაპირობა: იგი საფრთხეს უქმნის გარშემომყოფებს და საკუთარ თავსო.

საქმის მიმდინარეობა: 2019 წლის 15 მაისს, PHR-მა რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებლობის საფუძვლით გაასაჩივრა და დისკრიმინაციული ნიშნით (ფსიქიკური დიაგნოზის არსებობის გამო) რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 7 მაისის ბრძანების გაუქმება მოითხოვა. სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით, გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს ბრძანება.

სამართლებრივი შეფასება: სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის ბრძანება იმ საფუძვლით გააუქმა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მხრიდან არასრულყოფილად მოხდა საქმის არსებითი ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა და არასწორი იურიდიული შეფასება მიეცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სტაციონარში მ. კ.-ს მოთავსების საფუძველი არ არსებობდა. სააპელაციო სასამართლომ თავის ბრძანებაში განმარტა ისიც, რომ პაციენტის მხოლოდ დიაგნოზზე მითითება არ შეიძლება გახდეს მისი არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით სტაციონარში მოთავსების საფუძველი.

აღსანიშნავია, რომ "ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" საქართველოს, კანონის მე-18 მუხლის თანახმად, პაციენტის სტაციონირებას ისეთ მდგომარეობას უკავშირებს, როდესაც ფსიქიკური აშლილობის გამო, პირს არ გააჩნია გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი და მისთვის სტაციონირების გარეშე შეუძლებელია დახმარების გაწევა.

8.3. ზ. კ. (გამოგონილი) სპეციალური პენიტენციური სამსახურის, იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის ერთ-ერთი დაწესებულების წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია, რამდენადაც აუცილებელია ისეთი რეგულაციების შექმნა, რომელიც სრულფასოვნად დაიცავს სპეციალური პენიტენციური სამსახურის დაწესებულებებში მყოფ სპეციალური კვების საჭიროებების მქონე პირთა ინტერე-

სებს. მოცემულ საქმეზე დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა მნიშვნელოვანია, რათა შეიცვალოს რეგულაციები და მოხდეს სპეციალური პენიტენციური სამსახურის დაწესებულებებში მყოფი სპეციალური კვების საჭიროებების მქონე პირთა ისეთი საკვებით უზრუნველყოფა, რომელიც საფრთხეს არ შეუქმნის ამ პირთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს და არ ხელყოფს მათ რელიგიურ და მსოფლმხედველობრივ შეხედულებებს.

ფაქტობრივი გარემოებები: გენეტიკური დაავადების მქონე პატიმარს, ზ. კ.-ს, სპეციალური საკვების მიღება სჭირდება. ციხეში არსებული საკვები არ არის იმ შემადგენლობის, რაც გენეტიკური დაავადების მქონე ადამიანმა უნდა მიიღოს, კონკრეტულად კი, აუცილებელია, მან მიიღოს საკვები, რომელიც არ შეიცავს ერთ-ერთ ნივთიერებას. პატიმარს სჭირდება სპეციალური პური და სხვა საკვები. სახალხო დამცველის მიმართვის შემდგომ, პატიმარს ციხის ადმინისტრაცია სპეციალურ პურს აწვდიდა, თუმცა, შემდგომში აღნიშნულიც შეუწყვიტეს და პროდუქტს ვეღარც ციხის მაღაზიაში ყიდულობდა.

საქმის მიმდინარეობა: საიას დახმარებით, ზ. კ.-მ 2019 წლის ოქტომბრის თვეში განცხადებით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და მისი შედეგის აღმოფხვრის მოთხოვნით. სახალხო დამცველს კომუნიკაცია ჰქონდა ციხის ადმინისტრაციასთან და პენიტენციურ სამსახურთან. საანგარიშო პერიოდში, საქმეზე გადაწყვეტილება არ მიღებულა.

თავი II.
პრობლემური საკითხები

1. საკანონმდებლო ხარვეზები და დისკრიმინაციული ნორმები

მიუხედავად 2019 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებებისა[40], საანგარიშო პერიოდში რამდენიმე მიმართულებით კვლავ გამოიკვეთა კანონმდებლობის ხარვეზები და გარკვეული ნორმების დისკრიმინაციული ხასიათი.

როგორც საქმეში 4.3. „ს. პ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ აღინიშნა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172^3 მუხლი სამართალდარღვევად აცხადებს პროსტიტუციას. არსებული ჯარიმის მექანიზმი სექსმუშაკებზე ზემოქმედების მოხდენის საშუალებას წარმოადგენს პოლიციელების მხრიდან. ჯარიმა გათვალისწინებულია პროსტიტუციისთვის, თუმცა პოლიცია მხოლოდ სექსმუშაკებს უკრძალავს ქუჩაში დგომას, მაგრამ პროსტიტუციის მოხმარება არ არის დასჯადი ქმედება. შესაბამისად, აღნიშნული ნორმა დისკრიმინაციულია ქალთა მიმართ, რამდენადაც სექს სამუშაო არაპროპორციულად ეხება ქალებს და, რეპრესიული კანონმდებლობიდან გამომდინარე, არსებული მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ბარიერი არაპროპორციულად სწორედ მათ აზიანებს.

გარდა ამისა, კვლავ აღმოუფხვრელია ის დისკრიმინაციული კანონმდებლობა, რომელიც არადომინანტ რელიგიურ ორგანიზაციებს უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს. კერძოდ, “სახელმწიფო ქონების შესახებ” საქართველოს კანონი და საგადასახადო კოდექსის კონკრეტული ნორმები პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიას, რამდენადაც მსგავსი უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას მოკლებული არიან იმავე სტატუსის მქონე სხვა რელიგიური გაერთიანებები[41].

აგრეთვე, დისკრიმინაციულია ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 131-ე მუხლი. აღნიშნული ნორმის თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია, შეუზღუდავად განახორციელოს სასამართლო პროცესის ფოტოგადაღება, ხოლო თუ ის არ სარგებლობს ამ უფლებამოსილებით, ასეთი უფლებამოსილებით სარგებლობა შეუძლია სხვა საერთო საეთერო მაუწყებელს. ამგვარი მიდგომა დისკრიმინაციულია და საერთო მაუწყებლებთან შედარებით, არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს და აუდიტორიის სრულყოფილ ინფორმირებაში უშლის ხელს იმ მედიის წარმომადგენლებს, რომელთაც სასამართლო პროცესების გადაღების უფლებამოსილება არ გააჩნიათ[42].

40. 2019 წელს, სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფთან მიმართებით განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე იხ. კოალიციის ანგარიში “დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში – 2019 წლის ანგარიში” (შემდგომში “ჯგუფების ანგარიში”). ხელმისაწვდომია: http://equality-coalition.ge/article/51

41. უფრო ვრცლად იხ. ჯგუფების ანგარიში, გვ. 56-58.

42. იხ. ჯგუფების ანგარიში, გვ. 105-106.

ამასთან, 2019 წელს ბავშვთა უფლებათა კოდექსის მიღების მიუხედავად, ვერ ხერხდება ბავშვთა უფლებების სრულყოფილი დაცვა პრაქტიკაში, ვინაიდან არსებული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სათანადო გარანტიებს, კერძოდ, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევასა და მისი გადაჭრის გზებს. ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას მშობლებთან და ასევე, მეურვეებისა და მზრუნველობის ორგანოს შემთხვევაში. მოქმედი კანონმდებლობით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ახდენს ბავშვის ინდივიდუალურ შეფასებას და, ასევე, არის მისი საპროცესო წარმომადგენელი, რაც უკვე წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს[43].

პრობლემურია უცხოელებისთვის თავშესაფრის მოპოვებასთან დაკავშირებით არსებული პროცედურული ბარიერებიც. კერძოდ, საერთაშორისო დაცვის შესახებ განაცხადის გამოხმობის შემთხვევაში, საქმის გამოკვლევა წყდება, მიუხედავად იმისა, შეფასდა თუ არა ყველა რელევანტური ფაქტი და გარემოება[44], ხოლო თუკი განმცხადებელი გადაწყვეტს განაცხადის განახლებას, იგი ვალდებულია დაასაბუთოს ახალი პირადი გარემოება ან/და მისი წარმოშობის ქვეყანაში წარმოქმნილი ახალი გარემოებები, რაც უფლებას უკარგავს მას, ხელახლა მიმართოს უწყებას იმავე საქმეზე[45].

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით, აღსანიშნავია, რომ ქართული კანონმდებოლობა კვლავ არ ასახავს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით გათვალისწინებულ ძირითად პრინციპებს[46].

2. დისკრიმინაციის დადგენის პრობლემურობა სასამართლოში

მართალია, წინა წელთან შედარებით, საანგარიშო პერიოდში გაზრდილია სასამართლოს მიერ დისკრიმინაციის დადგენის შემთხვევები[47]. თუმცა, სასამართლოში დისკრიმინაციის დადგენის საკითხი მაინც გამოწვევად რჩება, მათ შორის, იმ საქმეებშიც, რომლებშიც სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნები, რამდენადაც სარჩელები დაკმაყოფილდა სხვა სამართლებრივი საფუძვლით და არა – „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის საფუძველზე.

ხშირად, სასამართლო არასაკმარისად მიიჩნევს დისკრიმინაციული მოპყრობის დასადგენად წარდგენილ მტკიცებულებებს[48]. საანგარიშო პერიოდში გამოტანილ 4 საქმეში, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის მიმართ ადგილი არ ჰქონია რაიმე სახის დისკრიმინაციას, გადაწყვეტილებების სამოტივაციო ნაწილი ამ მიმართულებით სამართლებრივ მსჯელობასა და არგუმენტაციას საერთოდ არ შეიცავდა. ოთხივე საქ-

43. უფრო ვრცლად იხ. ჯგუფების ანგარიში, გვ. 21-22; იხ., ასევე, 2020 წლის ივლისში, გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) ფარგლებში წარდგენილი კოალიციური ანგარიში (შემდგომში “UPR-ის 2020 წლის ანგარიში”), პარა. 21-22.. ხელმისაწვდომია: http://equalitycoalition.ge/article/55

44. “საერთაშორისო დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

45. უფრო ვრცლად იხ. UPR-ის 2020 წლის ანგარიში, პარა. 62-63

46. უფრო ვრცლად იხ. UPR-ის 2020 წლის ანგარიში, პარა. 28-30.

47. წინა საანგარიშო პერიოდში, პირველი ინსტანციის სასამართლომ მხოლოდ ერთ საქმეზე დაადგინა დისკრიმინაცია, მიმდინარე პერიოდში კი – 5 საქმეზე.

48. იხ., მაგალითად, საქმეები: N1.1., N2.2., N4.4. და N4.7.

მე შეეხებოდა საჯარო დაწესებულებებიდან პირთა თანამდებობიდან გათავისუფლებას, სავარაუდოდ, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ნიშნით[49].

ამ ტიპის საქმეებზე დისკრიმინაციული მოპყრობის არსებობის შეფასებისას, ხშირად სასამართლოები მხედველობის მიღმა ტოვებენ არსებით მტკიცებულებებს. ამასთან, იზრდება სასამართლოს გადაწყვეტილებით მტკიცების ტვირთის არასწორად გადანაწილებისა და მხარეთა შეჯიბრებითობის, დისპოზიციურობის, თანასწორობისა და საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტის პრინციპების დარღვევის რისკი[50].

აღსანიშნავია, რომ PHR-ის მიერ წარმოებულ ორივე საქმეში[51], რომელიც პირთა სტაციონარში მოთავსებას ეხებოდა არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობის მიზნით, სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რამდენადაც მიიჩნია, რომ ამ უკანასკნელს არ ჰქონდა გარემოებები სათანადოდ შესწავლილი. პირველ საქმეში სააპელაციო სასამრთლომ აღნიშნა, რომ სახეზე იყო ოჯახური კონფლიქტი, რისი იდენტიფიცირებაც ვერ შეძლო პირველი ინსტანციის სასამართლომ, მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდა ინფორმაცია შემაკავებელი ორდერის მოქმედების შესახებ; ხოლო მეორე საქმეში მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მხრიდან არასრულყოფილად მოხდა საქმის არსებითი ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა და არასწორი იურიდიული შეფასება მიეცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს.

აქვე გამოვყობთ სასამართლო გადაწყვეტილებების აღუსრულებლობის პრობლემას. მაგალითად, HRC-ის მიერ წარმოებული საქმე 2.9. „კახა სიმონიძე სს „თელასის“ წინააღმდეგ“, რომელზეც არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დისკრიმინაციის დადგენისა და მისი შედეგების აღმოფხვრის თაობაზე, ჯერ კიდევ აღუსრულებელია.

3. პოლიტიკური შეხედულებებისა და განსხვავებული აზრის გამო დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში

როგორც უკვე აღინიშნა, გამოწვევად რჩება სასამართლოს მიერ დისკრიმინაციული მოპყრობის არსებობის სათანადოდ შეფასების საკითხი, განსაკუთრებით იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება საჯარო დაწესებულებებში პირთა თანამდებობიდან გათავისუფლებას, სავარაუდოდ, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ნიშნით[52]. თუმცა, საანგარიშო პერიოდში, კოალიციის წევრმა ორგანიზაციებმა ყველაზე მეტი საქმე სწორედ გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების გამო დისკრიმინაციასთან დაკავშირებით აწარმოეს, რაც ყველაზე მწვავედ, სფეროს მიხედვით, შრომით ურთიერთობებში გამოვლინდა. განსაკუთრებით პრობლემური იყო სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ კრიტიკული მოსაზრების გამოთქმის გამო პირთა, მათ შორის ჟურნალისტების, თანამდებობიდან გათავისუფლება როგორც საჯარო, ისე კერძო დაწესებულებებიდან.

49. საქმე N2.3: „დავით სორდია “საქართველოს ფოსტის” წინააღმდეგ“;
    საქმე N2.6: “ბ. მ. (გამოგონილია) სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს წინააღმდეგ”;
    საქმე N2.7: „კ. ო. ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ის წინააღმდეგ“;
    საქმე N2.9: „ია მახარაძე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ რადიოს წინააღმდეგ“.

50. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით რელევანტური იყო საქმეებთან N2.2. და N2.6 მიმართებით.

51. საქმე N8.1: „ი.მ. შპს “N 5 კლინიკური საავადმყოფოს” წინააღმდეგ“; და საქმე N8.2: „მ.კ. შპს “რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის” წინააღმდეგ“

52. იხ. თავი 2. დისკრიმინაციის დადგენის პრობლემურობა სასამართლოში.

ამ კუთხით, საყურადღებოა EMC-ის, საიას, HRC-ისა და უფლებები საქართველოს მიერ წარმოებული რამდენი საქმე.

EMC-ის წარმოებაში არსებული ერთ-ერთი საქმე უკავშირდება მესტიის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით „სვანეთის ახალგაზრდული მოძრაობის“ იმ ლიდერი პირების თანამდებობიდან გათავისუფლებას, რომლებიც აქტიურად ეწინააღმდეგებიან სვანეთში დაგეგმილი ჰესების მშენებლობას[53]. ამასთან, უფლებები საქართველოს მიერ წარმოებულ საქმეში, საქართველოს ფოსტაში დასაქმებული მოსარჩელე საქართველოს ფოსტის დირექტორმა დაიბარა და განუმარტა, რომ სამსახურიდან უნდა წასულიყო. აღნიშნულის მიზეზად, როგორც მოსარჩელე განმარტავდა, მისი პოლიტიკური აქტიურობა დასახელდა[54].

რაც შეეხება ჟურნალისტურ საქმიანობას, HRC-ის მიერ წარმოებული ერთ-ერთი საქმე უკავშირდება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლიდან“ თანამშრომელთა მასობრივ გათავისუფლებას. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ხელახლა დაასაქმა 15 გათავისუფლებული თანამშრომელი სხვადასხვა ადგილას, მხოლოდ ია მახარაძისთვის არ შეუთავაზებიათ სამსახური. აღსანიშნავია, რომ ია მახარაძეს გამოთქმული ჰქონდა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება მაუწყებელში მიმდინარე მოვლენების შესახებ[55]. აღნიშნულ სამ საქმზე სასარჩელო მოთხოვნები სასამართლომ მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა და დისკრიმინაცია არ დაადგინა.

სასარჩელო მოთხოვნები, მათ შორის დისკრიმინაციის ნაწილში, საერთოდ არ დაკმაყოფილდა საიას ორ საქმეში, რომელიც ეხებოდა შრომით ურთერთობაში, სავარაუდოდ, პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციას: პირველი საქმე ეხება სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროდან პირის გათავისუფლებას ფორმალურად ჩატარებული რეორგანიზაციის მიზეზით. დისკრიმინაციული მოპყრობის ვარაუდის საფუძველს აჩენდა მოსარჩელის საქმიანობა, კერძოდ ის, რომ იგი იყო ერთ-ერთი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წევრი და აქტიურად მონაწილეობდა აღნიშნული პარტიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში[56]. მეორე საქმეშიც მოსარჩელე თანამდებობიდან, სავარაუდოდ, პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლდა ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული ერთ-ერთი ა(ა)იპ ორგანიზაციის დირექტორის მიერ[57].

გარდა ამისა, საიას წარმოებაში არსებულ მორიგ საქმეზე, რომელიც ეხება ერთ-ერთი სამაუწყებლო კომპანიის ახალი დირექტორის მიერ ჟურნალისტების თანამდებობიდან გათავისუფლებას სავარაუდო დისკრიმინაციული მოტივით, სასამართლოს გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელე ჟურნალისტი, ჟურნალისტური საქმიანობის ფარგლებში, ხშირად გამოხატავდა კრიტიკულ აზრს მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. აგრეთვე, მნიშვნელოვანია, რომ მისი საქმიანობის მიმართ ხშირად კეთდებოდა უარყოფითი შეფასებები ხელისუფლების სხვადასხვა შტოებთან დაკავშირებული პირების მიერ[58].

53. საქმე N2.2: „ნ. ნ. და მ. კ. მესტიის მუნიციპალიტეტის მერის წინააღმდეგ“

54. საქმეN2.3: „დავით სორდია საქართველოს ფოსტის წინააღმდეგ“

55. საქმე N2.9: „ია მახარაძე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ რადიოს წინააღმდეგ“

56. საქმე N2.6: „ბ. მ. (გამოგონილია) სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს წინააღმდეგ“

57. საქმე N2.7: “კ. ო. ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ის წინააღმდეგ”

58. საქმე N2.4: „ნ. მ. სამაუწყებლო კომპანიის წინააღმდეგ“

4. უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობა და რასობრივი დისკრიმინაცია

წინა წლის მსგავსად, საანგარიშო პერიოდშიც გამოვლინდა უცხო ქვეყნისა და ეროვნების მოქალაქეთა უფლებების დარღვევისა და რასობრივი დისკრიმინაციის შემთხვევები, რასაც სისტემური ხასიათი აქვს. აღნიშნული გამოიხატა ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმასა და სახელმწიფო საზღვარზე რელიგიური ლიტერატურის შემოტანის დაყოვნებაში. შესაბამისად, დისკრიმინაციული მოპყრობა შეიცავდა მრავალი ნიშნის მიხედვით, მათ შორის, ჯვარედინი დისკრიმინაციის ნიშნებს[59], კერძოდ, რასის/ეროვნების/მოქალაქეობისა და რელიგიის ნიშნებს.

ზოგადად, სახელმწიფოს პოლიტიკა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემის კუთხით დისკრიმინაციულია რასობრივი, ეროვნული და მოქალაქეობრივი ნიშნით, განსაკუთრებით აზიისა და აფრიკის კონკრეტული ქვეყნების წარმომადგენლების მიმართ. ამასთან, თავშესაფრის მაძიებლებთან მიმართებით, შეინიშნება წინასწარი ინტერვიუების დაყოვნებისა და დროებითი საიდენტიფიკაციო ბარათის გაცემის შეჩერების უარყოფითი ტენდენციაც[60].

TDI-ის მიერ წარმოებულ ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც ნიგერიის მოქალაქისათვის შრომითი ბინადრობის გაცემაზე უარის თქმას შეეხებოდა, "სახელმწიფო სერვისების განვთარების სააგენტომ" საქმის წარმოებისას უგულებელყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, კერძოდ ის, რომ მოსარჩელეს ზედიზედ ოთხჯერ უკვე ჰქონდა სასწავლო ბინადრობის ნებართვა მიღებული. თუმცა, მას შემდეგ, რაც მან მან თავისი რელიგიური საქმიანობიდან გამომდინარე შრომითი ბინადრობის ნებართვა ითხოვა, მის მიმართ უკვე უარყოფითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. სააგენტომ ასევე არ განიხილა და არ შეაფასა კერძო და საჯარო ინტერესების საკითხი გადაწყვეტილების მიღებისას. შესაბამისად, უარი პირისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე იყო უკანონო, დაუსაბუთებელი და დისკრიმინაციული[61].

რელიგიური ლიტერატურის საზღვარზე გადმოტანასთან დაკავშირებულ პრობლემებს ეხებოდა EMC-ის მიერ წარმოებული ერთ-ერთი საქმე. წარმოშობით ირანელ საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც საქართველოში 2013 წლიდან აქვს დაფუძნებული რელიგიური ორგანიზაცია, საქართველოს საბაჟო სამსახურის წარმომადგენლებმა მანამ არ მისცეს სასაზღვრო გამშვები პუნქტის დატოვების უფლება, სანამ გულდასმით შემოწმების შედეგად არ დარწმუნდნენ, რომ კუთვნილი, სპარსულ ენაზე დაწერილი წიგნი, ნამდვილად ქრისტიანულ ბიბლიას წარმოადგენდა[62].

---

59. მრავალი ნიშნის მიხედვით დისკრიმინაცია არის დისკრიმინაცია ორი ან მეტი ნიშნის გამო. ინტერსექციური (ჯვარედინი) დისკრიმინაცია არის მრავალი ნიშნით დისკრიმინაციის ფორმა, რომელიც ხდება რამდენიმე დაცული ნიშნის ურთიერთგადაკვეთის შედეგად, როდესაც აღნიშნული ნიშნები, ცალკე აღებული, არ ქმნის დისკრიმინაციის შემადგენლობას.

60. უფრო ვრცლად იხილეთ 2020 წლის ივლისში, გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) ფარგლებში წარდგენილი კოალიციური ანგარიში, პარა. 64-65.

61. საქმე N1.1: „ფ. ს. სსიპ "სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წინააღმდეგ"
აღნიშნულ საქმეზე, სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი და ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია უზენაეს სასამართლოში.

62. საქმე N3.4: „რ. ნ. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის წინააღმდეგ"
იხ., ასევე, საქმე N3.2: „ორგანიზაცია ა. მ. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის წინააღმდეგ", რომლის სახალხო დამცველის აპარატში წარმოებაშიც TDI მესამე პირად ჩაერთო.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ უცხო ქვეყნიდან საქართველოში რელიგიური ლიტერატურის შემოტანისას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რაიმე განსაკუთრებულ წესებს. მათ შორის, არ არის გათვალისწინებული ნებართვის, ლიცენზიის ან სერტიფიკატის წარდგენის ვალდებულება საზღვარზე ბეჭდური პროდუქციის შემოტანისას. კანონმდებლობა მსგავს შემთხვევებში არც ლიტერატურის შინაარსობრივ შემოწმებას ითვალისწინებს. თავისი შინაარსით მსგავსი ქმედება ცენზურას უთანაბრდება და არღვევს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ გამოხატვის თავისუფლებას, ასევე, რწმენისა და რელიგიის თავისუფლებას.

გარდა ამისა, მოცემულ შემთხვევაში, იმის მიუხედავად, რომ განმცხადებელი არ იყო მუსლიმი, საკუთარი ეროვნული იდენტობიდან გამომდინარე, ის ავტომატურად აღიქვეს მუსლიმად და საზღვრის კვეთის დროს მისი პროფილირება და დისკრიმინაციული შევიწროება სწორედ მის ეროვნულ კუთვნილებასთან დაკავშირებულმა აღქმითმა იდენტობამ განაპირობა. შესაბამისად, იმის მიუხედავად, რომ განმცხადებელი უშუალოდ არ წარმოადგენდა საზღვრის კვეთის დროს მუსლიმი პირების მიმართ დისკრიმინაციული პრაქტიკის ადრესატს, მის მიმართ აღნიშნული ქმედება განხორციელდა სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან ასეთი ნიშნების აღქმის გამო[63].

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რეალურ ან აღქმულ ეთნიკურ ნიადაგზე დისკრიმინაცია რასობრივი დისკრიმინაციის ერთ-ერთ სახედ აღიარა, დისკრიმინაციის განსაკუთრებით მძიმე ფორმად შეაფასა და, შესაბამისად, გამკაცრებულ ტესტს დაუქვემდებარა[64]. ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეში განსაზღვრა სტანდარტი, რომლის თანახმადაც, რელიგიის თავისუფლება მოიცავს ასევე პირის უფლებას, არ გაამხილოს საკუთარი რელიგია და არ იყოს იძულებული, განახორციელოს ან თავი შეიკავოს ისეთი ქმედებებისგან, რომელიც შესაძლებელს გახდის კონკრეტული რწმენის ქონის/არქონის თაობაზე დასკვნის გამოტანას, მით უფრო, როდესაც რისკის ქვეშ კონკრეტული უფლებების განხორციელება დგას.

ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) „რასობრივი პროფილირების“ განმარტებისას ეყრდნობა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიდგომას დისკრიმინაციასთან მიმართებით და ამ ცნების ქვეშ აერთიანებს საკონტროლო, სამეთვალყურეო და საგამოძიებო მოქმედებებისას პოლიციური ღონისძიებების დაფუძნებას პირის რასაზე, კანის ფერზე, ენაზე, რელიგიაზე, ეროვნებაზე, ეროვნულ თუ ეთნიკურ წარმომავლობაზე, ობიექტური და გონივრული გამართლების გარეშე. ეთნიკურმა/რასობრივმა „პროფილირებამ“ შეიძლება მოიცვას ისეთი სიტუაციები, როდესაც სამართალდამცავი ორგანოების თითქოს ნეიტრალურ პოლიტიკას ან პრაქტიკას არაპროპორციული გავლენა აქვს მოსახლეობის ასეთი ნიშნებით განსაზღვრულ ცალკეულ ჯგუფებზე[65].

---

63. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, დისკრიმინაცია არსებობს მიუხედავად იმისა, პირს რეალურად აქვს თუ არა ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ნიშანი, რომლის გამოც მის მიმართ დისკრიმინაციული ქმედება განხორციელდა.

64. იხ., მაგალითად, *ტიმიშევი რუსეთის წინააღმდეგ,* nos. 55762/00 და 55974/00, 2005 წლის 13 დეკემბერი.

65. საქმეზე *ტიმიშევი რუსეთის წინააღმდეგ,* განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მას საზღვარზე შეექმნა დაბრკოლებები, როდესაც ვერ მოახერხა, დაემალა საკუთარი ეთნიკური წარმომავლობა, რადგან მისი თანმხლები პირი საუბრობდა ჩეჩნური აქცენტით, ხოლო მათ მანქანას ჰქონდა ჩეჩნური ნომრები. ხუთი დღის შემდეგ, მან დამალა საკუთარი წარმომავლობა და საზღვარი დაბრკოლების გარეშე გაიარა. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა გადაადგილების თავისუფლებასთან კავშირში. სასამართლომ აღნიშნა, რომ დიფერენციაცია, რომელიც ექსკლუზიურად ან მნიშვნელოვნად ადამიანის ეთნიკურ წარმომავლობას ემყარება, არ შეიძლება, გამართლებული იყოს პლურალიზმზე დაფუძნებულ თანამედროვე საზოგადოებაში. სასამართლო ამბობს, რომ ეთნიკურობას აქვს თავისი საფუძველი იმ სოციალური ჯგუფების იდეაში, რომლებსაც აერთიანებთ ეროვნულობა, გვაროვნული (სატომო) კავშირი, რელიგიური რწმენა ან კულტურული და ტრადიციული ფესვები თუ წარსული. ამასთან, სასამართლომ რეალურ ან აღქმულ ეთნიკურ ნიადაგზე დისკრიმინაცია რასობრივი დისკრიმინაციის ერთ-ერთ სახედ აღიარა, დისკრიმინაციის განსაკუთრებით მძიმე ფორმად შეაფასა და, შესაბამისად, გამკაცრებულ ტესტს დაუქვემდებარა.

თავისი არსით, ეთნიკური/რასობრივი „პროფილირება“ ეწინააღმდეგება კანონის უზენაესობის ნორმა-პრინციპსაც, რადგან საზღვრის კვეთის დროს მსგავსი უფლების შემზღუდველი ღონისძიება უნდა ემყარებოდეს პირის კონკრეტულ ქმედებას და არა – მის კუთვნილებას ან აღქმულ კუთვნილებას ეთნიკურ, რასობრივ, ეროვნულ ან რელიგიურ ჯგუფთან. ასეთ „პროფილირებას“, შეიძლება, ადგილი ჰქონდეს ინდივიდუალურ შემთხვევებში, შესაბამისი ორგანოს წარმომადგენლის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას, ამავე დროს, შეიძლება იყოს სახელმწიფო ორგანოების პოლიტიკისა და დამკვიდრებული პრაქტიკის შედეგი, რომელიც, შესაძლოა, კონკრეტულ მითითებას არ აკეთებდეს აღნიშნულ ჯგუფებზე, თუმცა, ჰქონდეს არაპროპორციული, ნეგატიური გავლენა. სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლების მიერ დისკრეციული უფლებამოსილების დისკრიმინაციული მოტივით გამოყენების სისტემური პრობლემები, მათ შორის, მიუთითებს სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობაზე და, ამასთან, მსგავსი პრაქტიკის აცილების მიზნით, სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობაზე[66].

5. დისკრიმინაციის აკრძალვა საჯაროდ ხელმისაწვდომ საქონელსა და მომსახურებაზე

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლში გაწერილია სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი – ხელშეკრულების დადების თავისუფლება. კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ, კანონის ფარგლებში, თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებების შინაარსი. თუმცა, 2019 წლის 19 თებერვალს ცვლილება შევიდა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელსაც დაემატა მე-2 მუხლის მე-10 პუნქტის „გ. დ“ ქვეპუნქტი, სადაც აღნიშნულია: „თანაბარი მოპყრობის პრინციპი ვრცელდება, აგრეთვე, საჯაროდ ხელმისაწვდომი საქონლისა და მომსახურების მიღებაზე (საცხოვრებლის ჩათვლით)“. შესაბამისად, კონტრაჰენტის თავისუფალი არჩევის უფლება არ არსებობს მაშინ, როცა ადამიანი გახდებოდა კონკრეტული კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, მას რომ არ ახასიათებდეს კონკრეტული დაცული ნიშანი – რასა, კანის ფერი, სქესი, რელიგია, სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა ან ა.შ.[67].

საჯაროდ ხელმისაწვდომი საქონლისა და მომსახურების მიწოდების საკითხი, წინა წლის მსგავსად, საანგარიშო პერიოდშიც აქტუალური იყო ლგბტ+ პირებთან მიმართებით. საანგარიშო პერიოდში, თანასწორობის მოძრაობამ განცხადებით მიმართა სახალხო დამცველს საქმეზე, რომელიც შეეხებოდა აფთიაქის თანამშრომლის მხრიდან სავარაუდო დისკრიმინაციულ მოპყრობას მომსახურების გაწევისას. კერძოდ, ფარმაცევტმა გადამოწმების გარეშე განუცხადა განმცხადებელს, რომ სასურველი პროდუქტი არ ჰქონდათ არც აქ და არც სხვა ფილიალში. მოგვიანებით, განმცხადებელმა აღმოაჩინა, რომ მის მიერ მოთხოვნილი პროდუქტი გაყიდვაში იყო ამავე აფთიაქში[68].

ერთ-ერთი საქმე კი ეხებოდა ფეხსაცმელსა და საათებზე ვალენტინობასთან დაკავშირებით გამოცხადებული აქციის პირობებს, რომელიც ნივთების ფასდაკლებით შეძენის შე-

66. აღნიშნული დასაბუთება სახალხო დამცველს წარუდგინა EMC-მ საქმეზე N3.4: “რ. ნ. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის წინააღმდეგ”.

67. იხ., ასევე, კოალიციის საქმიანობის 2018 წლის ანგარიში, გვ. 103.

68. საქმე N6.1: “დ. გ. შპს „პსპ ფარმას“ წინააღმდეგ”

საძლებლობას იძლეოდა მხოლოდ ერთი ქალის და ერთი მამაკაცისათვის განკუთვნილი პროდუქციის ერთობლივად შეძენის შემთხვევაში. აღნიშნულ საქმეზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიმართ მოპასუხეების მხრიდან განხორციელდა დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის ნიშნით[69].

საანგარიშო პერიოდში წარმოებულ ორ საქმეზე, რომლებიც ეხებოდა ლგბტქ+ ადამიანების უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას მათი საქმიანობიდან გამომდინარე, სასამართლომ დისკრიმინაციული მოპყრობის არსებობა დაადგინა. ერთ შემთხვევაში, საქმე უკავშირდებოდა ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე კომპანიის მიერ თანასწორობის მოძრაობისათვის სარეკლამო მომსახურების გაწევაზე უარის თქმას[70], ხოლო მეორე შემთხვევაში, ერთ-ერთ ორგანიზაციას მოპასუხე კომპანიის წარმომადგენლის მიერ უარი ეთქვა პრაიდის მასალების დაბეჭდვაზე იმ მიზეზით, რომ ამ უკანასკნელის კომპანია არასოდეს დაუჭერდა მხარს ლგბტქ+ ადამიანების უფლებების მხარდასაჭერად მომუშავე ორგანიზაციას[71].

გარდა ამისა, ა(ა)იპ „იდენტობას“ საჯარო ლექციის ჩასატარებლად სივრცის გამოყოფის მოთხოვნაზე უარი ეთქვა დისკრიმინაციული მოტივით როგორც „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“, ისე – ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის“ მიერ[72].

აქვე აღსანიშნავია, რომ არადომინანტი რელიგიური ჯგუფები ასევე აწყდებოდნენ დაბრკოლებებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე წვდომასთან დაკავშირებით, ერთი მხრივ, რელიგიური სიმბოლოკის აღმართვის, მეორე მხრივ, მეჩეთის მშენებლობის თვალსაზრისით. კერძოდ, სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლეს სასულიერო სამმართველოს“ ეცნობა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიას არ გააჩნდა შესაძლებლობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოეყო ადგილები რელიგიური სიმბოლოების განთავსების მიზნით მაშინ, როდესაც მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავლადაა განთავსებული ქრისტიანული რელიგიური სიმბოლიკა[73]. TDI-სა და EMC-ის მიერ წარმოებულ საქმეზე კი ბათუმის საქალაქო სასამართლომ დაადგინა დისკრიმინაციული მოპყრობა ააიპ „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდის“ მიმართ, რომელსაც ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ უარი უთხრა მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის დაკმაყოფილებაზე (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა)[74]. მუსლიმები მრავალი წელია, ქალაქ ბათუმში ახალი მეჩეთის საჭიროებაზე საუბრობენ. ქალაქში არსებული ერთადერთი მე-

69. საქმე N6.4: “ თორნიკე კუსიანი შპს Timeless-ისა და შპს “მადა”-ს წინააღმდეგ”

70. საქმე N6.2: “ა(ა)იპ „თანასწორობის მოძრაობა“ შპს “ალმას” წინააღმდეგ”

71. საქმე N6.9: “ა(ა)იპ “თ. პ.” შპს “პრომოუტერის” წინააღმდეგ”. ამ საქმეზე სასამართლომ 2020 წლის 25 თებერვალს მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება და სრულად დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა.

72. საქმე N6.6: “ა(ა)იპ „იდენტობა“ სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ და ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის“ წინააღმდეგ”. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 27 იანვარს, საქართველოს სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ ,,იდენტობას“ მიმართ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკამ განახორციელეს სექსუალური ორიენტაციისა და საქმიანობის სფეროს ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაცია. სახალხო დამცველის რეკომენდაცია ხელმისაწვდომია ბმულზე http://www.ombudsman.ge/res/docs/2020013017545818531.pdf

73. საქმე N3.1: „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო“ მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ”.

74. საქმე N3.3: “ააიპ „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდი“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ”.

ჩეთი მლოცველებს ვერ იტევს და მათ ხშირად გარეთ, ქუჩაში უწევთ რელიგიური რიტუალების აღსრულება.

6. პოლიტიკოსთა დისკრიმინაციის წამახალისებელი განცხადებები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომის თანახმად, სიტყვის და აზრის თავისუფლება არ განეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას და სასამართლო ითვალისწინებს მისი შეზღუდვის შესაძლებლობას იმ შემთხვევებში, თუ გამოხატვის თავისუფლება ლახავს სხვათა უფლებებს. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, ნებისმიერი ადამიანის მიმართ შემწყნარებლობა და თანაბარი პატივისცემა წარმოადგენს პლურალისტული დემოკრატიული საზოგადოების საფუძველს, ამიტომ დემოკრატიულ საზოგადოებებში პრინციპულად აუცილებელია გარკვეული სანქციების დაწესება აზრის გამოხატვის ისეთი ფორმების მიმართ, რომლებიც ავრცელებენ, პროვოცირებას და სტიმულირებას უწევენ ან ამართლებენ შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ სიძულვილს. თუმცა, როგორც საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა, ბევრ პოლიტიკოსს თუ სხვა საჯარო პირს არ აქვს გაცნობიერებული თანასწორუფლებიანობის დაცვისა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის პროცესში მათზე დაკისრებული პასუხისმგებლობა. პოლიტიკოსთა მიერ დისკრიმინაციის წამახალისებელი განცხადებები ვრცელდებოდა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლების, ლგბტ+ თემისა და ქალების მიმართ[75].

საიას მიერ წარმოებული ერთ-ერთი საქმე ეხებოდა პარლამენტის ადმიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე ემზარ კვიციანის აგრესიულ მიმართვას აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლისადმი. ემზარ კვიციანმა მას ჰკითხა, თუ ვის წარმოვადგენდა იგი, და იყო თუ არა საქართველოს მოქალაქე. როცა დადებითი პასუხი მიიღო, პარლამენტარმა შეურაცხმყოფელი ტონით უყვირა მას, თუ რატომ არ იცოდა ქართული და თუ არ იცოდა ქართული, საერთოდ რას ლაპარაკობდა[76]. სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ ემზარ კვიციანის მიმართვა იყო ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით დისკრიმინაციის წახალისების შემთხვევა და პოლიტიკოსს მოუწოდა, მომავალში არ წაახალისოს დისკრიმინაცია რომელიმე დაუცველი ჯგუფის მიმართ და დაიცვას 2019 წლის 22 თებერვლის პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსის მოთხოვნები[77].

როგორც სახალხო დამცველმა აღნიშნა, პოლიტიკოსების მხრიდან დისკრიმინაციის წამახალისებელი განცხადებები უარყოფითად აისახება ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებაზე და შემწყნარებლური გარემოს ჩამოყალიბებაზე. ამდენად, აუცილებელია,

75. იხ., ასევე, საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ ვრცლად (შემდგომში "სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიში", გვ. 32-33. ხელმისაწვდომია: http://ombudsman.ge/res/docs/2020030416283364211.pdf
ასევე, 2019 წელს სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფთან მიმართებით განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე იხ. კოალიციის ანგარიში "დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში – 2019 წლის ანგარიში", გვ. 99-100. ხელმისაწვდომია: http://equalitycoalition.ge/article/51

76. საქმე N1.4: "მირტაგ ასადოვი ემზარ კვიციანისა და სოფიო კილაძის წინააღმდეგ"

77. ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის ,,ო" პუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრისთვის დაუშვებელია სხვისი ღირსების შემლახველი, უხამსი, სექსისტური, დისკრიმინაციული გამოსვლა, მიმართვა, მოქმედება და სიძულვილის ენის სხვაგვარი გამოყენება.

საჯარო პირებმა გააცნობიერონ საკუთარი პასუხისმგებლობა, არ წააქეზონ დისკრიმინაცია უმცირესობათა მიმართ და ხელი შეუწყონ თანასწორი და ინკლუზიური გარემოს უზრუნველ-ყოფას[78].

ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში "თანასწორობის მოძრაობის" აღმასრულებელი დი-რექტორის ლევან ბერიანიძის მიმართ პოლიტიკოს ბ. დ.-ს მხრიდან სიტყვიერ შეურაცხყო-ფას უკავშირდება საანგარიშო პერიოდში წარმოებული ერთ-ერთი საქმე. პოლიტიკოსმა ბერიანიძეს მიმართა: "შენ ხარ უზრდელი და ხარ კიდევ პიდარასტი". შემდეგ ის წამოდგა ფეხზე და დააპირა მისი ცემა, თუმცა იგი ტელევიზიის თანამშრომლებმა გაიყვანეს. დე-რეფანში ყოფნის დროს კი ბ. დ. ლევან ბერიანიძეს ემუქრებოდა: "ნახე შენ რას გიზამ!". როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნა, პატივისა და ღირსების შელახვას ადგილი აქვს ასევე მაშინ, როდესაც ერთი ადამიანი მეორის ღირსებას, რეპუტაციას ან მდგომარეობას მოხსენიებს იმგვარი ფორმით, რომ ამცირებს პირს მოქალაქეთა თვალში, იწვევს სიძულვილს ან ზიზღს. პირს დაცვის უფლება ენიჭება მაშინ, როდესაც დისკრედიტი-რებულია მისი საზოგადოებრივი რეპუტაცია. შესაბამისად, მოპასუხის მიერ გაჟღერებული სიტყვები სასამართლომ მიიჩნია ღვარძლიან კრიტიკად, ვინაიდან მისი ერთადერთი მიზა-ნი იყო მოსარჩელის ღირსების შელახვა, მისი დამცირება მოქალაქეთა და ტელემაყურე-ბელთა თვალში[79].

78. სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიში, გვ. 33.

79. საქმე N6.5: "ლევან ბერიანიძე ბ. დ.-ს წინააღმდეგ".

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან ამოღებულ იქნას 172[3] მუხლი – პროსტიტუცია;
- დაუყოვნებლივ აღმოიფხვრას სახელმწიფო ქონების კანონსა და საგადასახადო კოდექსში არსებული დისკრიმინაციული ნორმები, რომელიც დიფერენცირებას ახდენს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სხვა რელიგიურ გაერთიანებებს შორის;
- ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონში შევიდეს ცვლილებები, რომლითაც საერთო საეთერო მაუწყებლების გარდა, სასამართლო სხდომების გაშუქების შესაძლებლობა მიეცემა ყველა სხვა სახის მედიის წარმომადგენელსაც;
- საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვროს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები ბავშვის კანონიერი წარმომადგენლების, მათ შორის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შემთხვევაში;
- მომზადდეს საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც უზრუნველყოფს ქართული კანონმდებლობის ჰარმონიზაციას გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით გათვალისწინებულ ძირითად პრინციპებთან;
- თავშესაფრის მაძიებელს კანონმდებლობით მიეცეს შესაძლებლობა, საქმის გამოხმობის შემთხვევაში, ხელახლა მიმართოს მიგრაციის დეპარტამენტს თავშისაფრის მოთხოვნით, იმავე საქმეზე, იმავე გარემოებებით.

საერთო სასამართლოებს

- საბოლოო გადაწყვეტილებებში იმსჯელონ დისკრიმინაციის თაობაზე სარჩელში მითითებული არსებითი არგუმენტების თაობაზე იმ საქმეებში, რომლებშიც მოპასუხის მხრიდან სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების დადგენა ერთ-ერთ, და არა ერთადერთ, მოთხოვნას წარმოადგენს;
- დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ დავებზე სწორად გადაანაწილონ მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის.

სახელმწიფო სერვისების განვითარებს სააგენტოს

- ამაღლდეს ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის სტანდარტი;
- უცხოელზე ბინადრობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოიკვლიოს საქმისთვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება და დისკრეციული უფლებამოსილება გამოიყენოს დასაბუთებულად.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

- ამაღლდეს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ვიზის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის სტანდარტი;
- გამოიკვლიოს საქმისთვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება უცხოელზე ვიზის გაცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში და ვიზის გაცემაზე უარის გადაწყვეტილება მარტოოდენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნაზე არ დააფუძნოს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს

- აღმოიფხვრას ბინადრობის ნებართვის მიღების მსურველ უცხოელებზე სერვისების განვითარების სააგენტოსთვის შაბლონური დასკვნების გაცემის მანკიერი პრაქტიკა, განსაკუთრებით – აზიის და აფრიკის ქვეყნების წარმომადგენელი უცხოელების მიმართ.

საქართველოს შსს მიგრაციის დეპარტამენტს

- განაგრძოს დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის დროული გაცემა თავშესაფრის ყველა მაძიებელზე.

საქართველოს საბაჟო სამსახურის წარმომადგენლებს

- თავი შეიკავონ სახელმწიფო საზღვარზე რელიგიური ლიტერატურის შინაარსობრივი შემოწმებისაგან.

პოლიტიკოსებს

- დაიცვან 2019 წლის 22 თებერვლის პარლამენტის ეთიკის კოდექსის მოთხოვნები და არ წაახალისონ დისკრიმინაცია რომელიმე დაუცველი ჯგუფის მიმართ.

ღია
საზოგადოების
ფონდი

კოალიცია თანასწორობისთვის